

# ქართული

საერო და სასულიერო კილოები

ისტორიული მიმოხილვა.

მდ. პოლიევკტოს კარბელაშვილისა.

ტფილისი  
სტამბა ექ. ივ. ხელაძისა  
1898

ქართული საერო და სასულიერო კალოები

ისტორიული მიმოხილვა

I

თავ და პირველად კაცი იმგვარათვე შეჰყურებდა განცვიფრებული ყოველ ბუნების მოვლენასა, როგორც პატარა ბავშვი სანთლის შუქსა; ესე მიტომ აკვირვებდა ირგვლივ ბუნება კაცსა, რომ ჯერ არ იცნობდა ქვეყნი-

ერობასა, ჯერ თვითოეული საგანიც არა ჰქონდა აღნიშნული საკუთარი სახელწოდებით. ამისთვის პირველში ყოველი კაცთა ნათესაობის (მოდგმის) ენა მეტად ღარიბი იყო. მაგრამ, განვითარდა თუ არა თვითოეული კაცთა ნათესავი იქამდე, რომ შეიძლო საკუთარი ენის შექმნა, ე. ი. რაკი გარემო ხილულ ქვეყნიერობაში ყოველი ნივთი და საგანი — სულიერი თუ უსულო, აღნიშნა განსაკუთრებულის, აზროვნებით სავსე სახელით, — მაშინვე იწყო სიმღერა-გალობაც. ამ გვარად პირველი ხმა, რომელიც კაცის პირიდან აღმოხდა, შეიქმნა დასაბამად როგორც ლაპარაკისა, ისე სიმღერა-გალობისა, რაკი პირველში ლაპარაკი იგივე სიმღერა-გალობა იყო. ამის საბუთს გვაძლევენ ფრინველნი, რომელთათვის სიმღერა შეადგენს ერთურთის მდგომარეობის საცნობელ საშუალებასა, როგორც ჩვენთვის ლაპარაკის პირველითგანვე

- 4 -

სასიმღერო კილოებში კაცი ჰხატავდა თავის სულისა და გულის სასიხარულოს, ან სამწუხარო ვითარებასა. მაგ კილოების სიმდიდრე (სხვა და სხვაობა) დამოკიდებული იყო, რასაკვირველია, ირგვლივ ბუნების სიდიადეზედ — სიმდიდრეზედ. პირველი კაციც ხომ ბუნებით მდიდარ ქვეყანაში გაჩნდა, ყოველგვარი სიცოცხლეც (გაზაფხული) ხომ ჯერ ბუნებით მდიდარ ქვეყნებში იღვიძებს! ამიტომ, თავანდელი სამშობლო პირველი სასიმღერო კილოებისა არის აზიის რომელიმე მდიდარ ბუნებოვანი ქვეყანა. აქედან, უეჭველია, რომ ძველისძველ ენებში გალობა-სიმღერის აღმნიშვნელნი ზმნანი, როგორც ძველი დროის უცილობელნი საკუთრებანი — ეანდერძენ შემდეგ საუკუნოებში წარმომდგარ ენებს არა მარტო პირვანდელი მნიშვნელობით და აზრით, არამედ როგორც აღმნიშვნელნი ხმისა, ხმაურობისა, ყვირილისა, კივილისა, ძახილისა, ლაპარაკისა და სხ., რადგანაც ახალს განუვითარებელს ენებში გალობა-სიმღერის აღსანიშნელი სიტყვა (ზმნა) არ მოიპოვებოდა. ამიტომ თავანდელი გალობა-

სიმღერის აღმნიშვნელი ზმნა ბევრს ახალს ენებში იპოვება. აქედან ცხადია, რომ როგორც ენა, ისე გალობა-სიმღერა შეადგენს მთელი კაცობრიობის სამკვიდრებელ სულიერ საგანძურსა. მაგ საგანძურში ყოველ ერს, დიდსა თუ პატარას, შეტანილი აქვს თავის მიერ შემუშავებული კილოები, შექმნილნი ადგილობრივ ბუნების მოვლენათა გავლენის ქვეშე. როგორც ქვეყნიერობაზედ ათასნაირი ხმა ერთად შეერთდების და ერთს დიდს, საერთო ხმაწყობილს (гармония) ჰქმნის, ეგრეთვე ძველთა დიდ ერთა მამა-პაპანი თავისს გულუბრყვილო ალალ-მართლობით თავისს სიტყვით მიჰმართავდნენ ხოლმე რომელსამე ბუნების გაღმერთებულ მოვლენასა, როგორც გა-

- 5 -

ლობა-სიმღერით და ამგვარად ჰქმნიდნენ რომელსამე კილოს. რადგან იგი გაღმერთებული ბუნების მოვლენანი ხან საკეთილოდ მოელანდებოდნენ ხოლმე, ხან საბოროტოდ, ამიტომ მამა-პაპათა მიერ გაღმერთებული ბუნების მოვლენათა მიმართ მისამართი სიტყებიც (გალობა-სიმღერა) თავის მნიშვნელობით ხან მყუდროებასა და მხიარულებას აღნიშნავდნენ, ხან აღშფოთებასა და შეძრწუნებას; ყველა მათგანი უმღერდა და უგალობდა გაღმერთებულ ბუნების მოვლენათა პირველი შთაბეჭდილების ქვეშე, როგორც მოახერხებდა.

## II

### საიდან წარმოსდგა ქართული ზმნა „გალობა“?

ვრცლად გამოკვლევა ენათა შედარებისა „გალობის“ შესახებ ჩვენის წერილის საგანს არ შეადგენს. ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ, თუ რავდენად ძველია ჩვენი ზმნა „გალობა“ და თვით ჩვენი სამშობლო კილოები. ჩვენ მოვიხსენიეთ ზევით, რომ თავდაპირველი

ლაპარაკი იგივე სიმღერა-გალობა იყო. ცხადია, რომ ლაპარაკის განვითარებასთან ერთად სიმღერა-გალობაც განვითარების გზას დაადგებოდა. ამიტომ სიმღერა-გალობა განვითარდა თუ არა და მიაღწია თავანდელ უმაღლესს ხარისხსა, როგორც ლაპარაკის მწვერვალსა — მაშინვე აღინიშნა საკუთარის სახელით და ამ დროიდგან გალობა-სიმღერა განცალკევდა ლაპარაკიდგან.

ახლა უნდა ენახოთ, რომელი ძველი ენის ზმნა (სიმღერა-გალობის აღმნიშვნელი) ეანდერძა ქართულს ენასა? ქართული ენა ერთი უძველეს ენათაგანია დასავლეთ აზიაში. ოდესმე მცირე აზია დასახლებული ყოფილა ქარ-

- 6 -

თველობით, საიდგანაც ნელ-ნელა წამოუწევია კავკასიის ქედისაკენ და დასახლებულა დღევანდელ მიწა-წყალ-ზედ <sup>1)</sup>. უეჭველნი საბუთნი გეოგრაფიულნი და ეტნოგრაფიული შორის ქალრთველთა, მცირე აზიის და მდინარე ნილოსის დიდი ხეობის მკვიდრთა დიდს ერთობას გვაჩვენებენ <sup>2)</sup>. საყურადღებო ერთობას ვხედავთ ქართულის ენისა და ძველის სანსკრიტულ-ზენდურ ენების შორის. საისტორიო მეცნიერება გვამცნებს, რომ ინდოეთსა ჰქონდა დიდი კულტურა და მით თავისს გავლენის ქვეშე ჰყვანდა მრთელი კაცობრიობა დასავლეთ აზიაში. ინდოეთში დაიბადნენ სანსკრიტული, ზენდური, ფეჰლევური და სხ. ენები. სწორედ აი, ამ ერთ-ერთ ენაში (სანსკრიტულში) ვპოულობთ ქართულის ზმნის „გალობის“ საფუძველსა <sup>3)</sup>.

---

<sup>1)</sup> იხ. ა. ხახანაშვილისა „Древнѣ, предѣлы разсел. Грузинѣ по Мал. Азии“.

<sup>2)</sup> იხ. ნ. გამრეველისა „ქართველები ეგვიპტეში“ და «ეგვიპტელები საქართველოში». აგრეთვე დოქტორის ელისევის გამოკვლევაზედ წერილი ჩ. რ. მოსტოვიჩისა გაზეთ «კავკაზში» № 53 1897 წ.

<sup>3)</sup> თვით ქართული მხედრული ანბანი ხომ ღვიძლი შვილია სანსკრიტულ-ზენდური ანბანისა! 25 ქართული ასო ნამდვილი ზენდურია. იხ. „ივერია“ 1881 წ. X წიგნში მშეენიერი წერილი ი.

იქრომქედლიშვილისა. 1893 წ. ბრიტანიის ბიბლიურმა საზოგადო-  
ებამ დაბეჭდა თავის თარგმანების იმ სხვა-და-სხვა ტომის ერთა ანბა-  
ნით ნიმუშები, რომელ ერთა ენებზედაც კი საზოგადოებას გადაუთარ-  
გმნია სახარება. სულ 298 სხვა-დს-ხვა ეროვნების ანბანის შრიფტია  
მოყვანილი, რომელთაგან ბევრნი ისე ჰგვანან ჩვენს მხედრულს და  
ხუცურს, რომ ერთი შეხედვით განსხვავებასაც კი ვერ შენიშნავთ.  
მაგ. № 17 ბირმანული, № 18 კარენული (ბდაი), № 19 კარყნ-  
ლი (პუო), კარენული (სგაუ), № 24 პელუანური, № 63 იავანური,  
№ 202 ფალიური, № 219 კონკანური, № 220 ორია; ხუცურს  
ასო მთავრულს ჰგვანან აბაშეთის-ეთიოპიის ხალხების № 184,

- 7 -

საზოგადოდ ჩვენი ქარაული სიტყვები, აღმნიშვნელნი გა-  
ლობისა, სიმღერისა და სხ. წმინდა სანსკრიტული ენიდგან  
არიან ნასესხებნი. სანსკრიტულ და ზენდურ ენაზედ „გა“  
ნიშნავს გალობასა-სიმღერასა 4). აქედგან სწარმოებს ჩვენი  
„გა-ლობა“; დასართავი „ლობა“ ქართულს ენაში ჩვეუ-  
ლებრივს მოვლენას შეადგენს: წამ-ლობა თუ-ლობა, ცა-  
ლობა და სხ. სანსკრიტულ-ზენდურად „გუ“ ნიშნავს მა-  
ღლა ძახილს, ყვირილს, კვიილს და სხ. ხმაურობასა.  
აქედგან ჩვენი ქართული სიტყვები „გუ-ლი“, „გუგუ-  
ლი“, „ღუღუნი-ღიღინი“; უთუოდ აქედგანვეა წარმომ-  
დგარი ჩვენი ქართული „მგოსანი“ (ძველ ქართულში  
„ო“ და „უ“ ხშირად იცვლებოდნენ ერთმანეთზედ: დე-  
დოფალი-დედუფალი, მგოსანი-მგუსანი და სხ.) სანსკრი-  
ტულ-ზენდური „გა“ შერჩა აგრეთვე ებრაულს ენასა  
„ლა-გა“ და ლათინურსა (აქედგან ფრანგულს და სხ.)  
Canto, cantus, cantio, cano თავანდელი მნიშვნელობით.  
(აგრეთვე „გუ“-cuculus-გუგული.) ესრეთ, ქართული სი-  
ტყვები „გალობა“, „მგოსანი“ — მღერა — არიან უძველეს-  
ნი წარმომადგენელნი ქართულის ენისა და აღმნიშვნელ-  
ნი ქართველის ერის განვითარებისა და ეროვნულის  
გრძნობის გაძლიერებისა ძველის-ძველად. ამის გამო თვით  
ქართული კილოებიც ჩემულობენ დიდხნიერ სიძველესა  
და პატივისცემით მოპყრობას თხოულობენ ყოველის ქარ-  
თველისაგან, რადგანაც ყოველი ძველადგან დარჩენილი

„კილო“ არის ხმა გულისა-სულისა, გამომხატველი რომელიმე აზრისა და სასურველისა. გალობა, როგორც ხმა,

---

185, 186, 198, 199, 200. ეს უკანასკნელნი ჰგვანან სომხურს ასო მთავრულსაც. აქედან ცხადია მხედრულის სიძველე.

4) იხ. Славянскій ежегодникъ 1878 წ. 141 და სხ. გვ. მშვენიერი გამოკვლევა პროფეს. ვ იაგინისა.

- 8 -

არის გამომხატველი სულიერის მადლიანობისა; იგი არის სულისა და გულის საუბარი-ვედრება პატივად რომელიმე უმაღლესის არსებისა, შექმნილი და შემუშავებული ერისაგან იმავე თავით, შექმნილი და შემუშავებული თავისებურის, თვითმყოფის მოხერხებით მამა-პაპათაგან სამშობლო მიწა-წყალზედ, სამშობლო ცის ქვეშე. ეგრეთს სამშობლო სიმღერასა და გალობასა ყოველი ერი შეჩვეულია დაბადებიდგანვე და ამიტომ რომელიმე სხვა ერის სატრფიალო გალობა-სიმღერა ჩვენს ყურს ეხამუხება, გულს არ ეკარება, სასოებისა და ლოცვისათვის არ აღძრავს კაცსა. სახელოვანის რუსის მიტროპოლიტის ფილარეტის (ჩერნიგოველის) სიტყვით „უცხო ერის გალობა, არ აღმძვრელი კაცის გულში ღმობიერებისა და ღვთისადმი მისამართის სასოებისა — უადგილოა და მავნებელი ყოველს ეკლესიაში“ <sup>6)</sup>. ამიტომ ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი ქართველთა სარწმუნოებრივი დაქვეითებისა დღეს არის ქართულის საეკლესიო გალობის დაცემა...

სამაგიეროდ, მამა-პაპათა სარწმუნოება და მისი თავგანწირვამდე სიყვარული აიხსნება მხოლოდ სამშობლო გალობის გავრცელებით. მუდმივი გალობის სმენა წირვა ლოცვის დროს აწყობინებდა ქართველ კაცსა გარდახდილ ჭირთა და უკეთესის მერმისის სასოებას უზადავდა. აი იღუმალი ძალა სამშობლო გალობისა და ამიტომ ჩვენ ყველასთვის სანატრელია მისი კვლავ აღდგენა და გავრცელება ჩვენს ხალხში.

კაცის მჭამელზედ უარესია მომსპობი და შემცვლე-

ლი სამშობლო გალობისას და სიმღერისა — უცხო იქნება იგი, თუ შინაური. სამშობლო გალობის და სიმღერის

---

<sup>5)</sup> იხ. მისი „Историч. Обзоръ пѣснопѣвц. и пѣснопѣній Греч. Церкви.“ 1864 г. გვ. 22.

- 9 -

დაკარგვასა და შეცვლასა მე ვადარებ სამშობლო ენის, თვით სამშობლოს დაკარგვასა.

### III

**ძველი ქართული კილოები და საეკლესიო გალობა.**

როგორც საქართველოა აღიარებული ქვეყნიერობა-ზედ ერთ საუკეთესი მხარედ, ეგრეთვე თვით საქართველოს მკვიდრნი უმშვენებენ მხარსა თავისს სამშობლოსა. მდიდარი ბუნების გავლენის ქვეშე ქართველი კაცი ძველადგანვე აღზრდილა მხიარულის მიმართულებით, ხასიათით; ყოველი შემთხვეულებისათვის შეუქმნია განსაკუთრებული საგალობელი კილო. ამისათვის მთელ საქართველოში ძველადგანვე ყოველ საგალობელ-სასიმღერო კილოს საკუთარი დანიშნულება, ჰაზრი ჰქონდა მითვისებული, როგორც დღეს; ყოველი კილო შეკავშირებული იყო რომელსამე ეროვნულ ჩვეულებასთან. მერე ვინ არ იცის, როგორის თავგამოდებით იცავდა ქართველობა ძველადგანვე მამა-პაპათაგან ნაანდერძევს ჩვეულებასა და წესსა? ან კი რატომ არ უნდა შეენახა, რათ უნდა აელო ხელი მამა-პაპათაგან ნაანდერძევს ზნე-ჩვეულებაზედ, როდესაც იგინი ამშვენებენ და სხვა ერთაგან ასხვავებენ, როგორც თვითმყოფ არსებასა?. მეტადრე თუ იგი ზნე-ჩვეულებანი არ ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ წეს-წყობილებასა და პატიოსნურად ცხოვრებასა!

მართალია, მეტად დიდი არევ-დარევა გამოიარა ქართულმა გალობა-სიმღერამ, მეტად მრავალი განსაცდელი

აუჩნდა ბოლოს მოსაღებად, ვიდრე ქართველობა ქრისტიანობას მიიღებდა, მაგრამ ამოდ: თვითოეულ წარმართ მეფეს უცხო, ან შინაურ დინასტიისას სამეფოში შემო-

- 10 -

ჰქონდა ახალ-ახალ კერპთა თაყვანისცემა, ახალ-ახალი ზნეჩვეულება და მათთან ერთად განსხვავებული სასიძღვრო და საგალობო კილოები, მაგრამ ქართველობა ყოველთვის მტკიცედ იდგა მამა-პაპისაგან ნაანდერძევის დაცვისათვის და ბევრს მეფეს იაფად არ დაუჯდა გაჯიუტება <sup>7)</sup>.

მთელს საქართველოში იშვიათი სანახავია დღეს ისეთი თვალსაჩინო მაღლობი ადგილი — ტყეში, თუ ტიტველა მთაზედ, რომ მასზედ აღშენებული არ იყვეს რომელიმე სათაყვანებელის წმიდანის ან საყდარი, ან მისალოცი <sup>8)</sup>. ამ მაღლობ ადგილებზედ ძველად, ქრისტიანობამდე, აღმართულ იყვნენ საკერპოები, რომელთ სადღესასწაულოდ და სადიდებლად წელიწადში ერთხელ ხალხი თავს იყრიდა, როგორც დღეს საქრისტიანო სალოცავებთან; ჩვეულებერ ატარებდა დროს, მთელს ღამეს ათევდა ღვინით, სიმღერა-გალობით და თამაშობით. „...შემუსრნა მირიან მეფემან ყოველნი კერპნი საბრძანებელსა თვისსა და მათ წილ აღმართნა ცხოველ-მყოფელნი ჯვარნი ქრისტეს მეუფისა დასამხოებლად მტერთა <sup>9)</sup>. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: აგრე ადვილი როდი იყო ხალხის გულიდგან აღმოფხვრა იმ საღმრთო სამშობლო კილოებისა, რომლებითაც ქართველნი თავისს ღმერთებს — კერპებს ადიდებდნენ ძველ დროდგან. დღესაც იმ ღმერთთა — კერპთა პატივად შექმნილთა საგალობელთაგან ბევრია დარჩომილი ქართლ-კახეთში: იავნანა, მზე შინა. მგზავრული, „მუმლი მუხასა“, ფერხული, დიდება, ალილო,

---

<sup>7)</sup> იხ. ქ.-ცხ. 1 ნაწ. 27, 28, 32, 34, 35, 36, 39, 42, 43, 56 და სხ. გვ.

<sup>8)</sup> იხ. ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა 20 გვ.



ჭონა, წმინდა გიორგი ცხოველო, ზარი და სხ. მათი შენახვა უნდა დავუმაძლოთ თვით ქართველი ერის ზნეჩვეულებასა და ხასიათსა. თუმცა პირველიდგანვე ქრისტიანე სამღვდელოებამ მეტად დიდი შრომა გასწია აღმოეფხვრა როგორმე საქართველოში წარმართთაებერ დღესასწაულობა ტაძრებთან, მაგრამ ამოდ: დაღლილმა და დაქანცულმა მიანება თავი და ქართველობა დღემდე ისევ მამა-პაპურად უთევს ღამეს თავისს მფარველს წმინდანს, ისევ ისე სწირავს აღთქმულს შესაწირავსა — ზვარაკსა, კურატსა; ისევ ისე მღერის და გალობს დღესაც ღამის თევის დროს და დღესასწაულ დღე. რაკი დედა-აზრი ესრეთის ლოცვა-ვედრებისა არ ეწინაღმდეგებოდა საქრისტიანო მოძღვრებასა, სამღვდელოება ეგრეთვე მოექცა კერპობის დროინდელ სასიმღერო და საგალობელი კილოებს: აილო და მაგ კილოებს ამოუყენა საქრისტიანო საგალობელთა სიტყვები (ტექსტი) და ძველი კილო ხელუხლებელი დარჩა. მეტი რა უნდოდა ქართველ ერსა ამ მხრივ? მაღლობ ადგილებზე სალოცავები არ მოეშალა ქრისტიანობის მიღებით, წირვა-ლოცვაზედ ისევ მამა-პაპური კილოები ესმოდა <sup>10)</sup>; აი, ერთი დიდი საბაზი, სხვათა შორის, რომ ქართველობამ, მხოლოდ ქართველობამ უდავიდარაბოდ სისხლის დაუღვრელად მიიღო ქრისტიანობა ჯერ წმ. ანდრია პირველწოდებული მოციქულისაგან და მერე წმ. ნინოსაგან <sup>11)</sup>).

საბერძნეთში, რომში, ასურეთში, სომხეთში და მცირე აზიის დასავლეთ ქალაქებში წმ. მოციქულებიდან დაწყებული მრავალნი მღუდელ-მთავარნი, მღვდელნი,

---

<sup>10)</sup> იხ. გეოგრ. ვახ. 26 გვ.

<sup>11)</sup> იხ. ჭ.-ცხ. I ნაწ. 41-56; 64-101.

სამხედრონი და სხ. ქრისტეს მორწმუნენი ათასობით ეწა-  
მნენ და ტანჯვაში დალიეს თვისი სიცოცხლე ქრისტეს  
მოდვრების გულისათვის; კმარა დავასახელოთ: წმ. მო-  
ციქულნი — პეტრე, პავლე, სტეფანე, ბართლომე, ბარნა-  
ბა, იაკობ, ლუკა, მარკოზი, ანდრია პირველწოდებული,  
თომა, იოანე ღვთისმეტყველი; მღვდელ-მთავარნი და მქა-  
დაგებელნი: დიონოსი, კლიმენტოს, ეგნატე, პოლიკარ-  
პე, იუსტინე, ორიგენი, წმ. გიორგი, იოანე ოქროპირი,  
და სხ. პირ-იქით, საქართველომ მრავალი გაჭირვებაში  
მყოფი სხვა სარწმუნოების წარმომადგენელნიც-კი შემო-  
იხიზნა თავისს მიწა-წყალზედ და დღემდე დაიფარა (ებ-  
რაელნი, სომეხნი, თათრები, ფრანგები და სხ.) მამაშვი-  
ლურად მათი შთამომავლობა; სარწმუნოებრივი ფანატი-  
ზმით ქართველობას თავისს დღეში ერთხელაც არ შეუბ-  
ღალავს თავისი სახელი და ქრისტეანეთა სისხლი არ დაუღვ-  
რია. საზოგადოდ, საეკლესიო ისტორია გვამცნებს, რომ  
დასავლეთის ეკლესია უფრო სასტიკად ეპყრობოდა და  
შეუბრალებლად სდევნიდა კერპულ დროინდელ ეროვნულ  
ჩვეულებათა და წესთა — სიმღერა-თამაშობათა და  
თვით ადგილობრივ ენებსაც, ვიდრე აღმოსავლეთის ეკ-  
კლესია. პირველიდგანვე დასავლეთის ეკკლესიამ მრავალ  
მცირე ერთა ზნე-ჩვეულებათა მოუსპო არსებობა და თვი-  
სი სულიერნი შვილნი დაუმორჩილა თავის მიერ შემუ-  
შავებულ საეკლესიო წეს-წყობილებათა აღმოსავლეთის  
ეკკლესია (ე. ი. იერუსალიმისა და ანტიოქიისა) კი უფ-  
რო ლმობიერებით ეპყრობოდა პატარა ერებს; ამისათ-  
ვის აქ ყოველმა ერმა თვისი ეროვნული ძველი ჩვეულებანი  
და სიმღერა-გალობანი საქრისტეანო საღმრთო მსა-  
ხურებას შეუფერა და გვერდში ამოუყენა, როგორც  
თვით საბერძნეთმაც. ამ გვარად მიიღო ქრისტეანებრივმა

წესწყობილებამ ეროვნული ელფერი როგორც საქართველოში,  
ისე ყველგან აღმოსავლეთში — ალექსანდრიაში,

იერუსალიმში, ანტიოქიაში, კაბადოკიაში, სომხეთში, თვით საბერძნეთში და სხ. დღევანდელი ბერძნული გალობა ნაშთია ძველის, კერპულ დროინდელი იონიურის, დორიულის, ფრიგიულის და ლადიურის კილოებისა და სხ. არაფერი, თუმცა, შესაძლებელია, ცოტა რამ განსხვავებით. ესევე ითქმის ქართული საეკლესიო გალობის შესახებ საზოგადოდ. მაგრამ მაინც ქრისტიანობის პირველთა მოძღვართა მრავალი ძველი სიმღერები, ჩვეულებანი და საისტორიო ნაშთნი შემუსრეს ბევრგან და „აღვავეს პირისაგან ქვეყანისა“ და მით მოუსპეს მეცნიერებას ერთი უმთავრესი საშუალება კაცობრიობის თავანდელი პირუთვნელის ისტორიის შემუშავებისათვის. ეს კი იყო, რომ ქრისტეს მოძღვრების მქადაგებელთა ერთნაირი შრომა-გარჯა არა სჭირდებოდათ სხვა-და-სხვა ხალხთან.

## IV

### საბერძნეთი და ქრისტიანობა; ბერძენნი და ქართველნი.

აღვნიშნეთ რა შეძლებისამებრ სიმძველე ჩვენის საგალობო და სასიმღერო კილოებისა, საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ, თუ ჩვენს საეკლესიო გალობაზედ რომელი ერის გალობამ იქონია მომეტებული გავლენა ქრისტიანობის დამყარების შემდეგ საქართველოში?

საზოგადოდ ჩვენში დამყარებულია აზრი, ვითომც ქართული გალობა ბერძნული გალობიდან წარმომდგარიყოს. ამას სახელოვანი ჩვენი მეისტორიე პლ. იოსე-

ლიანიც <sup>12)</sup> მოიხსენებს, თუმცა წინაუკმოდ. მაგრამ, თუ რავდენად მართალია და ფასდასადები ეს აზრი, ამაზედ კრინტიც არავის დაუძრავს დღემდე. ჩვენის ფიქრით პირველნი სამღვდელო პირნი — მითომ ბერძენნი შთამომავ-

ლობით — და ათონის ივერიის ლავრა არიან მიზეზნი ამ უსაფუძვლო აზრის შექმნისა. ჩვენ სრულიად უარსა ვყოფთ ბერძნული გალობის გავლენასა ქართულს გალობაზედ <sup>13)</sup>. პირველნი სამღვდელო პირნი, კონსტანტინე კეისრისაგან გამოგზავნილნი საქართველოში, იყვნენ შთამამავლობით კაბადუკიელნი ქართველნი, როგორც თვით წმ. ნინო; პირველნი კათოლიკოზნი — პეტრე და სამოელ კაბადუკიელი ქართველებივე იყვნენ, მართალია, აღზრდილნი და განსწავლულნი საბერძნეთში, როგორც საბერძნეთის კეისრის საბრძანებელში (პონტში — კაბადოკიაში) დანარჩენნი მცხოვრებნი მკვიდრნი ქართველნი. კონსტანტინე ქართულის ენის უცოდნელთა არ გამოგზავნიდა საქართველოში. ან წმ. ნინო უქართულოდ რას გაარიგებდა, რას გააწყობდა უცხო ენაზედ მოლაპარაკე ხალხშიო?!

პირ-იქით ქართველ მამებს თვით შეუქმნიათ სამშობლო ნიადაგზედ ახლანდელი ჩვენი გალობა. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა ჩვენ ა) ჩვენის გალობის შედარებამ ჩვენსავე საერო კილოებთან და ბერძნულ გალობასთან. ბერძნული გალობა ერთხმოვანია, მოსაწყენი და გულის გამწვრილებელი; აქ ვერ ნახავთ ვერც მომახილსა, ვერც

---

<sup>11)</sup> იხ. «Описание древностей г. Тифл.» 167, 189; 196 — 198 გვ.

<sup>12)</sup> წარსულ გაზაფხულზედ შემთხვევა მქონდა ათონის ივერიის ლავრის არხიმანდრიტის ა. ბერძნული გალობის მოსმენისა პარაკლიტონში; სრულიად უცხო და ყოველ მსგავსებას მოკლებულია. ბერძნული გალობა ქართულთან.

ბანსა; მაგლობელთა გუნდი თუნდა ოცის კაცისაგანაც შესდგებოდეს, ყველა ერთ ხმაზედ, ერთ დონეზედ ამბობს საგალობელ კილოს. აი, მიზეზიც მსმენელთათვის მოწყენისა და გულის გაწვრილებისა! ამ მხრივ დიდი ერთობაა ბერძნულსა და სომხურ გალობათა შორის...  
ბ) ჩვენი გალობის კილოებს რომ კარგად დაეუკვირდით, მათი მრავალგვარობა და შედგენილობა მათი შემადგე-

ნელი ნაწილების აკინძვის წესი რომ განვიცადეთ, სულ სხვა საქები და მოსაწონი თვისება შევნიშნეთ: ბერძნულ-სა და რუსულს გალობაში პირველი სძლის-პირის კილოს ეთანხმება დანარჩენი სძლისპირების კილო თვითოეულ ხმაში, ე. ი. ვინც პირველი სძლისპირი იცის გალობით, იგი ადვილად იგალობებს შემდეგ სძლისპირებსაც; მაგ. ვინც დაისწავლის ღვთისმშობლის პირველ სძლისპირს „отверзь уста моя“, ანუ აღდგომისას „Воскресения День“, — იგი დანარჩენებსაც ადვილად იგალობებს... ქართულში-კი მომეტებულ ნაწილად ერთის ხმის რვა სძლისპირი ერთი მეორისაგან განსხვავებული კილოთი იგალობება — სამს, ანუ მეტს ხმაზედ. არიან სძლისპირებიც, რომელნიც ორნაირ კილოზედ, სხვა-და-სხვანაირად იგალობებიან, მაგალ., შობისა „სასწაულითა იხსნა ერი უფალმან“, ნათლისღებისა „ვერ შემძლებელ ვართ“, დიდხუთშაბათისა „მოკვეთილი ჰკვეთს“ და სხ., ე. ი. მიქელმოდრეკილისა არ იყოს — მეხურად, მაგრამ ამაზედ შემდეგ... ბერძნული გალობისამებრ სომხური გალობის გავლენაც სრულებით უარსაყოფელია <sup>14</sup>). თუ ჩვენს გალობას აღმოაჩნდება გა-

---

<sup>14</sup>) ამ ორის წლის წინად მე ვნახე ვენეციაში მხითარისტების ბერების ძმობისაგან დაბეჭდილი სძლისპირი, საგალობო ნიშნებით აჭრელებული, სრულიად განსხვავებული მიქელ მოდრეკილის საგა-

ვლენა რომელიმე უცხო გალობისა, გარწმუნებთ — ეგ გავლენა ბერძნული, ან სომხური არ გამოდგება. ჯერ ერთი ესა, რომ იმავე თავით ბერძენნი და სომეხნი მუდმივს პოლიტიკურს მოქიშპე ელემენტებს შეადგენდნენ ქართველთათვის; ყოველთვის სამტროდ იყვნენ გამზადებულნი <sup>15</sup>) და თუ ჟამითი-ჟამად ბერძენ-სომეხნი ჰმეგობრობდნენ ხოლმე ქართველებს, მაგას მათივე გაჭირვება და სარგებლობა თხოულობდა. ვიზანტიის (საბერძნეთის) ზნეობრივი გავლენაც მხოლოდ განმხრწნელი და დამღუპავი იყო ყველასთვის საზოგადოდ და კერძოდ ქართველ-

თათვის: იმპერატ. ლეონ IV მეუღლე ირინა საწამლავი-  
თა ჰკლავს ქმარსა 780 წ. <sup>16)</sup>; დახოცა ორი თავისი ძაზლი;  
თავის შვილს კონსტანტინე IV თვალეზი დასთხარა 797  
წ.; იმპერატორი კონსტანტინე VII პორფიროგენი შვილ-  
მა, რომანოზმა მოწამლა 959 წ.; ხოლო თვით რომანო-  
ზი მოკვდა ცოლისაგან მოწამლული 963 წ.; იმპერატ.  
ზოიამ მოწამლა ქმარი რომანოზ III არგირი და შეირ-  
თო მიხაილ პავლაგონელი (1034-1041 წ.); იმპერა-  
ტორს რომანოზ IV თვალეზი დასთხარა იმპერატორმა  
მიხაილ VII (1071 წ. ). ბერძენთა სულელურმა და წინ-  
დაუხედავმა პოლიტიკამ ხელი მოუშართა სპარსეთს სომ-

---

ლობო ნიშნებისაგან; მიგალობა კიდევ მხითარისტმა ბერმა რამდენ-  
იმე სძლისპირი, მაგრამ ვერაფერი მსგავსება და ერთობა ვერ შევ-  
ნიშნე სომხურსა და ქართულს კელოებს შორის. სომხური კილოები  
უფრო ჩვენს ავაჯას ემსგავსებიან, ვიდრე ჩვენს «ხმებს». პირიქით  
დიდი მსგავსება შევნიშნეთ ბერძნულსა და სომხურს კილოებს შო-  
რის.

<sup>15)</sup> იხ. ქ.-ცხ. 1 ნაწ. 103-106; 110-112; 152-162  
გვ. და სხ.

<sup>16)</sup> ამის წინა საუკუნოებში უფრო საზიზღარი საქმეები ხდე-  
ბოდა საბერძნეთის სამეფო კარზედ.

- 17 -

ხეთის განადგურებისათვის <sup>17)</sup>. ამისთანა პოლიტიკით სა-  
ბერძნეთი ნელ-ნელა ამზადებდა ნიადაგსა თავის პოლიტი-  
კურად დამხოებისა და შემუსრვისათვის 1452 წ. და თვის  
წვრილ მეზობლებს გაჭირვებაში შემწეობის ნაცვლად ჰმტრო-  
ბდა. მეორეც ესა, რომ საბერძნეთს X საუკუნემდე არც  
ერთი მონასტერი არა ჰქონია იერუსალიმში და მცირე  
აზიაში. პირ-იქით, ქართველებს მრავალი მონასტრები  
ჰქონდათ იერუსალიმში, სინას მთაზე, ანტიოქიაში, ულუმ-  
ბოს მთაზედ, თესალიაში კონსტანტინეპოლში და სხ.  
ერთის სიტყვით თითქმის IX საუკუნემდე ბერძნებს ძა-  
ლა არ შესწევდათ მეთაურობა გაეწიათ ქრისტიანე ხალ-  
ხთათვის; ესრეთი მეთაურობა ჯერ იერუსალიმიდგან მო-

მდინარეობდა <sup>18)</sup>, და შემდეგ მისი რომაელთაგან აოხრებისა (75 წ.) ეგვიპტემ (ალექსანდრიიდან) თავს იდვა ქრისტიანობის მეთაურობა. IX საუკუნემდე კონსტანტინეპოლი იყო ბუდე მრავალგვარი მწვალებლობისა; მრავალნი ვიზანტიის იმპერატორნი IX საუკუნემდე მფარველობას უწევდნენ მწვალებლობას, ხშირათ მთელი საუკუნოობით მწვალებელნი პატრიარქნი განაგებდნენ საბერძნეთის ეკლესიასა, რომლის საუკეთესო მღვდელთმთავრებმა ტანჯვაში გაატარეს თვისი სიცოცხლე: დიონოსე არიოპაგელი 55-95 წ., ევოდი, ანტიოქიის პატრიარქი, ევსტათი ანტიოქ. პატრიარქივე, გაძევებული არიანოზთაგან 331 წ. და უცხოებაში მიცვალებული; ევსევი ემესიელი 341-360 წ. ექსორიო-

---

<sup>17)</sup> იხ. ქრონიკები 1 ნაწ. თ. ჟორდანიანი 314 გვ.

<sup>18)</sup> იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი იყო იაკობ ძმა უფლისა, ხოლო ანტიოქიისა ევოდი, 42 წ. ებრაელივე, დადგენილი პეტრე მოციქულისაგან; მვლად დაიტანჯა იმპერატორის ვესპასიანესაგან.

ბაში მიიცვალა ანტიოქიაში; იოსებ პალესტინელი არიანოსთაგან დაიტანჯა უცხოებაში 356 წ. ევსევი სამოსატელი მღ. მოწამე 365-380 წ. უცხოებაში მიიცვალა; პავლე თესალონიკელი 340-350 წ., ნიკოლოზ საკვირველმოქმედი 341 წ., იოანე ოქროპირი 347-408, ვასილი დიდი 328-379 წ. გრიგოლ ღვთისმეტყველი 310-390 წ. გრიგოლ ნოსელი 329-391 წ., კირილე იერუსალიმელი სამჯერ გააძევეს არიანოსებმა და ტანჯვაში † 385 წ. ათანასი დიდი 46 წ. ეპისკოპოსად იყო და არიანოზებთან ბრძოლისა გამო 20 წ. პატიმრობაში გაატარა 296-373 წ. კირილე ალექსანდრიელი 412-444 წ. ფლაბიანე კონსტანტინეპოლის პატრიარქი ეფესოს კრებაზედ 449 წ. ცემით მოკლეს მართლმადიდებლობის დაცვისათვის; ფლაბიანე ანტიოქიის პატრიარქი 499-518 წ. უცხოებაში მოკვდა ევ-

ტიხიანებთან ბრძოლისათვის; ევლოგი ალექსანდრიელი 583-607 წ., პროკლე კონსტანტინეპოლის პატრიარქი † 446 წ. ნესტორის წინააღმდეგობისათვის; მაქსიმე აღმსარებელი სამეგრელოში † 662 წ. კირიაკე კონსტანტინე პატრიარქი 705-711 წ. გერმანე კონსტანტინეპ. პატრიარქი 713-740 წ.<sup>19)</sup> და თეოდორე სტოდელი 794-826 წ. — ხატათა მბრძოლთაგან დაიტანჯნენ. მიხეილ იერუსალიმის სინგელოზი 802-845 წ. ნიკიფორე პატრიარქი 806-828 წ. თეოფანე სიღრიანელი † 818 წ. თეოფანე ნიკიელი (გამოწერილი) 817-842 წ. საბაწმიდელი; ფოტი კონსტანტინეპოლის პატრიარქი 867-886 წ.; ნიკოლაოზ კონსტანტინეპოლ. პატრიარქი (მისტიკი) 895-930 წ. იოსებ თესალონიკელი ხატათა

---

<sup>19)</sup> იხ. საეკლესიო ჟამნში 12 მაისი.

მბრძოლთაგან † 830 წ. იოსებ II თესალონიკელი ორჯერ იყო პატიმრად და ტანჯვაში † 883 წ. და სხ. მრავალთა ტანჯვაში გაატარეს სიცოცხლე. IV საუკუნემდე ხომ ქრისტიანობის ხსენებასაც ვერავინ ჰბედავდა საბერძნეთში. თვით იმპერატორის კონსტანტინე დიდის მომნათლავი კონსტანტინეპოლის პატრიარქი ევსევი ნიკომიდიელი, აღმზრდელი ივლიანესი, წინათ ეპისკოპოსი ბერუთისა და ნიკომიდიის — მწვალებელი იყო და მის თანამოაზრეებთან ერთად ისტორია უწოდებს „ევსევინელებს“. აბა რომელი ეკლესიური წესი და რიგი უნდა მიეღო საქართველოს ეკლესიას საბერძნეთიდან, როდესაც თვით იგი ბურბუმელასავით ირყეოდა და ჯერ ქრისტიანობა საქვეყნოდ აღიარებულაც არ იყო 312 წლამდე! IX საუკუნემდე წმ. მამანი და შვიდი მსოფლიო კრება (325-781 წ.) მოუწოდებდა საბერძნეთში ქრისტიანობის დამკვიდრებას. კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოსები გააძევა და დატანჯა იმპერატორმა მიხეილ პალეოლოღმა მართლმადიდებლობის გულისათვის 1274 წ. XII საუკუნემდე



საქართველოს ეკკლესია იმყოფებოდა იერუსალიმ-ანტიოქიის გავლენის ქვეშე იმავე თავით; მხოლოდ ევთიმემ და გიორგიმ დაუახლოვეს კონსტანტინეპოლის ეკკლესიას XI საუკუნეში, მაგრამ დღემდე მრავალი იერუსალიმულ-ანტიოქური საეკკლესიო ჩვეულება და საგალობელნი გვაქვს დაცული ჩვენს საეკკლესიო ცხოვრებაში <sup>20</sup>). ბერძნები მუდამ მტრულის თვალთ უყურებდნენ ქართველ სამღვდელოებასა. საბერძნეთის სამღვდელოებამ არც ერთი ქართველთა წმინდანის დღესასწაული არ შერაცხა საზოგადო საქრისტიანო სვინაქსარში და არ აღიარა წმი-

---

<sup>20</sup>) იხ. ქრონიკები თ. ჟორდანასი 120-121 გვ.

- 20 -

ნდანად, თუმცა ქართველთ ეკკლესიამ საბერძნეთის წმიდათა დასი მთლად მიიღო და დღესაც აღასრულებს საზოგადო წესისამებრ მათ დღესასწაულსა. ავიღოთ თუნდა ათონის ივერიის ლავრისა და იერუსალიმში ქართველთა ჯვარის და სხვა მონასტრების საქმე <sup>21</sup>).

## V

### **ებრაელნი და ქრისტიანობა; ებრაელნი და ქართველნი.**

კაცთა ნათესაობის დამამშვენებელი საუკეთესო მარგალიტი ღმერთ-კაცი, მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ებრაელთა, ღვთისაგან მიჩენილ, სამშობლოში დაიბადა, როგორც დიდი ხნის მოლოდება წარმართთათვის და ებრაელთათვის. მისი მოძღვრება ებრაელებმა აღიარეს და ებრაელებმავე მოჰფინეს მაშინდელ ქვეყნებს — აზიაში, აფრიკაში და ევროპაში. თვით იესო ქრისტემ და მისმა მოციქულებმა კარგათ იცოდნენ ებრაელთა სარწმუნოებრივი სჯულ-დებულებანი და ამისათვის მოციქულთა დროდანვე ებრაელთა საღმრთო წერილი დაედო საფუძვლად

საქრისტიანო ყოველ ლოცვა-ვედრებასა და საღმრთო მსახურებასა. საღმრთო მსახურების წესი (ლიტურგია) შეადგინეს მოციქულებმა — ებრაელებმა — პეტრემ, იაკობმა, მარკოზმა და გაავრცელეს იერუსალიმის, საბერძნეთის, სომხეთის, საქართველოს და სხვა ეკკლესიებში. თითქმის მეთათე საუკუნემდე ხმარებაში იყო იაკობ მოციქულის „ჟამის წირვა“ (ლიტურგია). კაბადოკია, კლარჯეთი და შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირები იმავე თავით მჭიდ-

---

<sup>21)</sup> იხ. «Памятники Груз. старины въ палестинѣ и на Синаѣ.» А. Цагарели. (Прав. Палест. сборн. т. IV) 127, 128 გვ.

- 21 -

როდ იყო დასახლებული ქართველთა ტომით და მათ შორის ქრისტეს მოძღვრება დანერგეს ანდრია და სიმონ მოციქულებმა.

ძველის ძველადგან მცხეთა, ციხედიდი, ცხინვალი, ქარელი, ბრეთი, ურბნისი, კოდის წყარო, კარსანი, სობისი, ბოდბე, ურიათუბანი — წარმოადგენდნენ ებრაელთა მიერ დასახლებულ ბინადრობასა. ამიტომაც დღემდე მრავალი ზნე-ჩვეულება შერჩათ ქართველობას ებრაელთაგან შეძენილნი, მაგალ. გლოვნა მიცვალებულისა ქორწინების გარდახდის წესი <sup>22)</sup> და სხ. თვით ქრისტიანობის დამამყარებელი საქართველოში წმ. ნინო იერუსალიმში აღზრდილი იყო და საქართველოში მოსრულმა პირველად მცხეთელი ებრაელები მოაქრისტიანა: მირიან მეფე და მთელი მისი სამეფო „ურიაყოფილს“ აბიათარს მღვდელს „ახალ პავლეს“ ეძახიან <sup>23)</sup> და წმ. ნინოს მხურვალე თანაშემწე იყო ქრისტიანობის გავრცელებაში — თავის სახლეულით. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ წმ. ნინომ, როგორც მოციქულებმა, მშვენივრად იცოდა ის საგალობო კილოები, რომელნიც მოციქულთაგან ისწავლეს ქრისტიანებმა და შემდეგ ეგნატე ღმერთშემოსილმა <sup>24)</sup>, ებრაელთა მიხედვით, მწყობრად საგალობლად დააწყო იმ წესზედ,

როგორც დღესაც იგალობებიან ანტიფონები ჩვენს ეკ-  
კლესიაში. სისულელედ ჩაეთვლება ყველას, ვინც იფიქ-  
რებს, რომ ან იაკობ მოციქულის „ჟამის წირვაზედ“ სა-  
ხმარნი საგალობელნი და ან ანდრია და სიმონ მოციქუ-  
ლების მიერ შემოდებულ საღმრთო მსახურების დროს  
ბერძნული კილოები ეხმარნათ! ამისთანა კერპობის დრო-

---

22) იხ. სახარება იოანესი 2, 2-10; 31-44.

23) იხ. ქ.-ცხ I ნაწ. 82, 84 გვ.

24) იყო მოწაფე პეტრე მოციქულისა და † 107 წ.

- 22 -

ინდელი კილოები ხომ ქართველებსაც მრავლად მოეპო-  
ვებოდათ იმ დროს? უეჭველია, მოციქულნი სჯობდნენ  
იმ საგალობელ კილოებს, რომელნიც პატარაობითვე  
ჰქონდათ შესწავლილი ურიასტანში, როგორც ებრაე-  
ლებს. ძველი აღთქმის საღმრთო წერილი გვამცნებს, რომ  
ა) მეწამულ ზღვაში შვიდობით გამოსლვის შემდეგ არონ-  
მა შეჰკრიბა მამაკაცი, ხოლო მისმა დამ, მარიამმა დე-  
დაკაცი და ორ გუნდად უგალობდნენ ღმერთსა სა-  
მადლობელ გალობასა<sup>25)</sup>; ბ) დავით-მეფე წინასწარმე-  
ტყველმა შეადგინა აქა-იქა გაფანტულ ფსალმუნთა (საგა-  
ლობელთა) კრებული და მგალობელთა მწყობრი გუნდი  
შეადგინა სხვა-და-სხვა დასაკრავთა იარაღთა დართვით<sup>26)</sup>;  
გ) ბაბილონში ნაბუქოდონოსორ მეფემ რომ სამნი ყრმა-  
ნი (ებრაელნი) ჩააყრევინა ანთებულ ქურაში, იგინი მწყობ-  
რად უგალობდნენ ღმერთსა სამადლობელ გალობასა<sup>27)</sup>.  
ყველა ესე ებრაელთა საგალობელნი (ტექსტი) დღესაც  
ხმარებაშია როგორც ებრაელთა შორის, ისე ყველა სა-  
ქრისტეანო ტაძრებში. ხოლო წმ. სახარებიდგან ვტყო-  
ბულობთ, რომ იესო ქრისტეს თავის მოციქულებით  
მშვენიერი გალობა სცოდნია<sup>28)</sup>. ჯვარცმის დროს და-  
რაჯთა ასისთავი იყო მცხეთელი ურია და პირველმა აღი-  
არა მაცხოვარი ჩვენი „მედ ღვთისად“<sup>29)</sup>. ჩვენი მემატია-  
ნე აღვვიწერს ჩვენი სამეფო გვარის (ბაგრატიონთა) მო-

## მდინარეობას დავით მეფისაგან. საქართველოს სამეფოს

25) იხ. წიგნი გამოსვლათა 14, 32; 15, 1-20.

26) იხ. დავითნში ფსალმუნთა ზედ-წარწერანი.

27) იხ. წიგნი დანიელ წინასწარტყველისა 3, 24-90.

28) იხ. სახარება: მათესი 25, 30; მარკოზისა 14, 26.

29) იხ. სახარება: მათესი 27, 54; მარკოზისა 15, 39; ლუკასი 23, 47.

- 23 -

იმავე თავით ებრაელებისთანა უვნებელი არც ერთი სხვა ტომი არ შემოჰხიზნებია. მათის შემწეობით და გავლენით საღმრთო წერილი პირდაპირ ებრაულიდგან ითარგმნა ქართულს ენაზედ მცხეთაში. ცასა ქვეშე არც ერთი სამეფოს თავგადასავალი არ ემსგავსება სავსებით სა ქართველოს სამეფოსას ისე, როგორც ებრაელთა სამეფოსი. იერუსალიმის აოხრება ჯერ ნაბუქოდონოსორისაგან და მერე ვესპასიანისაგან — და საქართველოსი ჯერ შახაბაზისაგან და მერე აღამაჰმადხანისაგან განა შესადარებელნი არ არიან? ებრაელთა ტყვეობა ბაბილონში (სამჯერ 16 წლის განმავლობაში) და ქართველებისა სპარსეთში (1612-1625 წ.) თავის შედეგით განა შორს არიან ერთმანეთისაგან<sup>30)</sup>?

რომ ჩვენი ზემორე ნათქვამი უფრო დასაბუთდეს, ყური ვათხოვოთ სახელოვანს რუსეთის საეკლესიო ისტორიკოსს, ჩერნიგოვის მიტროპოლიტს ფილარეტსა. აი, რასა სწერს იგი საზოგადოდ საეკლესიო გალობის შესახებ: „უწინდელმა ბერძნებმა სრულიად არ იცოდნენ სამხმოვანი, ანუ ოთხხმოვანი გალობა; მათი მგალობელთა გუნდი, რომელიც ზოგჯერ ასი კაცისაგან შესდგებოდა, ერთხმად გალობდა, მაღლა და დაბლა ჰანგების (тонъ) დაუმატებლივ (унисонное пѣние) ძველი საეკლესიო გალობა, როგორც უნდა ვიაზროთ, დაახლოვებული იყო ებრაელთა ხმოვან გალობასთანა. ცნობილია, რომ ქრისტიანობრივი საღმრთო მსახურება თავდაპირველად შეერ-

თებული იყო ებრაულთან და შემდეგ შეითვისა ამ უკანასკნელისაგან რომელნიმე ნაწილნი, მოქრისტეანებულნი ებრაელნი დიდად ერიდებოდნენ ყოველსავე კერპულსა.

---

<sup>30)</sup> იხ. იერემიას წიგნი 52, 29-30.

- 24 -

„დიდი სიძვალე, ბენებრივი დიადი სიმარტივე ებრაელთა გალობისა (აზრი კლიმენტოს ალექსანდრიელისა) აიძულებდნენ ქრისტეანეთა კეთილმსახურებასა აღერჩიათ იგი გალობა“. ებრაული გალობა დიდად ემსგავსებოდა ბერძნულს დორიულს გალობასა, რომელიც განსხვავებული იყო სხვა ყველა გვარ ბერძნულ გალობათაგან მეტის-მეტი სიმარტივით, დარბაისლური ხასიათით და დიდობით. დორიული გალობა დიდს ხმარებაში იყო მთელ საბერძნეთში. მოქრისტეანებულნი წარმართნი იცავდნენ თავისს (სიყრმიდგანვე) ნაცნობს კილოებს და მათში უფრო ისრეთებს, რომელნიც თავის თვისებითა, ხასიათით ემესაბამებოდა საქრისტეანო გრძნობათა და აზრთა სულსა, როგორც არის დორიული“ <sup>31)</sup>.

სრულიად ცხადია, რომ ქართველებს წმ. მოციქულების ანდრეას და სიმონის და წმ. ნინოს ქრისტეს მოძღვრების ქადაგებასთან ერთად ესმოდათ მათი ებრაული გალობაც. რასაკვირველია, საქრისტეანო ახალის საგალობელი სიტყვებით (ტექსტით). თუ მაგ ებრაულ კილოებს ქართველები რომელიმე მიზეზით არ შეითვისებდნენ, მაშინ რა საჭირო იყო მათთვის კერპობის დროინდელი ბერძნული უცხო კილოები, როდესაც თვით ქართველებს გაცილებით უფრო მეტი და მწყობრი ეროვნული საკუთარი საგალობელთა კილოები ჰქონდათ კერპობის დროინდელივე. განა ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა მკვდარი იყო მაშინ? თუ დღეს პოლიტიკურს თვით არსებობას მოკლებული ქართველი ერი სათუთად დასტრიალებს და თავს ევლება ყოველ ძველს ნაანდერძეს კი-

---

ლოებს და დღესაც-კი ახალ-ახალს კილოებსა ჰქმნის, მა-  
შინ რაღა იქმნებოდა ქართველი, როდესაც მისი გავლენა  
ისტორიით აღიარებული იყო მთელ მცირე აზიაში და შა-  
ვი ზღვის ნაპირებზედ? მაშასადამე, ყოველ ზემორე თქმუ-  
ლიდან ჩვენ ვბედავთ დასაბუთებით დავასკვნათ შემდეგი:  
ა) საზოგადოდ ქართული საეკკლასიო გალობა არის ღვი-  
ძლი შვილი ქართულის საერო სიმღერებისა; ბ) თუ რო-  
მელსამე უცხო ერის გალობამ იქონია გავლენა ქართულ  
გალობაზედ, ეგ გავლენა არის ებრაულის გალობისა, რა-  
დგან თვით საბერძნეთშიაც VIII საუკუნემდე იხმარე-  
ბოდა ეგნატე ღმერთშემოსილის მიერ († 107 წ.) შემო-  
ღებული ებრაელთამებრი ანტიფონური გალობა; ეგრე-  
თივე გალობა (ორ გუნდათ) IV საუკუნეში შემოიღეს  
ალექსანდრიაში, ლიბიაში (აბაშეთი), არაბეთში, ფინი-  
კიაში და სირიაში; ანტიოქ. პატრიარქ ფლაბიანე († 403  
წ.) და დიოდორე მთავარ-ეპისკოპოზებმა სირიულიდამ  
გადაიღეს მხოლოდ IV საუკუნეში ბერნულად ეგვევ  
ანტიფონური გალობა<sup>32</sup>). დღევანდელი ბერძნული ერთ-  
ხმოვანი (книсонное) გალობა ნელ-ნელა შემუშავდა მხო-  
ლოდ იოანე დამასკელის შემდეგ († 776 წ.). იოანე და-  
მასკელმა, დავით მეფე-წინასწარმეტყველის და სხ. მიხე-  
დვით თავი მოუყარა ამა დრომდე შედგენილს და აქა-იქა  
გაფანტულ საგალობლებს. დააწყო რვა ხმაზედ და უან-  
დერძა საქრისტეანო ეკკლესიებსა. იოანე დამასკელის  
ბერძნული შთამომავლობა საეჭვოა. იოანე დამასკელის  
შემდეგ აღმობრწყინდნენ მრავალნი საგალობელთა მწე-  
რალნი და მთხზველნი, რომელთაგან თითქმის ყველანი

---

<sup>32</sup>) იხ. „Историч. обз. пѣснопѣвц. И пѣснопѣнй Греч. ц.“  
51 გვ.

ან სირიელ-კაბადოკიელნი (ქართველნი) იყვნენ, ან ეგვიპტელნი, და არა ბერძენნი. ჯერ ისევ იოანე დამასკელზე ადრე სინას მთაზედ მოღვაწეობდა ქართველი ბერი იოანე მოსხი (მესხი)<sup>33</sup>), რომელიც მთელ აღმოსავლეთის ქვეყნებში განთქმული მწერალ-მწიგნობარი და საგალობელთა მთხზველი იყო. იოანე მოსხზე ადრე ზაქარია ბერმა (ქართველმა) აღწერა ასურულ ენაზე თავის მოძღვრის პეტრე ივერის ცხოვრება, რომელიც შემდეგ მაკარიმ სთარგმნა ქართულად<sup>34</sup>). სახელოვანნი ძმანი — ვასილი დიდი<sup>35</sup>) და გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, სტეფანე საბა-წმიდელი († 786 წ.) იოანე სი-

---

<sup>33</sup>) იოანე მოსხი სცხოვრობდა 570-647 წლებში; მან აღწერა «სულიერი მდელი» და ვგონებ «სიბრძნე ბალავარისაც» და სხ. მრავალნი.

<sup>34</sup>) იხ. ისტ საქართ. ვახუშტ. გამოც. დ. ბაქრაძისა 1885 წ. 80 გვ. კაბადოკია, ანუ ჭანეთი, დღესაც სავსეა ეტნოგრაფიულის და გეოგრაფიულის სახელებით, რომელნიც წმინდა ქართულნი არიან. იხ. ივერია 1877 წ. № 14, 15, 16 და 17. წერილები დ. ჩუბინოვისა და კიპერტის გეოგრაფიული რუკა «მცირე აზიისა».

<sup>35</sup>) ვასილი დიდს თვით საეკლესიო ისტორიაც არ აღიარებს ბერძნად; საეკლესიო პატროლოგიაში (მამათცხოვრებაში) ვასილი ცნობილია მეფის შთამომავლად. ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ ვასილი დიდს ჰქონდა დიდი მშვენიერი მთაბარი კლარჯეთში, ეხლანდელი „ისპირის წყალზედ“, მარცხენა ტოტი მდ. ჭოროხისა, რომელიც მთელ მდ. ირისის (თორთომის) ხეობას შეიცავდა. მისი სახლი მაღლა გორაზე იდგა და მშვენიერი გასახედ-გამოსახედი იყო დიდს მანძილზედ. აქ დასწერა ვასილმა თვისი შესანიშნავი თხზულება „ექვსთა დღეთათვის შესაქმისა“ იხ. Космосъ Гумб. 23-92 გვ. ეს ადგილი დღესაც აღნიშნული მიუდგომელ მაღლობზეც ციხე-დარბაზის («ცივა-სროლა») ნანგრევებით, სოფ. საღორეთის მახლობლად, იხ. Археол. путеш. по Гуріи и Адчаръ. Д. Бакрадзе 42-43 გვ.

ნელი, წმ. გიორგი<sup>36</sup>), წმ. ნინო და ათცამეტნი ასუ-

რელნი მამანი იყვნენ ბუნებით ქართველნი და ჭემ-  
მარიტნი მამულის შვილნი <sup>37)</sup> მრავალნი ქართველი მამა-  
ნი ძველადგანვე სწერდნენ (მაგ. ნიკიტა V საუკუნეში)  
წმ. ცხოვრებათა <sup>38)</sup> და სხ. სასულიერო თხზულებათა  
ანუ კანონებსა — არაბულსა (თეოდორე ეპისკოპ. ხარანე-  
ლი მოწაფე იოანე დამასკელისა; მიქელ ხუცესი სვიმონ  
წმიდელი 1082 წ.) იხ. ქრონიკები ჟორდანიასი 312 გვ,  
ასურულსა და ბერძნულს ენებზედ <sup>39)</sup>. IX საუკ. დამდეგს  
ევთიმე ათონელმა ქართული ენიდან გადათარგმნა ბერძ-  
ნულ ენაზედ „სიბრძნე ბალავარისა“, აღწერილი VII სა-  
უკუნის დამდეგს იოანე ბერ-მონაზონის (570-634 წ.) <sup>40)</sup>.  
ჩვენ ეჭვი არა გვაქვს რომ ეს იოანე ბერ-მონაზონი არის  
ჩვენი სახელოვანი სინელი ბერი იოანე მოსხი იხ. ზევით.

---

<sup>36)</sup> ბერძნები „გიორგოს“ ეძახიან დღესაც ყოველ ქართველს,  
ნიშნავს მიწის მხვენელს, მიწის მუშაკსა. წმ. გიორგი დაიბადა კა-  
ბადოკიაში 284 წ. დატანჯა დეოკლიტენესაგან 304 წ.

<sup>37)</sup> სახელოვანი საბერძნეთის გეოგრაფი სტრაბონი ხომ ქართ-  
ველი იყო დედით (ჭანეთის ერისთავის ქალი იყო); ჭანეთი ძველად  
პონტოს სამეფო, ანუ კაბადოკია. იხ. ივერია 1874 წ. № 14, 10 გვ.

<sup>38)</sup> იხ. 1878 წ. ივერია № 28, 9 გვ.

<sup>39)</sup> ასურულ-ქალდეური ენის გავლენა «სახარებაში» დღესაც  
ეტყობა: სატყვეები «ბარ» (მათ. 27, 16 ბარ იონა — ძეო იონასო)  
და „რაკა“ (მათ. 5, 22) წმინდა ასურულ-ქალდეური სიტყვებია;  
აგრეთვე „აბზა“ (სახარ. მარკოზი 14, 16. რომაელთა 8, 15; გა-  
ლატელთა 4, 6).

<sup>40)</sup> იხ. «სიბრძნე ბალავარისა» გამოც. ე. თაყაიშვილისა, 135,  
138 გვ.

- 28 -

## VI

### ქართული საერო სიმღერები და ქართული საეკლესიო გალობა.

საბა ორბელიანი ასე ახასიათებს „გალობასა“: გალობა  
არის თვისისაებრ უკვე სიტყვის კმაღ რადმე, ტკბილად თქმუ-



ლი მადლობად; გალობა არს ღმრთის მეტყველების მადლისა ხედვისა მქონებელი იყოს: გალობა არს ჳმა ავაჯიანი, შეწყობით აღტყვებული, თვინიერ ორღანოისა, გინა ორღანითა და მწყობრითა: გალობა არს მართლ-მადიდებლობით ღმრთის მეტყველება, რომელი თავით თვისით იწვრთიდეს შეწირვასა ღვთისასა და სულისა სრულისა ვისმე (იხ. ლექსიკონი 45 გვ.)

შეთვისება, შესწავლა გალობისა, ანუ სიმღერისა ყურთა სმენით — ძველადგანვე ჩვეულებრივი საქმე იყო მთელ საქართველოში, როგორც სხვა ხალხებშიცა. ამ გვარად შესწავლილ სასიმღერო კილოებს ყველა პატივისცემით ეკიდებოდა და შეჩვეულ ყურთასმენას უძნელდებოდა შესწავლილი კილოების შეცვლა, ან დავიწყება. ძველი სასიმღერო და საგალობო კილოების შენახვას დიდათ ხელს უწყობდა თვით ქართველი ერის ცხოვრება: მრთელი მლოცველთა კრება საყდარში გალობდა ხოლმე წირვა-ლოცვის დროს, როგორც ბევრგან დღესაც. გარდა ამისა, ბუნებით მომღერალმა ქართველმა ერმა ძველის-ძველადგან თვითოეულ ჩვეულებას, თვითოეულ სამუშაოს და ხელსაქმეს საკუთარი სიმღერა შეუქმნა. ამ გვარად, ჭირში თუ ლხინში, შინ თუ გარეთ, გზაში თუ მუშაობის დროს — ქართველი ყოველთვის მღერის. ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ (11 გვ.), რომ პირველში სამღვდელო-

- 29 -

ებამ საერო კილოებს მოუწყო საქრისტიანო საგალობლნი (ტექსტი) და საკერპოების ნაცვლად საყდრები აღაშენაო.

ამის უეჭველ საბუთს ხელში გვაძლევენ დღევანდელი საერო სიმღერები, რომელნიც პირველიდგანვე დედნად შექმნილან, ანუ საფუძვლად დასდებიან საეკლესიო საგალობლებს. ამ გვარ საერო კილოებად ჩვენ ვრაცხავთ დღეს — „ყურშაოს“, „ღმერთო, ღმერთო მოწყალეო“-ს „შაშვი კაკაბი“, „ბედზედ დაგნატრი, ბარათო“, „ვაჰ შენ, ჩემო თეთრობატო“, „დიდება“ და სხ. მრა-

ვალს.

ქართლში იმღერება ძველი საერო კილო:

„ვინცა კაცია, არნანო  
ჩოხა ჯაჭვია, თარნანო  
ქუდი ნაბდისა, არნანო  
ჩაბალახია“.

ეს კილო წარმოადგენს ჭეშმარიტს დედანს საეკ-  
კლესიო საგალობლისას წირვაზედ: „შენ გიგალობთ, შენ  
გაკურთხევთ, შენ გმადლობთ უფალო და გევედრებით  
შენ, ღმერთო ჩვენი“. სიმღერა „ბედზე დაგნატრი ბა-  
რათო“ არის დედანი საგალობელისა „მამასა და ძესა“ ...

ვინც ნამდვილის კილოთი იგალობებს, ან იმღერებს  
ერთ-ერთს ამ კილოთაგანს, ყველა შენიშნავს უეჭველს  
დამოკიდებულებასა მათ შორის. ესრეთსავე მსგავსებას შე-  
ნიშნავს ყველა „რომელი ქერაბიმთასა“ და ზემოთ მოხსენე-  
ბულ სიმღერებს შორის. ნუ დავივიწყებთ, რომ მოძახილი და  
ბანი, როგორც საეკკლესიო გალობაში, ისე საერო კი-  
ლოებში ერთი და იგივეა. მიზეზი ეს არის, რომ ქრის-  
ტიანობის მიღებიდანვე ქართველი ერი შეეჩვია წირვა-  
ლოცვის დროს გალობასა; მეფეთაგან დაწყობილი უკა-

- 30 -

ნასკნელ გლახ-კაცამდე ყველა გალობდა ეკკლესიაში.  
მეფეთა და დიდებულთა ოჯახებში ახალგაზდა ბატონი-  
შვილებს ძველადგანვე მიუჩენდნენ ხოლმე საუკეთესო  
მგალობლებს გალობის მასწავლებლად<sup>41)</sup>. ჩვენი საუკე-  
თესო მგალობელი ძველადგანვე კარგი საერო მომღე-  
რალნიც იყვნენ ხოლმე ყოველთვის, როგორც ამ ბო-  
ლოს დრომდე. მაგ. მღ. გრიგოლ კარბელოვი მგალო-  
ბელი საუკეთესო მომღერალიც იყო; კახეთში საუკეთე-  
სო მომღერალი სოსიკო კოჭმანიშვილი ძალიან კარგი  
მთქმელიც იყო ზოგიერთა საგალობელისა. დღესაც კარ-  
გი ქართული მომღერალი კარგი მობანეა ქართულის ბა-  
ლობისა. ყოველ მეჯლისზედ, თუ დიდს ოჯახებში, ჯერ  
უნდა საეკკლესიო გალობით დამტკბარიყვნენ, მერე სა-

ერო სიმღერით.

ჯერ ისევ წმ. ნინოს დროსვე ვპოულობთ საბუთს, რომ ქართველნი ადიდებდნენ ღმერთსა: „...ხოლო ქრისტეანენი უფროს მორწმუნე იქმნებოდეს და ადიდებდეს ღმერთს“ ... „და უმეტესად ადიდებდეს ღმერთსა“ ...

„ადიდებდა ღმერთსა და თაყვანის სცემდა პატიოსანსა ჯვარსა“ და სხ.) ქართლ-კახეთში „დიდება“ და გალობა ერთი და იგივე მნიშვნელობისანი არიან ძველადგანვე: ერთ ძველ კილოს კარი-კარს დასავლელად, შესაწირავის მოსაკრებად მღერიან დღესაც და „დიდება“ ეწოდება.

... „მყის იხმნა (მეფე ვახტანგ გორგასლანმა) ეპისკოპოსნი სამეფოსა თვისისანი და სიმრავლე სამღვდელოსა მწყობრისა და წარავლინა სოფელსა წრომს, სადა იგი დაკრძალულ იყო მრავალ-მოღვაწე გვამი მის მოწამისა

---

<sup>41)</sup> საქართ. სამოთხე 373 გვ. 810-815 წ. ილარიონ ქართველი მიაზარეს სასწავლებლად „მღვდელსა ვისმე მოხუცებულსა“ ...

<sup>42)</sup> იხ. ქ.-ცხ. I ნაწ. 96 გვ.

(რაჟდენისა † 457 წ.) და ვითარცა მიიწივნეს მუნ და იხილნეს წმ. იგი ნაწილნი... აღმოიღეს მიერ სამარხოთ და აღიღეს მუნით და წარმოემართნეს გალობით და ფსალმუნებითა <sup>43)</sup>.

„... აღვიღეთ გვამი მისი წმ. შუშანიკისა... ყოველი კრებულთურთ ფსალმუნითა სულიერითა და მოვიხვენით წმიდასა მას ეკკლესიასა“ <sup>44)</sup>. თვით ოხითანი (ტროპარნი) წმ. ნინოსი, რაჟდენისა., შუშანიკისა, სვეტიცხოვლისა და სხ. წმიდათა იმ თავითვე არიან შედგენილნი. თუ სადამდე თავისებურობას იჩენს ქართველი სამღვდელოება, ამას გვიმტკიცებს ვასილი დიდის „ჟამის წირვაზედ“ სახმარი საგალობელი („ყოველთა და ყოვლისათვის“ ნაცვლად) „ზეცით გამოჩინებულისა ქრისტეს მეუფისა. მსხვერპლის შემწირველო ვარსკვლავო, ყოვლად ბრწყინვალეო, და განმანათლებლო კესარია კაბადოკიის ქალაქისაო, დიდო

მღვდელთ-მთავარო ბასილი, ჩვენ ყოველნი პატივს გცემთ მეოხ-გვეყავ ჩვენ“, რომელიც არც ბერძნებს, არც რუსებს და არც სომხებს არა აქვთ. ძველ სამწუხრო სძლის პირებში ჩვენ არა იშვიათად გვხვდება წმ. მთ.-მოწ. გიორგის საგალობელი, რომელიც გიორგი მთაწმ. შემდეგ საგალობლებში არსად შეგვხვდრია, როგორც სხვა მრავალიც; აი ეს სძლის პირი: ხმა ა. „გიორგი მხედარი. მეუფისა დიდისა, წინააღუდგა. სამსჯავროსა მძლავრთასა. და სიმხნით შეურაცხყო სატანჯველი. და ყოველი საცთური მტერისა განაქარვა. და ღირსებით გვირგვინოსან იქმნა მაცხოვრისაგან. და ითხოვს მშვიდობასა და დიდსა წყალობასა სულთა ჩვენთათვის“. ფიტარული სძლისპირთა

---

<sup>43)</sup> იხ. საქ. სამოთხე 179 გვ.

<sup>44)</sup> იხ. იქვე 192 გვ.

მიხედვით პასექის 9 სძლისპირის „განათლდი, განათლდი ახალო იერუსალიმ“... თანახმად იგალობება. „ქართლის ცხოვრება“ ხშირად გვარწმუნებს, რომ საქართველოს ეკლესიაში საღმრთო მსახურების დროს მწყობრი გალობა ატკობდა მლოცველთა სმენასა. თვით მეფეთაგან დაწყებული მთელი ქართველობა მტკიცედ იდგა სარწმუნოებაზედ და მრავალთა აღირჩიეს ტანჯა-წამება. გვირგვინოსანნი მეფენი, მღვდელთმთავარნი, წარჩინებულნი და სხ. მრავალნი ღირს იქმნენ მოწამეობის გვირგვინისა. ამისთანა მამულიშვილებს სამღვდელთა კრება მაშინვე უწყებდა დღესასწაულსა და უთხზავდა შესაფერ საგალობლებსა. ამის საბუთს გვაძლევს ჩვენ ბრძანება ქართლის კათალიკოზის სამოელისა (779-794 წ.) იოანე მღვდლის საბანის ძისადმი, რომლითაც ავალებს იმ ჟამად (786 წ. იანვრის 6, პარასკევ დღეს) წამებულის წმ. აბო ტფილელის ცხოვრების და მოწამეობის მოთხრობის აღწერასა. მღვდელი იოანე საბანისძე თანხმობით პასუხს მოახსენებს და შეუდგება საქმეს <sup>45)</sup>. აბოს საგალობლები სრული სხვა-

და-სხვა სამი კანონი, სამწუხრო და საცისკრონი, დაცულია „მიქელ მოდრეკილის კრებულში“<sup>46)</sup>. ამავე კრებულში ვიპოვეთ სრული საგალობელი კანონი პატივად წმ. მოწამისა კონსტანტინე ქართველისა (22 ნოემბერს)<sup>47)</sup> 338-340 გვ. ცხადია, რომ ქართველი სამ-

---

<sup>45)</sup> ეს გრამოტა და პასუხი აბოს მოთხრობით მოთავსებულია IX საუკუნის «სვანურ» ტყავზედ ხელნაწერში, რომელიც დაცულია ტფილისის საეკლესიო მუზეუმში № 19. აბოს საგალობლები იხ. ქვეით.

<sup>46)</sup> იხ. იოანე საბანის მის მშვენიერი საგალობელნი საქართ. სამოთხ. 348-350 გვ. და «სვანურ მანუსკრიპტში» № 19, გვ. და მიქელ მოდრეკილის კრებულში 176 გვ.

<sup>47)</sup> ეწამა 853 წ. 10 ნოემბერს, პარასკევ დღეს. ამ დროსვე იოანე კათალიკოზმა დააწერა მისი დღესასწაული. იხ. საქ. სამოთხე 368 გვ.

ღვდელო, თუ საერო კაცი — თავის ახლად შედგენილ საგალობელს ამოუყენებდა ანუ ახალს, რომელსამე საერო კილოდს მსგავსს კილოს, ანუ უკვე წინად შემოღებულს და გავრცელებულს კილოს თანახმად მოაწყობდა. ამის საბუთს დღეს ყოველ სეკულესიო წიგნში შეხვდება მკითხველი. ყოელ დასდებელს, სტიქარონს და სძლისპირს ზევიდან აწერია სათაური „კილოს დედნისა“, როგორც ძველად; მაგ მარხვანის პირველ დასდებელს „ნუმცა ვილოცავთ“ ზევიდან აწერია — „ეჰა დიდებული“. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი დასდებელი უნდა ვიგალობოთ „ეჰა დიდებულის“ კილოზედ. ესრეთივე მსგავსება ზოგიერთ საერო სიმღერებში გვარწმუნებს, რომ ჩვენი საეკლესიო კალოები წარმოსდგნენ საერო კილოებიდგან. როგორც საერო სიმღერები, ისე საეკლესიო თვითოეული საგალობელი შესდგება რიგზედ სამი, ან ოთხი სხვა-და-სხვა კილოსაგან, რომელნიც ერთმანერთისაგან სასვენით განიყოფებიან. თუ სიმღერა ან გალობა გრძელია, როგორც მაგ. აწდა პირველის, მეოთხე ხმისა და სხ., მაშინ წინა კილოები ტექსტის გვარად განიმეორებიან ჯერ-ჯერით,

ზოგი ერთხელ, ზოგი ორჯელ და სამჯერაც. არიან ისრეთი საგალობელნიც (ცოტა წინადადებათაგან შემდგარნი), რომელნიც მოლოდ სამი, ან ოთხი სხვა-და-სხვა კილოსაგან შესდგებიან, მაგ. „ჯვარსა შენსა თაყვანისვსცემთ“, „წმიდაო ღმერთო“, „ნათელ მოხვედ“ და სხ. მაგრამ ისრეთი სიმღერები და საგალობელნიც არიან, რომლებშიაც მხოლოდ პირველი და გასათავებელი კილოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო შუა მუხლები შეადგენენ პირველი კილოს განმეორებასა, მაგ. „ღმერთო, ღმერთო მოწყალეო“, „შაშვი კაკაბი“, „ვამ შენ ჩემო თეთრო ბაო“, „ყურშაო“, „ჭონა“, „ალი-

- 34 -

ლო“, „შენ გიგალობთ“, „შენ ხარ ვენახი“, „მამასა და ძესა“ და სხ. აი ამ ყოველი საგალობლის შემადგენელ თვითთოეულ კილოს საკუთარი წოდება აქვს ძველადვე მიჩემებული და საერთო ჭრელებად იწოდებიან. ზოგიერთა საგალობელში რომელიმე სიტყვა მეტია, მაგ. „აცხოვნე უფალო ერი შენი“, მაგრამ გალობით კი არ იგალობება იგი მეტი სატყვა; ზოგ საგალობელს რომელიმე სიტყვა აკლია, მაგრამ გალობით კი იგალობება იგი ნაკლი სიტყვა, მაგ. „რაჟამს შთახედ საფლავად“...

მრავალნი საგალობელნი ორ კილოზედ იგალობებიან, ე. ი. მეხურად, როგორც მიქელ მოდრეკილი გვამცნებს, მაგ. სძლისპირნი ა ხმისა — შობისა, აღდგომისა; ვ ხმისა „მოკვეთილი ჰკვეთს“ და სხ. ესრეთ საგალობელთა ორ კილოზედ გალობისათვის აი რა მშვენიერს საყურადღებო ცნობას გვამღევეს სახელოვანი მიქელ-მოდრეკილი თავისი კრებულის 49 გვ. ქ. საყვარელნო, უკეთუ ერთსა სძლისპირსა ზედა რომელიმე კილოდ ერთი ორგვარად იყოს აღნიშნულ, ნუ უცხო გიჩნ, ნუცა ურთაერთას წინამდღომ, რამეთუ რომელიმე მრავლისა ძლისპირისა ერთი კილოდ ორ გვარად არს მეხურად. ხოლო შენ რომელიმე გინებს, ბრძანე, რამეთუ ორივე ჭემმარიტ არს <sup>48</sup>). არიან ისრეთი სძლისპირ-

48) ეს წარწერა ან არად ჩააგდეს, ან მხარი აუქციეს ჩვენმა მეისტორიებმა — ზბ. ჟორდანია და ჯანაშვილმა. განა ამაზე ცხადად აზრის გამოთქმა და იქმნება? მერე მრავალ ალაგას ნაპირებზედ აწერია კრებულში „მეხურნი“ სძლისპირებს, რომელნიც მართლაც დღეს ორ კილოზედ იგალობებიან. საიდან «სომეხური», სად «მეხური»? საკვირველი არ არის ამ წარწერის შემდეგ? იქნება მათ თვისი აზრის გამოთქმის დროს სახეში იქონიეს ჩვენი ძველი ანდაზა «მოვიდა სომეხი, მოიტანა სხვა მეხი?» ქართულს საგალობლებში ორნაირ კილოზედ სათქმელნი საგალობელნი შეადგენენ ცალკე განყოფილებას, რომელსაც მიქელ-მოდრეკილი უწოდებს «მეხურნი».

- 35 -

ნიც, რომელნიც სამ კილოზედ იგალობებიან; ეს მესამე კილო „იამბიკოს კილოა“ და დღესაც ვხმარობთ. ამისთანა საგალობელნი არიან — „ლოცვამან ანნა“ „სამხასახეობა სამებისა“ და სხ. ამ გვარი სხვა-და-სხვაობა ერთი და იმავე საგალობლის კილოებისა საერო სიმღერებშიაც მოიპოვება: „ღმერთო, ღმერთო მოწყალო“, „ალილო“, „მუშური“, „შაშვი კაკაბი“ და სხ. ესრეთი ერთობა ჩვენს საერო) და საეკლესიო კილოებს შორის უფრო განმტკიცდება, როდესაც ჯეროვანად შევისწავლით მაგ. კილოებსა და მეცნიერულად შევიმუშავებთ. ჩვენ აქ მხოლოდ მოვიყვანთ იმ „ჭრელებს“, რომელნიც წარმართობის დროდანვე საფუძვლად დასდებიან ჩვენ საერო და საეკლესიო კილოებს; აი მათი სახელები:

- |                          |                       |
|--------------------------|-----------------------|
| 1, ჯელმწიფე კილო,        | 13, ასამაღლებელი,     |
| 2, ბოხუმი,               | 14 დიდი ასამაღლებელი, |
| 3, საჭექენი,             | 15, ნოინი,            |
| 4, სამი საბრუნავი,       | 16, დაბანება,         |
| 5, მცირე სამი საბრუნავი, | 17, ჩაბანება,         |
| 6, უცხო,                 | 18, ჩაჟანგული,        |
| 7, წინ თქმა,             | 19 შეყრილი,           |
| 8, დიდი წინ თქმა,        | 20, მრავალგვარი,      |
| 9, უსტაური,              | 21 ამონი,             |
| 10, ოინი,                | 22, ახაია,            |
| 11, მცირე ოინი,          | 23, ოდია,             |

12, ყოვლად წინდის კი-  
ლო,

ამ ჭრელებზედ თავის დროზედ ვრცლად მოვილაპა-  
რაკებთ შემდეგ.

24. დასდებლის კილო,

- 36 -

## VII

### საგალობელთა თხზვა ქართულს ენაზედ ძველადგანვე

ქრთული ენა ქრისტეანობამდე იმდენად ყოფილა შემუშავებული, რომ საქროსტეანო საგალობლების წე-  
რა ადვილი იყო; ვისაც სურს დარწმუნდეს, ვურჩევთ  
გულ-დადებით გადაიკითხოს პეტრე ქართველის (მაიუმე-  
ლის) ცხოვრება და იქიდგან სცნობს <sup>49)</sup>, თუ რა მდიდა-  
რი იყო მაშინვე ქრთული ენა. ამას გარდა წმ. ნინოს  
ცხოვრება და ქართლის ცხოვრებაში ოდნავ ცვლილე-  
ბით შეტანილი (64-102 გვ.) და ახალი ვარიანტი „ქარ-  
თლის მოქცევისა“ <sup>50)</sup>, ცხოვრება და მოწამეობა: რაჟდე-  
ნისა, შუშანიკისა, გურანდუხტისა და სხ. მრავალნი გვარ  
წმუნებენ, რომ ქართველთა ტომი ფრიად განვითარებუ-  
ლი ერი ყოფილა იმ დროს დასავლეთ აზიის ერთა შო-  
რის. ჩვენ ვაცით, რომ წმ. ნინოს დროსვე დაწესდა რა-  
მდენიმე დღესასწაული, რომელნიც დღემდე წმინდათ აღ-  
სრულდებიან ჩვენს ქვეყანაში: სვეტიცხოვლისა, ჯვარ-  
პატიოსნისა, წმ. ნინოსი (100 გვ. ქ.-ცხ.) და სხ. <sup>51)</sup> ჩვე-

<sup>49)</sup> იხ. ქ.-ცხ. I ნაწ. 101-103 გვ.

<sup>50)</sup> ი. ე. თაყაიშვილის „სამი ისტორიული ხრონიკა“ და  
«ქრონიკები» თ. ჟორდანიასი 11-81 გვ.

<sup>51)</sup> ამ დღესასწაულთაგან საბერძნეთის ეკკლესიამ თავია სა-  
მარცხვინოდ არც ერთი არ მიიღო ნაციონალური ანგარიშებისა  
გამო. მაგ., ჯვარპატიოსნის დღესასწაული წმ. ნინოს დროსვე და-  
წესდა სულის წმიდის მოსვლის შემდეგ ოთხშაბათს (იხ. ქ.-ცხ. I  
ნაწ. 95 გვ.). დღეს ჯვარი პატიოსანი ასვენია ს. ჭალაში და ეკუ-  
თვნის ამილახორის გორის მოურავის ოჯახსა და მისი დღესასწაუ-



ლი სწორედ სულის წმ. მოსვლის შემდეგ ოთხშაბათს სრულდება დღემდე.

- 37 -

ნამდე მოაღწიეს მრავლთა საგალობელთა, რომელთაგან მცირედს მოვიხსენიებთ: სხვათა შორის ჩვენ ქართველთა გვაქვს საკუთარი საგალობელნი, წოდებულნი „არსების ხატად“<sup>52)</sup>, სადაც უფრო პატივცემულთა წმიდათათვის არიან მოთავსებულნი საგალობელნი სულ 36. აქედგან მოგვყავს რამდენიმე ნიმუში:

ჯვარისა: „ჯვარსა წმიდასა პატიოსანსა, რომელსა აქებენ ენგელოზნი და ძალნი ზეცათანი, ჩვენცა მათ თანა თაყვანის ცემით და ვადიდებთ და ვითხოვთ მისგან ხსნასა ყოველთა ვნებათაგან“.

სვეტის ცხოვლისა: „სვეტო ღვთივ აღმართებულო თაყვანი გცემთ. კვართო საუფლოო და მირონო წმიდაო. ჯვარო ქრისტეს ღვთისაო რათა მოსცე ძლევა მეფესა ჩვენსა. შენ მიერ ცხებით გვირგვინოსანსა“.

ბასილისა: „ყოველთა სენთა საკურნებელად შეცოდებულთა სულთა გამომხსნელად გამოსჩნდი. ყოვლად სანატრელო ბასილი. საღმრთოსა მღვდელობისა საუნჯეო. ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“.

ანდრია მოციქულისა: „ანდრია მოციქული ვადიდოთ, რომელმან მოგვისვენა ხატი ყოვლად წმიდისა. და მით მოგვაქცივნა წარმართნი თაყვანისცემად. მამისა და ძისა და სულისა წმიდისა“.

ნინოსი: „უნათლისმცემლე ცხოვართა განბნეულნი. ვითარცა ძწყემსმან კეთილმან შეჰკრიბე. და მიგვარნე ქართველნი ღმერთსა. მათსა დედაო წმიდაო ნინო. ევედრე შვილთა შენთათვის ქრისტესა ღმერთსა“.

---

<sup>52)</sup> ამ საგალობელს თავში უწერია: «ეს არსების ხატი ბერძენთ არა აქვსთ, ქართლში თქმულია და ამისთვის არ დავაგდევითა». იხ. ჟამნი 1889 წ. გამოც. 76 გვ.

ამას გარდა, ჩვენამდე მოაღწიეს შიო მღვიმელისაგან შეთხზულთა ორმა ოხითამ (ტროპრებმა), რომელნიც იპოვებიან დღესაც მრავალ ძველ ხელნაწერებში და დაბეჭდილ არიან „საქართ. სამოთხეში“, 202 გვ. თქმული წმ. და ნეტარისა შიოს მიერ, რომელსა მარადის იტყვიან ოხითად მკვიდრნი მის (შიო მღვიმის) მონასტრისანი. ოხითა. ი, გ~ი. „კურთხეულ ხარ შენ ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო ქალწულო, დედოფალო მარიამ, რამეთუ განხორციელებითა შენგან ქრისტეს ღვთისათა სოფელი განთავისუფლდა ცოდვისაგან და ყოველნი ზიარ ვიქმენით ანგელოზთა და უხრწნელებასა ღირს ვიქმენით და სამოთხე მოვიღეთ. შენ გევედრებით, დედაო ნათლისაო, დიდებულო, ნათლისმცემლისა იოანეს თანა დიდებულისა, მეოხებად ნუ დასცხრები წინაშე სამებისა წმიდისა ჩვენთვის, რომელნი ესე ვითხოვთ შენგან წყალობასა“. ესე მუხლი ოდეს პირველადვე ქვემოსა შინა ქვაბსა იყო და გამოუჩნდა მას წმ. ღვთისმშობელი ნათლისმცემლისა თანა, მაშინ გამოთქვა და უკანასკნელ მისცა მოწაფეთა, რათა ისწაონ და ყოველთა ლოცვათა უკანასკნელ იტყოდინ წინაშე ხატსა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისასა, ლიტანიად რა შევიდენ ეკკლესიასა შინა მისსა. ხოლო ოდეს განსრულდა ეკკლესია წმ. სამებისა, მაშინ ესე ოხითა გამოთქვა. ოხითა ა, გ~ი „გარე შეუწერელსა და უცვალებელსა სამებასა სამგვამოვანსა, დაუსაბამოსა მამასა და ძესა და სულსა წმიდასა ერთღვთაებასა განუყოფელსა და შეურყვნელსა გევედრებით უღირსნი ესე მონანა შენნი და თაყვანის გცემთ. სახლი ესე სიწმიდისა შენისა დაიცევ უკუნითი უკუნისამდე და საკურთხეველი ესე, რომელ მოგვმადლე, მადლითა შენითა დაიცევ ყოვლისავე კვეთჳბისაგან, დაურღვეველად ძრვი-

საგან, დანთქმისა და ცეცხლისა და ზედა მოსლვისაგან

სულთა უკეთურთასა და მათგან აღძრულთა ბარბაროზთა, მეოხებითა უქორწინებლისა ღვთისმშობლისათა და დიდებულთა ანგელოზთათა და წმიდისა ნათლისმცემლისათა, სიმრავლესა თანა ყოველთა წმიდათა შენტასა და გვაცხოვნენ ჩვენ უფალო სახიერო ალლილუია“. და უბრძანა (წმ. შიომ), რათა ამას ოხითასა ყოველთა კვირიაკეთა დღეთა მწუხრითა იტყოდინან სხვათა ოხითასა თანა<sup>53</sup>).

მიქელმოდრეკილის კრებულში ჩვენ ვიპოვეთ სამი საგალობელი სრული კანონი, წმ. აბოს პატივად შეთხზული სხვა-და-სხვა პირთაგან. მოგვყავს სანიმუშოდ ორი საგალობელი, რომელთა მთხზველი, ჩვენის ფიქრით, არის მღვდელი იოანე საბანისძე: „თვესა იანვარსაა 1/1, ხსენება ღვაწლითა შემოსილისა უძლეველისა მოწამისა ჰაბო ისმაიტელი ყოფილისა ქართველისა:

ოხითა ჳმა 2 გი „გიხაროდენ გამორჩეულო, მაღლისა მიერ ღვთისა მამისა, და ძისა. მხოლოდ შობილისა მიერ წოდებულო, სულისა წმიდისა განბრწყინვებულო ზეცას უხორცოთა გუნდსა თანა შეერთებულო, მოწამეთა და მართალთა შორის ქებულო, ეკლესიათა. შვენიერო სამკაულო. მარტვილთა სიქადულო. მეფეთა სიხარულო, მორწმუნეთა შემწეო, ახოვანო მოღვაწეო აბო. ღმერთსა ევედრე აწ, მონიჭებად სულთა ჩვენთა დღეს დიდი წყალობა“. დასდებელი უფალო ღაღადყავსა ზედა: „განჰკაფე გვამი შენი წმიდაო მარხვითა და განსწმიდე სული შენი. მაშინ მადლითა ღვთისა მიერთთა აღივ-

---

<sup>53</sup>) იხ. საქართ. სამოთხე 25მ გვ. და ჩემი ხელ-ნაწერი „ცხოვრ. ღირს შიომღვიმელისა“ ბოლოს.

სე და მიჰრბიოდე წამებად. ვითარცა ზვარაკი. შესაწირავად ღვთისა მრგვლიად დასაწველად. და აღიარე კადნიერად მძლავრთა წინაშე და სახელსიდედ. ქრისტიანედ და სთქუ. არაჲ მეშინის ტანჯვათაგან თქვენთა უღ-

მრთონი და თაყვანის ვსცემ. ღმერთსა ჩემსა სამებით ცნობილსა და ერთარსებით დიდებულსა<sup>54</sup>). შემდეგ იმავე კრებულში ვიპოვით წმ. კონსტანტინე მთავრის საგალობლებს: „ნოემბერსა კბ, წმიდისა მოწამისა კონსტანტი ვახადა ქართველისა მოწამისაჲ. უფალო დადადყავსა ზედა დ, გი. რომელმან ედემს შინა ოდესმე<sup>55</sup>) „ვითარცა მოიყვანეს წინაშე. უსჯულოსა მძლავრისა. ძლევა შემოსილი. მოწამე ქრისტესი. წმიდაჲ კონსტანტი. ხოლო იგი განუმზადებდეს. საფრხესა რათა დააბრკოლონ. გზისა მისგან ჭეშმარიტისა. რამეთუ არცა პატივითა. არცა გინებითა და ჭირითა. განეშორა სიყვარულსა ქრისტესსა. არამედ სიხარულით მოუდრიკა მახვილსა ქედი დასთხინა. სისხლნი თვისნი, რომლისათვისცა. გევედრებით მეოხებითა მისითა მაცხოვარ. აცხოვნენ სულნი ჩვენნი“. (მესამე მუხლი).

---

<sup>54</sup>) იხ. მიქელ მოდრეკილის კრებული 176 გვ.

<sup>55</sup>) ესე დედანო: „რომელმან ედემს შინა ოდესმე. ხეთ იგი საცნაური აღმოაცენე. შორის ნერგათა მისთა ეკკლესიასა შინა ქრისტე. ჯვარი შენი აღაყვავე. რომელმან მოეც. სოფელსა მშვიდობა. არამედ. მაშინ მოაკვდინე ხესა მის ჭამითა ადამ. ხოლო აწ განაცხოველე სარწმუნოებითა ავაზაკი. რომლისა ზიარად. მოტევებისა მიჩინენ ჩვენ ქე მაცხოვარ. რომელმან ივენ ჩვენთვის. და დასხენ შური იგი მტერისა. და ღირს მყვენ ჩვენ ყოველნი. შენსა ზეცისა სასუფეველსა“, დღესაც მრავალ „სძლისპირებშია მოქცეული, როგორც სხვა საგალობელთა დედანი ძველებრ, და ამიტომ ერთ დიდს საბუთთაგანს შეადგენს ჩვენის გალობის სიმძვლისას.

„ადამსა, რომელმან წინადაწარ მოა... „შენ რომელწყაროდსა მისგან ცხოვრებასა ასუამ. და მშურალად იწროდსა. მის გზისა მოგზაურთა. ფართობად შეიწყნარებ რომლითა წმიდაჲ კონსტანტი გვირგვინოსან იქმნა“. (მეორე მუხლი მეცხრე სძლისპირებისა)<sup>56</sup>)

არსენ კათალიკოზმა (925-987 წ.) სხვათა შორის შეადგინა წმ. ნინოს პატივად სრული სამწუხრო და საცისკრო მშვენიერი კანონი, რომელიც 1805 წ. მოსკოვში დაბეჭ-

დილ სადღესასწაულოშია მოქცეული ვარლამისაგან. სა-  
ცისკრო სძლისპირთა კიდურ წერილობას აქვს „ქებით  
უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს არსენი“. დასდებელი ჳმა.  
დ. მხნეონი. „აღზრდილი უბიწოებით. მტკიცე სარწმუ-  
ნოებითა მოძღვარი ქართლისა სანატრელი ნინო. მხევა-  
ლი ყოველთა მხსნელისა, რომელი კვალსა მისსა შეუდ-  
გა სიხარულით. და უქადაგა ყოველთა ძალი ღვთაებისა  
და ასწავებდა ერსა განყენებად კერპთა მათგან უსუ-  
ლოთა და უჩვენა გზა ჭეშმარიტი“. სტიქარონი: „ნელ-  
საცხებელისა კუალთა შენთასა ქრისტე სიძეო შვენიე-  
რო მისდევდა ღირსი. და ნეტარი მხევალი. ტრედი უმან-  
კო. გვრიტი შვენიერი. და მერცხალი ხმა ტკბილი. და  
სურნელება შენი იყნოსა. და უქადაგა ერთა. სახელი  
შენი. ხმა მაღლად უბიწოთა სულითა. ნინო ნეტარმან.  
და ყოველთა ღვთაება შენი ასწავა“. (მეორე მუხლი).

სძლისპირი დ; „ლმობიერ ახოვან. იყავ ბრძენო გუ-  
ლითა. არა გრცხვენოდა. ქადაგებად ქრისტესა. პართნი  
აღავსენ. სასწაულთა ელვითა გაიანე და რიფსიმე ძღვნად  
მიუპყრენ. ქრისტესა ხოლო. მან შენ ჩვენთვის დაგმარ-  
ხა“. სძლისპირი ზ „ჰი მეფობაო ქართველთაო იხარებდ.

---

<sup>55)</sup> იხ. მიქელ მოდრეკილის კრებული 338-339 გვ.

რათუ ნინო დაგადგა შენ გვირგვინი. ქრისტეს მიერი.  
ზოგადი კრება ყავ დღეს. რამეთუ მოციქული ჩვენი მო-  
გვიწოდს. ტაკუკითა წმინდითა გვისტმრებს ჩვენ<sup>57)</sup>.

მიქელ მოდრეკილის კრებულში ვიპოვეთ იოანე  
მტბევარის მიერ შეთხზულნი საგალობელნი: 25 დეკემ-  
ბერს, ქრისტეს შობისა. ოთხითა ხმა. ა: „საიდუმლო გა-  
მოუთქმელი დღეს ბეთლემს განცხადნა. რამეთუ სიტყვა  
ღვთისა პირველ ხილული ღვთის მხილველთა მას შინა  
იშვების ხორცითა. უსძლოსაგან ქალწულისა, და სახვე-  
ვლითა შეიხვევის ადამის შემოქმედი. ამისთვისცა იხარე-  
ბდით ცანი მაღალნი და გალობდინ ქვეყანა, დაჰბერეთ

ნესტვსა საფუძველთა სოფლისათა და განსცხრებოდენ ზღვა  
ოხრითურთ და ყოველი რა არს მას შინა. მწყემსნი ზე-  
ცისა მგალობელთა თანა ერთობით აქებდით. და მოგვ-  
თა თანა სამეუფოსა ძღვენსა შესწირველით წარმართ-  
თა ერნო მეუფისა და ერთობით ყოველნი შესხმითა  
მით სულიერითა უღალადებდეთ ჩჩვილად შობილსა ახალ-  
სა ყრმასა ჩვენთვის და ღმერთსა საუკუნეთა შემოქმედ-  
სა და ესრეთ ვიტყოდით გამოუთქმელო ქრისტე ღმერ-  
თო დიდება შენდა“<sup>57</sup>). 1 იანვარს. სხვანი დასდებელი-  
ნი ღმერთ შემოსილისა ბასილისნი. უფალო ღალადყავსა  
ზედა ხმა ბ. სიტყვა თანა არსი დაუ... „საღმრთოფთა სი-  
ბრძნითა აღივსე ღმერთ შემოსილო და ხმა მაღლად ჰქუბ-  
დი კიდეთა სოფლისათა გამოუთქმელთა საიდუმლოთა  
სიღრმეთა ბრძენო, რამეთუ ძალმან სულისა წმიდისამან  
დაჰბერა ნესტვსა ენისა შენისასა და ჰმეტყველებად ჴმასა  
მზისა უბრწყინვალესსა, რომლითაცა განაზნიე ნისლი იგი

---

<sup>57</sup>) იხ. ხელნაწერი „ცხოვრ. და მოქალაქობა... წმ. ნინოსი“  
58-73.

<sup>58</sup>) იხ. კრებული 47 გვ.

წვალეებისა და განანათლენ ცისკიდენი ბასილი ნეტა-  
რო“<sup>59</sup>).

თუ რა მშვენიერი დამთავრებული ქართული ენით  
არიან ძველ დროდანვე აღწერილნი აღდგომის საგალო-  
ბელნი ქართველ მამათაგან და გამოთქმულია მათში მკა-  
ფიოდ დოდმატნი მართლმადიდებელის ეკკლესიისა X  
საუკუნეზე ბევრით ადრე, მოგყავს მიქელმოდრევილის  
კრებულიდანვე (370 გვ) მრავალთაგან ერთი დასდებელი  
აღდგომისა ა ხმისა: სიტყვა დაუ...

„სიტყვად პირველ ჟამთა შობილი. უდედოდ. მამი-  
საგან მაღლისა. არსებად უსხეულოდ. გამოუთქმელი ძლი-  
ერებად. აუგებელი ბუნებად. თვითებად დაუზადებელი შე-  
უხებელი. ხორცითა გამოჩნდა ქვეყანასა. და ხორცითა

ვნებადითა. მიეცა ვნებად უვნებელი ვნებულთათვის. ჯვარ-  
სა დაემსჭვალა ჩვენთვის უცოდველი. ლახვრითა მოიწყ-  
ლა უბიწოდ კრავი ლეთისა მადლისა. რომლითა გვესხუ-  
რა ჩვენ სისხლი და წყალი. განმწმედელი მწინკვლსა მას  
ბრალთა ჩუენთასა“.

როგორც მოვიხსენეთ არა ერთხელ, ქართველნი მა-  
მანი არ დაკმაყოფილებულან უცხო ენათაგან ნათარგმნ  
საგალობლებსა და თითონ უთხზავთ საგალობელნი ყო-  
ველი შემთხვევისათვის, მაგ. მიქელ მოდრეკილის კრებუ-  
ლის 377 გვ. მოყვანილია: დასდებელნი წმიდის აღდგო-  
მისანი ქართულნი, უფალო დადადყავსა ზედა ხმა **ა** მო-  
ძიებად წ... „მოქადულო. დაჰხსნდა ზვაობით სიქადუ-  
ლი. ამპარტავანებისა შენისა მძლავრო. რომელმან იზ-  
რახე დასაბამსა. მსგავსებად მაღალსა მას დაუსაბამოსა.  
სილაღითა. ჰგონებდი რად დადგმასა საყდართა სუეტთა

---

<sup>59)</sup> იხ. იქვე 116 გვ.

ზედა ღრუბელთასა. და გარდამოჰვარდი. ვითარცა ელვაჲ  
ზეცით. დაჰხსნდა და მოგელო ფლობაჲ შენი. და უფს-  
კრულსა ბნელისასა სრულიად დაგნთქა უკვდავმან. იესუ.  
მაღალმან მეუფემან. რაჟამს ცხოველი მოკვდა ხორცითა.  
და ჩვენ მოკუდავნი განმაცხოველნა“.

422 გვ. „უგალობდითსა ი ა მ ბ ი კ ო ნ ი , მორალსა მუ-  
ხლსა **ღ** შეტყუებაჲ, **ე** ჯერ **იბ**, თქმული ორმოცისა.  
ათისა ექუსასისა ერთისა (ხუთისა) და ოც-და-ათისანი. ხოლო  
შენ, ფრთხილო, გულის ხმა ჰყავ, და ჩემ ცოდვილისათვის  
ლოცვა ყავ“.

უძლეველითა ძა... „უბიწოდთა მით. ვნებითა ქრის-  
ტე ღმერთო. განმკურნენ მხსნელო. ვნებანი სოფლისანი.  
რაჟამს ხორცითა. აღჰმალღდი ჯუარსა ზედა. დაეც სიმა-  
ღლედ. მტერისა მაცდურისა. და აღადგინე ბუნებაჲ კა-  
ცობრივი“.

იამბოკოს ლექსით საგალობელთა წერა ჩვეულებრივი საქმე იყო ქართველ მამათაგან იმავე თავით. ზემოთ წარწერაში მიქელ მოდრეკილი გვიხსნის იამბილოს ლექსის ზომასა. მთელ სძლის პირში სამოცი მარცვალია 5 X 12, ე. ი. ხუთი სტრიქონიდან შესდგებაო და თითო სტრიქონში თორმეტი მარცვალია. მართლაც, იოანე პეტრიწის, არსენ კათალიკოზის (ბულმაისის ძე), ნიკოლოზ ტვილელის (ორბელაანის), ანტონ კათალიკოზის, იოანე ოსესძის, ამბროსი ნეკრესელის, გაიოზ მთ.-ეპისკოპოსის, დავით რექტორის და სხ. იამბიკოს ლექსით მწერალთა ნაწერ იამბიკოებში ეს ზომაა დაცული: ტაეპი შესდგება ხუთი სტრიქონიდან, სტრიქონში თორმეტი მარცვალია. თვით იოანე დამასკელის მიერ შეთხზულნი იამბიკონნი-საგალობელნიც არიან მოყვანილნი მიქელ მოდრეკილის კრებულში (65 გვ.). ზემოთ მიყვანილის

- 45 -

სძლისპირის მთხზველი — ავქსონი თავის სახელს რიცხვებით გვაგებინებს: ორმოცი (მ), ათი (ი), ექვსასი (ქ), ერთი (ა) (უნდა იყოს ხუთი — ე), ოც-და-ათი (ლ), ანუ მიქელ მოდრეკილი.

447 გვ. უგალობდითსა ყოველსა მუხლსა **ღ** შეტყუებაჲ აქვს. **ე** ჯერ **იბ**. იამბიკონი, თქმულნი ნეტარისა ივანე მინჩხისანი. **ჟ** ფრთხილო, გულის ხმაჰყავ და ჩემ ცოდვილისათვის ლოცვა ყავ, მღვდელო ღვთის მგალობელო. საღმრთომან ნისლმან... „ჩემთვის დაადგრა ქალწულისა საშოსა. მეორე მიზეზი ყოველთა მიზეზთაჲ. რამეთუ მიხილა ქმნული ხატად თვისა. მტერისა დაცემული თანა მოდგამ მექმნა ვნებითა ვნებულსა. და კვალად აღმადგინა“.

ოხითა არჩილ მეფისა ხმა **ა**. „სობრძნისა ზეცით მომღებელმან სიბრძნე იგი ცრუ სჯულთა განაცოფე და საქიქელ ჰყავ მათი იგი ამაო მსახურება. და დაიკალ მისთვის რომელი ჩვენთვის დაიკლა ჯვარსა ზედა. და მე-



ფობისა წილ საწუთოსა. იშვებს საუკუნოდ განდმრთობილი არჩილ. სამგზის სანატრელო მეფეო. მეოხ გვეყავ სულთა ჩვენთათვის“.

ოხითა ლუარსაბ მეფისა. ხმა დ. „იშვებდ დღეს ქვეყანა ქართველთა დღესასწაულსა. დიდისა ამის მეფისასა რამეთუ. ქრისტესთვის მრავალფერნი ტანჯვანი მოითმინა. და წარმავალისა მეფობისა დამტევებელმან. წარვალი სიმდიდრე სუფევისა მოიგო. მოწამეთა შორის საჩი ნომან ლუარსაბ. და აწ მეოხ არს ჩვენ მაქებელთა მისთათვის“. გერონტი სოლალაშვილის „სძლისპირიდან“. ეს ტროპები დღესაც არ არიან დაბეჭდილნი.

მაშასადამე, დააწესებდნენ თუ არა რომელსამე დღესასწაულს, ქართველთა სამღვდელოება მაშინვე შეადგემ-

- 46 -

დნენ ხოლმე შესაბამს საგალობლებსაც. წმ. აბო ტფილელის ცხოვრება და მოწამეობა (786 წ.) ისრეთის ცოდნითა და მოხერხებით არის შედგენილი აბოს თანამედროვეთაგან (მღ. იოანე საბანიძისაგან), რომ მისს ბადალს სახერმნეთის მაშინდელი სასულიერო მწერლობა ერთსაც ვერ წარმოადგენს. ამისთანა ღირსსახსოვარის მარტიროლოგიის შემდგენს განა გაუჭირდებოდა საგალობლებიც მაშინვე შეადგინა? წერა-კითხ. გამავრც. საზოგად. წიგნთსაცავშია დღეს ერთი ძვირფასი „საგალობელთა“ კრებული (მიქელ მოდრეკილისა 955 წ.), სადაც მოთავსებულია მეცხრე-მეათე საუკუნეში და უფრო ადრეც შედგენილნი ქართველ მამათგან მრავალი საგალობლები, მწუხარ-ცისკარზედ სახმარნი, აჭრელებულნი სამგალობლო ნიშნებით სტრიქონზედ და სტრიქონ ქვეშ. ვინც ამ საგალობლებს გულდადებით გადაიკითხავს და შეისწავლის, იგი მადლობას არ ეტყვის ევთიმეს და გიორგი ათონელ მამებს, მთარგმნელებს, რომელთაც უფლებელს ჰყვეს ძველი საკუთარი საგალობელნი და მათ ნაცვლად ბერძნულიდგან ხელახლად გვითარგმნეს, ანუ

ასურულიდგან და ებრაულიდგან ძველი თარგმანები ისევ ბერძნულს შეამოწმეს. მაგალ., კრებულში მოთავსებულია მღ. იოანე საბანისძისა, სტეფანე ჭყონდიდელისა, იოანე და სტეფანე მტბევართა, არსენი კათოლიკოზის (925-987 წ.), იოანე მინჩხის, იოანე ქონქოზის ძის, სტეფანე ჭყონდიდელის, იოანე მინეტისა, იოანე მესვეტისა, იოანე განძელისა და სხ. შედგენილნი საგალობელნი, რომელნიც ცხადათ გვარწმუნებენ, რომ ქართული ენა მაშინვე დიდათ შემუშავებული ყოფილა. იგივე საგალობელნი გვარწმუნებენ, რომ საქართველოს ეკლესია იმ თავითვე ყოფილა დამოუკიდებელი, თვითმყოფი; ხო-

- 47 -

ლო სამღვდელოება სხვის ანაბარა და ხელშემყურე არა ყოფილა ეხლანდელებრ. სამღვდელოებას ძველადგანვე უთხზავს, ეგნატე ღმერთშემოსილის მიხედვით († 107 წ.), მრავალნი აკროსტიხონნი, ორ გუნდად საგალობელნი და ფსალმუნებთან ერთად უგალობნია წირვა-ლოცვის დროს. ფრიად საყურადღებოა მეფე დავით აღმაშენებლისაგან შეთხზული მშვენიერი „გალობა სინანულისა“, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ანდრია კრიტელისას.

მიქელ მოდრეკილი და იორდანე შესანიშნავნი მგალობელნი არიან IX-X საუკუნეში. მიქელ მოდრეკილმა აქა-იქა საქართველოში გაფანტულნი სამწუხრო და საცისკრო საგალობელნი ერთად შეჰკრიბა და ერთ წიგნში მოაქცია; მაგ საგალობელთა ავქსონნი კარგი მგალობელნი ყოფილან. მათ შეავსეს ყოველივე ნაკლი საეკლესიო საგალობელთა (ტექსტი), ე. ი. ანუ თვით შეთხზეს, ანუ სთარგმნეს. თუ იბინი გალობის კარგი მცოდნენი არა ყოფილიყვნენ, საგალობელთა შეთხზვა შეუძლებელი საქმე იქნებოდა მათთვის. ხოლო გალობა შემუშავებული და გავრცელებული ყოფილა იმდენად, რომ მიქელ მოდრეკილი დიადს შრომას კისრულობს: თავის უზარმაზარ საგალობელთა კრებულს მთლად სამგალობლო ნიშნებით აჭრელებს; ეგ ნიშნები წინათვე შემოღე-

ბული ჰქონია ქართველ სამღვდელოებასა. მაგლობლის იორდანეს მიერ აღწერილი „ალავერდის სძლის პირი“ ისეთივე ძვირფასი განძია საქართველოს ეკკლესიისათვის, როგორც მიქელ მოდრეკილისა, ეგრეთვე გალობის კილოს აღმნიშვნელი ნიშნებით აჭრელებული. მესამე ძვირფასი საგანძური არის ფიტარეთის საგალობელი (სძლის პირი), სადაც ჩამოთვლილნი არიან ქართული „ჭრელები“, რომელთაგან შედგენილ არიან საგალობელთა კი-

- 48 -

ლოები. აქვე რამდენიმე საგალობელი (დედანი) დანაწილებულია შემადგენელ ჭრელებზედ. ეს სამი საგალობელნი ხელნაწერნი ყოველ გალობის მცოდნეს დღეს ფრთებს ასხმენ და უმტკიცებენ სასოებას, რომ ქართული გალობის დაკარგვა შეუძლებელიდაა, უკეთუ სამღვდელოება ხელს მოუმართავს ამ წმიდა საქმეს. არა ნაკლებ ძვირფასნი არიან — ვინმე იოანე მონაზონისაგან XVII საუკუნეში ღწერილი პატარა სძლისპირის წიგნი და არხიმანდრიტ გერონტისგან 1785 წ. აღწერილნი სძლისპირნი.

ხუთივე ხელნაწერნი ერთი მეორის ნაკლს ავსებენ და შეიძლება დაჭეშმარიტებითა ვსთქვათ, რომ სრულს ქართული გალობის კრებულს შეადგენენ. ეხლა ჩვენ ვეცდებით დავამტკიცოთ ზემორე ხსენებულ საგალობელთა შემწეობით, თუ დღევანდელი ქართლ-კახური (კარბელანთ კილო) და გელათურ-ლექხუმური საეკკლესიო გალობა რავდენად წმინდათ და ხელუხლებლად არიან დაცულნი.

## VIII

**ქართული გალობის კალოები ძველნი არიან.**

ჩვენი ქრთული საეკკლესიო გალობის კილოები დაცულნი არიან წმინდათ დღემდე — ძველის-ძველადგან. ამის

დასამტკიცებლად ჩვენ არ ვკმარობთ იმ საბუთებს, რომელნიც ზევით გვქონან მოხსენებულნი. ძველად, იოანე დამასკელამდე, ყოველი საგალობელნი საზოგადოდ იყო ფეზოდნენ ოთხად და ოთხ უმთავრეს ხმებზედ იგალობებოდნენ. მაგრამ ზოგიერთა მონასტრებს განსაკუთრებული კილო ჰქონდადა შემუშავებული, როგორც შემდეგ ჩვენში, ამ გვარად საეკლესიო მსახურებამ შექმნა უმ-

- 49 -

თავრეს ოთხ ხმასთან ერთად სხვა რამდენიმე მეორე ხარისხოვანი ხმებიც. დღესაც ჩვენ საგალობლებში ხშირად შეხვდებით მხოლოდ ოთხი ხმის საგალობლებს, ასე რომ ეხლამდელი 4, 5, 6 და 7 ხმების ხსენება არსად არის. ამისი საბუთია აღდგომის 8 ხმის დასდებელის ძველი თარგმანი, 4 ხმად აღნიშნული დღესაც მრავალ ჩვენ საგალობლებში (იხ. შემდეგ); ესეც ფრიად დიდი საბუთი, რომ იოანე დამასკელამდე საქართველოს ეკლესიას ჰქონია აღდგომის რვა ხმის საგალობელნი სახმარებლად. მეორე ვინ იცის, იქნება ეგ საგალობელნი თავდაპირველად სირიულ ენაზედ, ან ქართულ ენაზედ იყვნენ, ან ქართულ ენაზედ იყვნენ დაწერილნი და ბერძნულად გადართარგმნილნი, რომელსც XI საუკ. გიორგი მთაწმინდელმა შეუთანასწორა მთელი პარაკლიტონი?? ამ კითხვამდე მიგვიყვანა ჩვენ ქართული ხელნაწერ „სძლისპირთა“ შედარებამ.

შედარებითი სქემ საგალობლებისა სხვა-და-სხვა ხელნაწერ „სძლისპირებში“:

		რ ვ ა ხ მ ა ნ ი:								
		1	2	3	4	5	6	7	8	სულ
№ 1, მღ. მონაზონის იოანე გაბაშვილის სძლისპირის ხელნაწერი 1779 წ.	საეცისკრ.	74	71	89	83	27	48	32	72	446
	სამწუხრ.	7	20	6	12	8	9	4	14	80
№ 2, აბიზიმანდრიტის გერონტი სოლალაშვილის სძლისპირი ხელნაწერი 1785 წ.	საეცისკრ.	77	61	88	101	29	52	33	75	485
	სამწუხრ.	15	14	8	9	7	9	6	19	87

№ 3, მღ. მონაზონის იოანე ხელნაწერი XVII საუკ.	საეცისკრ.	142	128	70	197	50	96	59	145	887
	სამწუხრ.	27	17	8	17	9	11	7	17	142
№ 4, დიტარეთის «სძლისპირი» XVIII საუკ. ვასულის ნაწერი.	საეცისკრ.	140	140	73	165	33	66	63	140	820
	სამწუხრ.	10	10	7	8	5	7	4	11	62
№ 5, ალავერდის ტყავზედ ხელნაწერი «სძლისპირი» X საუკ. (სრული არ არის)	საეცისკრ. **)	181	178	172	329	154	165	176	331	1666

ეს სძლისპირნი როგორც რაოდენობით, ისე ტექსტის შინაარსით (რედაქციით) განსხვავდებიან. რასაკვირველია ალავერდის, ფიტარეთის და „იოანე მღ. მონაზონის“ სძლისპირნი ძველები არიან. სიმრავლე ამ ხელნაწერებისა გვიმტკიცებს გიორგი მთაწმინდელამდე ეკლესიაში სახმარ საგალობელთა სიმრავლესა-სიმდიდრესა: აქ მოიპოვებიან ისეთნი სძლისპირნი, რომელნიც მიქელ მოდრეკილის „კრებულში“ დედნებად არიან აღნიშნულნი. გიორგი მთაწმინდელისაგან შემოღებული „სძლისპირთა“ კრებული მეტად ღარიბია საგალობელთა რაოდენობითაც და ტექსტითაც. ჩვენის ფიქრით, მომეტებული სძლისპირნი არიან ის საგალობელნი, რომელნიც იოანე დამასკელის

„კრებულში“ (პარაკლიტონში) არ მოჰყვნენ, თუმცა დღემდე იხმარებიან ჩვენში და იწოდებიან გერებად, როგორც ძველად. საეკლესიო მუზეუმის ტყავზე დიდ ხელნაწერი სვინაქსრის (№ 139/38) გვერდებზე ვკითხულობთ: 47 გვ. „წმიდანო მამანო! ამას დღესა (10 ნოემბერსა) დაღაცა თუ ბერძენნი არა დიდად დღესასწაუ-

---

<sup>60)</sup> ფიტარეთის და ალავერდის ხელნაწერ სძლისპირთა ანგარიში (ნულეზი) ეკუთვნის მღ. ე. კარბელაშვილს.

- 51 -

ლობენ, არა რაღა არს ყენება, რათა ჩვენ ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ ჩვენ პირველითგან ესრეთ გვაქვს ჩვეულება“. შემდეგ ფურც. 315 „ესე უძილისპიროდ გვეთარგმნეს (ე. ი. უდედნოდ) და უგემურად მოვიდოდა ბერძნულად თვით ავაჯნია და მათ იციან და ჩვენ თუმცა ავაჯი დაგვედვა, ვინ დაისწავლიდა? აწ შეწევნითა ღვთისათა ძლისპირსა ზედა (ე. ი. დედანზედ) ვთარგმნეთ, რადცა ძილისპირი მოუვიდოდა, რომელ ძველთაგან ვიცით, იგი ეგრეთ ითქმოდის და სხვაჲ ძილისპირსა ზედა, რომელიც იყოს ბერძნულად დ ~ გ ~ ი (ე. ი. დ გერი) არს ესე... წაედ? ეძიებდი, რვათამცა ხმათა შინა არს და ჳმა არს ჩვენდა, თუ არა ამას გვერდსა (თუ გერსა?) ოთხასი წელი უფრო ახსოვს“ <sup>61)</sup>.

და დაუტევა ჩვენი ძველი/ დედნები-სძლისპირები. ხოლო თვით ბერძენთ და რუსთა ეკკლესიაში სრულიად არ იხმარებიან. რუსეთის ეკკლესია ფრიად ღარიბია თვით ხმოვანი ძველი კილოებით, მაგ. 8 ხმის კონდაკი „ზესთა ბრძოლისა“ და სხ. მეზრნი იგალობება 8 ხმის თვით ხმოვანი „კურთხეულ ხარ შენ ქ ე ლ თო“ ტროპრის კილოზედ, როგორც თვით 8 ხმის ტროპარი „მაღლით გარდამოხედ“. ამისთანა ძველ „სძლისპირთა“ ხმარება უფრო მცირედ გვეგულება აზხაზეთის საკათალიკოზოში საბერძნეთის ეკკლესიის გავლენისა გამო, რომლის (ბერძნულს) პარაკლიტონსაც შეუთანასწორა XI საუკ. გიორ-

გი მთაწმინდელმა ჩვენი ძველი საგალობელთა რაოდენობაც და ტექსტიც — ვეცდებით თავის დროზედ შევადართოთ თვით სხვა-და-სხვა ხელნაწერ სძლისპირთა შორის განსხვავება და მით ჭეშმარიტება აღვადგინოთ.

---

<sup>61)</sup> იხ. ქრონიკები თ. ჟორდანიასი, II ნაწ. 380 გვ. 1535 წ. ქვეშ.

- 52 -

მიქელ მოდრეკილის „კრებული“ და ალავერდის „სძლისპირი“, (ორივე ტყავზედ ნაწერნი X საუკუნეში) როგორცა ვსთქვით ზევით, აჭრელებულ არიან საგალობო ნიშნებით, წითლურით; ეს საგალობო ნიშნები არიან ორგვარნი — სტრიქონზედ და სტრიქონ ქვეშ სახმარნი. გარდა ამ ნიშნებისა, ყოველი საგალობელი აღნიშნულია მუხლებად და ერთი მუხლი მეორე მუხლიდგან განიყოფება სასვენი ნიშნით (. , ან :). ესეთივე სასვენი ნიშნებით არიან დაბეჭდილ დღეს სახმარნი საეკლესიო საგალობელთა წიგნები — სადღესასწაულო, მარხვანი, ზადიკი, პარაკლიტონი, ლოცვანი და სხ. დაბეჭდილ წიგნებში სასვენი ნიშნები დიდი ხანია შევადარეთ ჩვენს გალობას. სასვენი ნიშნის მნიშვნელობა გალობაში დიდი რამ არის, ამაზედ ლაპარაკი მეტია.

რაოდენთამე პირთა თანადასწრებით 1886 წ. გაზაფხულზედ ჩვენ გადავათვალიერეთ მიქელ მოდრეკილის „კრებული“, ვიგალობეთ რავდენიმე საგალობელი.

პირველად ჩვენ გვასიამოვნა და გაგვახარა იმ გარემოებამ, რომ ჩვენს გალობაში სასვენი იქ კეთდებოდა, სადაც „კრებულშია“ აღნიშნული.

მეორედ შევნიშნეთ, რომ სტრიქონზედ და სტრიქონ ქვეშ სახმარნი საგალობო ნიშნები სხედან იქ, სადაც ჩვენ ხმას ან მაღლა ვსწევთ, ან ვატრიალებთ და ანუ ვუდაბლებთ. გავიდა რავდენიმე წელიწადი და აღმოჩნდა ალავერდის „სძლისპირი“. აქაც იგივე სასიამოვნო შედარება მოხდა ჩვენის გალობისა, როგორც მიქელ

მოდრეკილის „კრებულში“: ყოველი სასვენი და საგა-  
ლობო ნიშანი მომეტებულ ნაწილად ეთანხმებოდა ჩვენს  
გალობას, მაგრამ „სძლისპირის“ 272 გვ. ჩვენ შეგვხვდა  
აღდგომის მეშვიდე ხმის მეცხრე სძლისპირი (იგივე მე-

- 53 -

ცხრე სძლისპირი სულის წმ. მოსლვისა) „მტვირთველმან  
გამოუთქმელად უხრწნელებისამან“ ... ამ სძლისპირის მარ-  
ტო ერთმა ჩათვალიერებამ ისრეთი დიდი საბუთი გვაჩვენ-  
ა ჩვენის გალობის სიძველისა, რომ ყოველს ჩვენს მო-  
სალოდნელს გადააჭარბა: ამ სძლისპირის სასვენები, აღ-  
ნიშნულნი ხელნაწერში, სრულიად და უკლებლივ ეთან-  
ხმებიან ჩვენი გალობის სასვენებსა. მაგრამ აქ ერთი სა-  
სვენი ნიშანია საყურადღებო და კიდევ ამ სასვენმა დაგ-  
ვისაბუთა ჩვენი გალობის სიძველე. საქმე იმაშია, რომ  
სძლისპირის „მტვირთველმან გამოუთქმელად“ ... როდე-  
საც ვგალობთ, პირველს სასვენს ვაკეთებთ მეხუთე მარც-  
ვლის შემდეგ, ე. ი. „მტვირთველმან გამოუთქმელად“ ...  
მეორე სიტყვას თანდებულს ვკვეცავთ და ხმას ვაყენებთ.  
ეს სასვენი დასვლეთ საქართველოშიაც ასე იხმარება.  
წარმოიდგინეთ, რომ ალავერდის „სძლისპირში“ ეგ სა-  
სვენი სწორეთ ეგრეა აღნიშნული, როგორც ვგალობთ.  
მოგვყავს ლიტოგრაფიული სევადა ხელნაწერიდან ამ  
სძლისპირისა, რომ მკითხველი თვით დარწმუნდეს და გა-  
იზიაროს ჩვენი სიამოვნება. ამაზედ უდიდესი საბუთი ჩვე-  
ნი გალობის სიძველისა, ვგონებ, მოუსაზრებელ-მოუფიქ-  
რებელია ქვეყნიერობაზედ. ეს ხუთი ხელნაწერი საგალო-  
ბელნი მოელიან ქართველთაგან მეცნიერულად გამო-  
კვლევასა და შესწავლასა.

ჩვენი გალობის სიძველის საბუთადვე მიგვაჩნია აღ-  
დგომის „რვა ხმის“ (პარაკლიტონი) ძველის ძველი თარ-  
გმანი, გაცილებით ადრე ევთიმე და გიორგი ათონელებ-  
ზე. იოანე დამასკელმა <sup>62)</sup> შეჰკრიბა ერთად იმ დრომდე  
აქა-იქ გაფანტული აღდგომის საგალობელნი და რიგზედ



<sup>62)</sup> აღიზარდა ქართველთა „საბას ლავრაში“, იერუსალიმში და გარდაიცვალა 776 წ.

- 54 -

(რვა ხმაზედ ე. ი. ოთხ უმთავრეს ხმას ზედ მიაყოლა 4 მეორე ხარისხოვანი ხმებიც, როგორც ზევით მოვიხსენიეთ) დააწყო <sup>63)</sup>. ეს საგალობელნი ჩვენს მამებს ძველადვე უთარგმნიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ევთიმემ და გიორგიმ შემდეგ (XI საუკ.) ქართულნი საგალობელნი შეუთანასწორეს ბერძნულს და საქმე წახდა, რადგან ძველი საგალობელთა ტექსტი საგალობო კილოების გვარად იყო შემუშავებულ-შეწყობილი, ხოლო ახალი ტექსტი ითხოვდა კილოებთან ხელახლად შეთანხმებასა. ესევე საქმე ჩაიდინა შემდეგ ანტონ კათალიკოზმა XVIII საუკუნეში. მოგვყავს ორივე თარგმანი:

დასდებელნი აღდგომისანი ხმა. ა.

ძველი.

„სამწუხაროსა ლოცვასა შევსწირავთ შენდა მომართ უფალო, რათა მოგვმადლო ჩვენ მოტევება ცჳდვათა, შენ მხოლო, რომელმანცა უჩვენე კაცთა ცხოვრება“.

ახალი (გიორგი მთაწმინდელისა. იხ. საქ. სამოთხ. 4599 გვ.)

„სამწუხაროსა ლოცვასა ჩვენი შეიწირენ წმიდაო უფალო, და მოგვმადლე ჩვენ მოტევება ცოდვათა, რამეთუ შენ მხოლო ხარ რომელმან უჩვენე სოფელსაა აღდგომა“.

<sup>63)</sup> იოანე დამასკელამდე ოთხი უმთავრესი ხმა უკვე ხმარებაში იყო: ამ აზრს ამტკიცებს 8 ხმის დასდებლის 4 ხმისად აღნიშვნა მრავალ საგალობლებში დღესაც. მაშასადამე იოანე დამასკელამდე დასდებლები ნათარგმნი ჰქონია საქართველოს ეკლესიასა და იგალობებოდნენ კიდევ. ესეც ერთი უდიდესი საბუთი ჩვენი გალობის სიძველისა.

- 55 -

ხმა გ.

ძველი:	ახალი:
<p>„ჯვართა შენითა ქ-ე. დაჰხ- სენ ძალი სიკვდილისა. და ემ- მაკისა. საცთური განაქარვე. და კაცთა ბუნება სარწმუნოებით იხსენ და გადიდებს შენ მარა- დის“.</p>	<p>„ჯვართა შენითა ქრისტე ,აცხოვარ. დახსნდა ძალი სიკ- ვდილისა და ეშმაკისა საცდუ- რი განქარდა. ხოლო კაცთა ნათესავი სარწმუნოებითა ხსნი- ლი. გალობასა მარადის შენდა შესწირვენ“.</p>

ხმა ბ.

ახალი:	ძველი:
<p>„რომელი იშვა მამისაგან წი- ნასწარ საუკუნეთა სიტყვაჲ</p>	<p>„პირველ საუკუნეთა მამისა- გან შობილსა, ღვთის სიტყვა- სა განხორციელებულსა ქალ-</p>

სა-  
ღმრთოდ, და კვალად მარიამ  
შვა, მოვედით თაყვანისვ  
ცეთ,  
რომელიცა ჯვარს ეცვა, ნეფ-  
სით დაფლვა თავს იღვა  
ჩვენ-  
თვის და აღდგა მკვდრეთით.  
ძალითა და აცხოვნა კაცი  
წარ-  
წყმედული მტერისა მიერ“  
და  
სხ. <sup>64)</sup>

წულისა მარიამოსგან, მოვედით  
თაყვანისვსცეთ რამეთუ ჯვარი-  
სა თავსმდებელი საფლავად მი-  
ეცა, ვითარცა თვით ინება და  
აღსდგა რა მკვდრეთით. მაცხო-  
ვნა მე შეცთომილი კაცი“. და  
სხ.

<sup>64)</sup> იხ. მიქელ მოდრეკილის „კრებული“ 357, 384 და 409  
გვ. ესევე, როგორც დანარჩენნიც, უძველესი თარგმანი მრავალ  
„სძლისპირებშია“ მოქცეული, მაგ. 1779 წ. იოანე მონაზონისაგან  
აღწერ. და არხ. გერონტისაგან აღწერილი 1786 წ. მცირეოდენი  
ცვლილებით, სძლისპირში, ნათლისმცემელში; აქვე არიან მოთავსე-  
ბულნი **გ** და **დ** ხმის დასდებულნიც.

- 56 -

ხმა. დ.  
  
ძველი:  
  
„სამწუხროსა. ამას  
გალობა-  
სა და მსხვერპლსა. შენდა ქე  
შევსწირავთ. რომელმან ინებე  
აღდგომითა შენითა  
შეწყნარე-  
ბა ჩვენ ყოველთა“.

ხმა. ზ.  
  
ახალი:  
  
„მწუხროსა გალობასა და სი-  
ტყვიერსა მსხვერპლსა, შენდა  
ქე შევსწირავთ რამეთუ სათნო  
იჩინე, შეწყალება ჩვენი აღ-  
დგომითა შენითა“.

რას ნიშნავს ამ ძველ თარგმანთა საგალობელთა  
დღემდე შენახვა ქართველ მამათაგან, თუ არ მაგ საგა-  
ლობელთა კილოების სიძველესა და დიდხნიერობასა?

რომ ჩვენ გვქონია პირველშივე აღდგომის საგალობელ-  
თა კრებული, ამის საბუთს კვლავ გვამლევს აღდგომის  
**ბ** ხმის დასდებელი, მოყვანილი მიქელ მოდრეკილის კრე-  
ბულში, გვ. 285. „რომელი იშვა მამისაგან წინასწარ.

საუკუნეთა სიტყვაჲ საღმრთოდ. და კვალად მარიამ შვა.  
მოვედით. თაყვანის ვსცეთ. რომელიც განკაცნა. და ხორ-  
ცითა გამოზრწყინდა. ცხოვრებად მომწყდართათვის სიმ-  
დაბლით და აცხოვნა. კაცი წარწყმედული მტერისა მი-  
ერ". რა თქმა უნდა, როგორც უძველესი დედანი **ბ**

ხმის დასდებლისა, დამორებულია შემდეგ მოყვანილ თარ-  
გმანებზედ და ეჭვს გარეშეა იოანე დამასკელზედ გაცი-  
ლებით ადრე მისი ხმარება ქართველთა ეკკლესიაში.

ყველა დაინახავს, რომ ძველი თარგმანის ენა უფ-  
რო მარტივია, აზრი უფრო ადვილი გასაგებია, ვიდრე  
ახალ თარგმანში. ამას გარდა ჩვენთვის ძვირფასია, რომ  
X საუკუნის ადრევე გვქონია არა მარტო მსთფლიო წმი-  
დათა საგალობელნი (თარგმნილნი), არამედ საკუთარი  
საგალობლებიც, თხზულნი ქართველთაგან ქართულს ენა-  
ზედ. დიდი ამაგი დასდო მიქელ მოდრეკილმა ქართველ-  
თა ეკკლესიასა და ქართულს მწერლობასა ამ „საგალო-

- 57 -

ბელთა კრებულის“ შედგენით. როგორც სამშობლო ქვე-  
ყნის ჭეშმარიტს ტრფიალსა და მეცნიერსა, მიქელ მოდ-  
რეკილს მიმოუვლია ყოველი კუთხე სამშობლო ქვეყნი-  
სა, მოულოცნია წმიდათა საფლავნი და ტაძარნი და შე-  
უკრებია აქა-იქ გაზნეული ძველადგანვე ქართულს ენა-  
ზედ შეთხზულნი საგალობელნი ანუ ბერძნულიდან თარ-  
გმნილნი; გადუწერია ყველა ერთ წიგნად (კრებულად) და  
აუჭრელებია საგალობო ნიშნებით.

ჩვენი გალობის სიძველის საბუთადვე მიგვაჩნია ის  
საგალობელნი-სძლისპირნი და დასდებელნი, რომელ-  
ნიც მიქელ მოდრეკილის კრებულში მოხსენებულნი არი-  
ან სხვა საგალობელთა დედნებად და რომელთაც დღემდე

ჰგალობს საქართველოს ეკკლესია და ყველა დაბეჭდილ და ხელნაწერ საგალობლებში არიან მოთავსებულნი თავ- თავის ადგილს. აი ეს დედნად მოხსენებულნი საგალობ- ბელები:

მხსნელსა ჩვენსა ღმერთსა რომელმან. 15 გვ.

ძალითა ჯვარისათა ქრისტე. 15 გვ.

მამისაგან შობილი. ხმა ბ, 45, 47 და 51 გვ.

დღეს ქრისტე იშვების მეხურნი. 49 გვ.

წარხდა სახე სჯულთა მეხურნი. 51 გვ.

საღმრთომან ნისლმან დაფარა. 56 გვ.

გიხაროდენ შენ წმიდაო დედოფალო. 59 გვ.

იესო მჯდომარე. 62 გვ.

აღმსობილნი შენ გიგალობთ. 214, 218 და 229 გვ.

ღმერთი უფალი გამოგვიჩნდა. 64 გვ.

ეჰა დიდებული საკვირველი. 65 გვ.

სასწაულითა იხსნა ერი. 65 გვ.

ღმერთო მოხედენ... პირველ აუწყა... საცთურთა  
ბნელთა... შთახდა იონა... 65 გვ.

- 58 -

სიყვარულითა ყოველთა მხსნ... ყრმანი ბაბილონს...  
66 გვ.

ჯერ არს დუმილი. 67, 69 გვ.

საიდუმლო უცხო და დიდებ.. 70 გვ.

ესაია მხიარულ იყავ. 72, 103 და 221 გვ.

ხმა **ღ**, რომელი იწოდე ქადაგ მეუფისა, მღვდელო-  
ბა ქრისტესი განაცხადე. 113 გვ.

განმაძლიერენ მოსავნი შენნი. 114, 216 გვ.

რომელმან ჰმეგ მთიები მზისა. 115 გვ.

ვერ შემძლებელ ვართ. 118 გვ.

რომელმან შეიმოსე ნათელი. 221 გვ.

ვითარმე გხადოდეთ. 235 გვ.

წინა საუკუნეთა... კვერთხი იესეს ძირისაგან... პირ-  
ველ იონა... ღმერთი ხარ მშვიდობისა... ყრმანი სარწმუ-

ნოებით... სახმილი შეცვრეული. 128-129 გვ.

ხმა **ბ.** სიტყვა თანა არსი დაუ. 116 გვ.

ხმა **ბ.** რომელმან სიბრძნით. 67 გვ.

ხმა **ა.** მამისა თანა მჯდომ. 70 გვ. და სხ. მრავალნი.

ამ გვარად შეუნახა შთამომავლობას ეს ძვირფასი საუნჯე კურთუელმა მიქელმა. ეს „კრებული“ აწერილია ჩემგნით პირველად (იხ. ივერია 1896 წ. № ), დ. ბაქრაძისაგან (იხ. მისი ისტორია 246 გვ. მ. ჯანაშვილისაგან (საუნჯე X საუკ. 1891 წ.) და უკანასკნელ ბ. ჟორდანიასგან (იხ. ქრონიკები I ნაწ. 111-122 გვ.) და ჯერ-ჯერობით ელოდება მეცნიერულს შესწავლასა და გამოკვლევასა. ალფერდის „სძლისპირი“ (ჩვენის ფიქრით ძველია მიქელ მოდრეკილის „კრებულზე“) შეავსებს ნაკლსა მიქელის „კრებულისას“, აღწერილია გამოცდილ მგალობელთა იორდანე და გიორგისაგან.

- 59 -

X საუკუნიდან თანდათან განვითარდა ქართველთა საეკკლესიო მწერლობა, გალობა; ვიზანტიის იმპერატორის კარზედ საპატიო ადგილი უჭირავს ქართველი ერის სახელსა. აყვავდნენ მონასტერნი, როგორც გარეთ ისე შინ. მრავალნი მამანი ქართველნი, ხშირად მთელი საგვარეულონი (ჩორდოვანელნი, დვალი და სხ.) მწიგნობრობის საქმეს სწირავენ მთელ თავის სიცოცხლესა; მათ ამხნევებს სამშობლოს სიყვარული და მეფეთაგან უზომო პატივისცემა. ქართველთა მონასტერნი პალესტინაში ანტიოქიაში, სინას მთაზე, საბერძნეთში და სხ. ჰმეთაურობენ მთელ საქართველოს ერსა ვიზანტიის თურქთაგან დაპყრობამდე (1453 წ.). X საუკუნიდგან მოყოლებული (არსენ კათალიკოზი) მრავალნი მამანი უდგენენ საგალობლებს სამშობლოს წმინდანებ. სტეფანე ჭყონდიდელი, სტეფანე მტბევარი (სანანოძესძე), არსენ კათალიკოზი, 1009 წ. იოანე გრძელის ძემ შეადგინა საგა-

ლობელი კანონი ივერიის პორტაიტის (კარის ღის მშობლისა; დღემდე დაუბეჭდავია <sup>65</sup>). იოანე მტბევარი და სხ. ამდიდრებენ სასულიერო სამშობლო მწერლობას თავის ნაწერებით. ვარძიის ღვთისმშობლის პატივადაც კი შეადგინეს საგალობელი კანონი, რომლის უძველესი ხელნაწერი 1192 წ. გელათის ჟამნშია მოქცეული <sup>66</sup>). შემდეგ საუკუნოებში ქართველნი მოღვაწენი განმრავლდნენ, მათ ააყვავეს უაღრესად სამშობლო მწერლობა და ოქ-

---

<sup>65</sup>) მარიამ დედოფლის აღზრდილი იყო იესე ერისთავი, რომელმაც შეადგინა მშვენიერი საგალობელთა კანონი წმ. ისე წილკნელის პატივად. ეს კანონი დაიბეჭდა 1805 წ. სადღესასწაულოში.

<sup>66</sup>) იხ. წყობილ-სიტყვ. ანტონისა 236 გვ.

როს საუკუნეს თამარის მეფობისას ყოველ მხრივ დაუმშვენეს მხარი.

## IX

### გაჭირვებული მდგომარეობა და სიმეფო ოჯახის ამაგი.

1250-1625 წლებ შუა განუწყვეტელმა მტერთა შემოსევამ და სამშობლოს წვა-დაგვამ არამც თუ შემუსრეს ქრისტიანობა საქართველოში, არამედ უფრო განამტკიცე. სწორედ მეჩვიდმეტე საუკუნეში აყვავდა მწერლობა და სარწმუნოება. მუხრან ბატონის ოჯახი 1510-1724 წ. განმავლობაში სათუთად ზრდის და აფუფუნებს სამშობლო მწერლობასა და საეკლესიო წეს-წყობილებასა. კათალიკოზონი — დომენტი და ნიკოლოზი (ამილახვარი) შეიქმნენ მეჩვიდმეტე საუკუნეში განათლების და ქრისტიანობის ბურჯად. მათ ამხნევებს სახელოვანი მარიამ დედოფალი, რომლის სასახლე შეადგენდა ქართველთათვის მეცნიერების კერას <sup>67</sup>). ამა-

ვე დროს მცხეთის საკათალიკოზოს მხარს აძლევს გელათის მონასტერი, სადაც სასულიერო მწერლობა და ქართული გალობა წარმატების გზას დაადგინენ. ვინც დოდოს მონასტრის გულამს გადაათვალიერებს, იგი მალე შეიგნებს კათალიკოზის ზაქარია ქვარიანის ღვაწლსა და ამბგსა. ამ დროს (1652-2660 წ.) თამაზა მაგალობლის გუნდის შეწყობილი გალობა ატკბობს მლოცველთა ყურსა. დოდოს მონასტრის გულანი დიდს მასალას გვაძლევს გალობის ისტორიისათვის. ქართლში მუხრან ბატო-

---

<sup>67)</sup> იხ. ქრონიკები ბ. ჟორდანიასი.

<sup>68)</sup> ანნა დედოფალი † 14 აპრილს 1716 წ.

ნის ოჯახიდან. მარიამ დედოფლის წყალობით ზრუნვა სამშობლო მწერლობისათვის და გალობისათვის სამეფო ოჯახში გადავიდა: ფიტარეთის წინამძღვარი იობი, ნიკოლოზ მროველი, ონოფრე მაჭუტაძე, საბა ორბელიანი, კვიპრიანე სამთავნელი, იასე დეკანოზი, დავით კანდელაკი და სხ. შინაურნი, დაახლოებული არიან მეფისა, ვითარცა ტრფიალნი მწიგნობრობისა და გალობისა. მაგალობელთა გუნდი ორპირად გალობდა მუხლებად დედოფლის საგალობლებს ეკკლესიაში, თუ მეფის დარბაზში. საზოგადოდ უკანასკნელი ორი საუკუნე (XVII და XVIII) შესანიშნავნი არიან ქათველთა გონებრივი მოძრაობის ისტორიაში. მარიამ დედოფლის მწიგნობრობის ტრფიალება განაგრძო ანნა დედოფალმა (დიასამიძის ასული), მეფე ირაკლის მეუღლემ <sup>68)</sup>. თავის შვილების აღსაზრდელად თავი მოუყარა საუკეთესო კაცებს და სწავლა-განათლების გემო გააღებინა. სხვათა შორის მოუწვია თავის შვილს თეიმურაზს (მამა ირაკლი II) ახალგაზდა დიმიტრი ხელაშვილი, რომელმაც შეასწავლა ქართული გალობა როგორც თეიმურაზს, ისე დანარჩენ ბატონიშვილებს <sup>69)</sup>. ესრევე აღიზრდებოდნენ თავადთა და წარჩინებულთა შვილნი მიჩენილთა მოძღვართაგან. თვით ირაკლიმ (ფშა-



ვში ყოფნის დროს, 1736 წ.) ამ დიმიტრისაგან შეისწავლა გალობა და საეკკლესიო მწიგნობრობა. ჰსჯობს თვით ირაკლი მეფეს დავუგდოთ ყური; ამისათვის ამოვწეროთ მშვენიერი გუჯარი აზნაურთა ხელაშვილებისა: „ქ. მე-

---

<sup>69)</sup> თეიმურაზის დამ მაკრინემ შეადგინა იოსებ ალავერდელის სრული საგალობელთა კანონი, რომელიც დაიბეჭდა სადღესასწაულოში 1805 წ. თეიმურაზი აგვიწერს გალობასა მოძახილით და ბანით, მგალობელთა დასაჩუქრებას თავის თხზულებაში „სარკვე-თქმულთა“.

- 62 -

ფობითსა წელმწიფებასა ჰსდევს საჭიროდ მოქმედებაჲ ესე გვარი, განჰსწორებაჲ საკმარად დროდსა და რადმესა მომატებაჲ, ანუ მოკლებაჲ დაკვეთებითა შემთხვევათა; ხოლო უფროს და ესე რადმე გვარი ნართაულობითი, რომლისაგან არსებაჲ ინართაულებს და ცვალებითსა მიიღებს მდგომარეობასა. დაღათუ ესე მრავალთა სხვა-და-სხვათა შემთხვევათაგან, მაგრა ჩვენ აქა წმეულ-ვჰყოფთ ამას მისაგებელად ღირსებისაებრ, ამისდა აღვსებად ნაკლისა, და ამისდა მიჰდად მეტისა. და მის რომლისამე სრულიად განჰვებადცა; ამად ვითარმედ ესენი ჰსჯასა შინა კეთილ-მსახურებითსა და მართალსა მდგომარეობენ. ამან თვისებამან მეფობითისა ბუნებისა მან გამოხატა ჩვენ შორის მოგონებაჲ რადმე, რომელი განჰსჯასა შინა შემოყვანებად ღირსად ვჰრაცხეთ და განვჰსაჯეთ რა ღირსებაჲ განჩინებისა შესაბამ წინათ მიღებულისა მის ძლით ჩვენგან მოწილეობისა ვიმოქმედეთ ჩვენ ქრისტეს მიერ მოწმუნემან ირაკლი მეორემან, დავითიან ბაგრატიონმან, მეფემან ყოვლისა ზემოდსა საქართველოდსა (ესე იგი, ქართლისა და კახეთისა და სხვათა ნაწილთა მისთა) და სხვა და სხვათა სამთავროთამან და ქრისტეს ღვთისა მიმართ მოწმუნისა მეფობითისა ცხოვრებისა ჩვენისა თანმცხოვრებლობით ზიარმან დედოფალმან დადიანის ასულმან დარეჯან, ხოლო ძეთა ჩვენთ — ძმათა თვისთა შორის პირმშომან გეორგი, ლეონ, იულონ, ვახტანგ, თეიმუ-

რაზ, მირიან, ალექსანდრე და ფარნავაზ, და ძის წულ-  
თა ჩვენთა დავით, იოანე და ბაგრატ.

ითქვა, ვითარმედ არსება ინართაულებს და ცვალე-  
ბითსა მიიღებს მდგომარეობასა, დაღათუ ესე მრავალთა  
შემთხვევათაგან მაგრა ჩვენ აქა ჳმეულ-ვჳყოფთ მისაგე-  
ბელთა ღირსებისაებრ.

- 63 -

ჳმეულ-ვჳყოფთ თქმულსა მას მისაგებელ ღირსებისა-  
ებრ, რომელ გვარსა მიღებადსა დაკვეთებითსა. მაგალი-  
თი: მეფობითი ჳსჯული ჳმეული ჳელმწიფებისაგან შემო-  
იყვანებს ამას რომელსამე ზედა მისაგებელად ღირსებისა-  
ებრ კეთილ და გულითად თვისდა ნაქმთათვის, ტიტლო-  
თა უაღრესობითა, ანუ აზნაურებითა თავისუფლებათა  
და ესენი ნართაულებითსა ჳყოფენ შემთხვევასა მათდამი,  
რომელთა მიიღეს, ანუ სხვათა რომელთამე ნიჳთა.

ესე გვარი ვიდრემე არს აწინდელი ესე მინიჳებად  
მოწლეობითი წინათ-მიღებული ჩვენ შორის, რომლითა  
იძულებულ იქმნა სული ჩვენი და ბუნება მეფობითისა  
თვისებისა ჳსჯულიერ წინადამდებელ ჩვენთა წარსულთა  
აღჳსენებად საქმეთა, რათა აზნაურებითა პატივ-ვეციტმცა  
პალატსა შინა ჩვენსა ზრდილსა უგანკრძალულესსა მღვდელ-  
სა პროთო-პრეზვიტერსა ხელასშვილთა იოსებს და ძეთა  
მისთა დიმიტრის, ლოგინოსს და ნიკოდიმოსს და ბიძის  
ძეთა მათთა დიაკონსა გეორგის და... კვალად მრავალნი  
რადმენი განაღვიძებენ ჩვენ შორის მოწლეობასა წყალო-  
ბად.

1. ბებიაჲმან ჩუენჲმან სულითა ბრწყინვალეჲმან ანნა  
დედოფალჲმან და უფროსლა მეფაჲმან, რამეთუ დროსა ას-  
პაანს ყოფისა ძისა თვისისა მეფისა დავითისა და სიმცი-  
რისა ღირსად ნეტარებით მოხსენებულისა მამისა ჩვენისა  
მეფისა და ცხებულისა უფლისა თეიმუაზისსა, — მართებ-  
და სკიპტრასა მეფობითსა კახეთსა შინა; ძიებადთურე  
ჳქმნა, რათა შვენიერ-ჳმოვანი ვინმე ყრმაჲ ჳსწორი გასა-  
კითა სულითა ბრწყინვალისა. მამისა ჩვენისა ჳპოვონმცა,

რათა ტკბილ-მაგალობელ ყოფად აღზარდოს იგი ძისათვის მათისა და მამისა ჩვენისა. აღსრულებად მიუღიეს მაშინ საწადას თქმულმსა მის ღირსად-სანატრელ-სახსენებელისა

- 64 -

ბებისა ჩვენისა დედოფლისასა, რომელ ბრძანებითა მისითა პოვნილი ხელასშვილი ყრმად დიმიტრი წარუდგენიესთ წინაშე დედოფლისა, რომელიცა ჰსთნდა თურმე სიმაღლესსა მისსა და ბრძანა განსწავლულ-ყოფად იგი გამოცდილთაგან მოძღვართა გალობისათა და შესაბამ წადილისა მათისა იქმნაცა.

2. მიერთა ჰხსენებული იგი დიმიტრი მყოფი პალატსა შინა მამისა ჩვენისასა, მომგებელი პატიოსნისა და განკრძალულისა ცხოვრებისა, რომელი ჰშვენის კაცთა წმიდისა საკურთხეელისა გარემო მდგომარეთა, სათნო იქმნა ღირსად სანატრელ მოხსენებულთა და სულითა ნათელ-ქმნილთა ფხიზელთა ჩვენთა მეფისა თეიმურაზისა და მეფის ვახტანგის ასულისა დედოფლის თამარისა, რომელთა ბრძანებითა სანატრელთა მათ მშობელთა ჩვენთათა თვით მეცა სიყრმესა შინა ჩემსა მივეცი ჰსწავლად გალობისა ღვთივ-სულიერისა, აღზრდად ჰელთა შინა მისთა თქმულსა მას მღვდელსა ხელასშვილსა დიმიტრის, რომლისათვის არა-მცირედ დაშვრა სწავლასა შინა გალობისასა ჩემზედა.

3. და არა დაიტევინის ესეცა, რომელ დროსა ოსმალთა და ლეკთაგან წარტყვენისა და მოოხრებულთა დაპყრობისა კახეთისა და ნაწილთა ქართლისათა და ქართლისა სრულიად ოსმალთაგან დაპყრობისასა, მეფობისა ზე კახეთსა ზედა ბიძისა ჩვენისა მეფისა კოსტანტინესსა, ოდეს იგი კახეთი ყოველი კიდე მთავართა და აზნაურთა სარწმუნოებისაცა დამტევებელნი ეზავნეს ლეკთა, და ჰხსენებული იგი ბიძა ჩვენი მეფე კოსტანტინე იძულებული საჭიროებისაგან განსაცდელთასა ნეტარ-ჰხსენებული-თურთ მამით ჩემით წარვიდენ მლტოლვარენი ფხოვად (რომელ არს ფშავი) და მრავალნი წელიწადნი ცხოვრებ-

დეს მუნ, მაშინ თქმული იგი დიმიტრი მღვდელი ხელას-  
შვილი სულითა ბრწყინვალეთა მშობელთა ჩვენთა ყოვ-  
ლითა სარწმუნოთა გონებითა ჰმსახურებდა მათ მთიურ-  
თა მათ შინა ადგილთა, დროთა საჭიროებისა და იწრო-  
ებისათა.

4. ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა პატივო-  
სანი იგი მღვდელი დიმიტრი ჰმსახურებდა სანატრელ-მო-  
ჰხსენებულთა მშობელთა ჩვენთა თანამდებობითა თვისისა  
მღვდელობისათა და დღესასწაულთაცა არა მცირე სამკა-  
ული იყო, და ესე გვარითა ჩვენისათვის მსახურებისა  
შრომითა მოიწია მეფობისამდე ჩვენისა, რომელ იგი ვმე-  
ფობდით ქართლსა ზედა ყოველსა ცხებული უფლისა სა-  
ნატრელ-მოხსენებული მამად ჩვენი და კახეთსა ზედა ჩვენ,  
ჰხსენებული იგი მღვდელი ჩვენსა შინა პალატსა დაჰმთა  
კახეთს.

5. ოდეს მოიწია დროდ ჰსწავლისა ძეგ ჩვენი ვახ-  
ტანგ პირმშოდ ჩემი, რომლისა სასძლოდ აღივსო გლო-  
ვითა, და მოიმანგლა სატრფიალოდ იგი ყვავილი სიხა-  
რულისა ჩვენისა, მღვდელი იოსებ, ძეგ თქმულისა მის  
მღვდელისა დიმიტრისა ასწავებდა წერილთა სამღვდელო-  
თა და გალობათა ძესა ჩვენსა პირმშოსა ვახტანგს, და სა-  
ყვარელცა იქმნა მისა მის ჩვენისა და ეგრეთვე მისაცა  
ჩემისა გეორგისა იქმნა მასწავლებელ სამღვდელოთა წე-  
რილთა და გალობისა.

6. ხოლო შემდგომად წარტაცებისა მისა მის ჩვენის  
თანამდებობისაგან ბუნებისა, მღვდელობად მოწოდებუ-  
ლი ჩვენგან და ბრძანებითა ჩვენთა მღვდელად პალატისა  
ჩვენისა კელთდასხმული იოსებ, ვჰპოვებთ კაცად სარწმუ-  
ნოდ ყოველსავე შინა თანამდებსა თვისსა. და ოდეს ძეგ  
ჩვენი ლეონ წარვჰგზავნეთ როსსიად წინაშე ეკატერინა

მეორისა, ყოვლისა როსსიისა იმპერატრიცისა, თანა-  
ხლებულ-ჰყავთ მღვდელი იოსებიცა ჩვენგან პროტოპო-  
პობითა, ანუ პროტო-პრეზვიტერომითა პატივის-ცემით,  
რომელიცა წმიდისაებრ სვინიდისისა, რომელი ჰშვენის  
მღვდელთა ღვთისათა და რომელიც კვალად ერთგულთა  
მონათა — ჰმსახურებდა ძესა ჩვენსა, მყოფსა ევროპასა ში-  
ნა.

7. კვალად მამად დიაკონისა გეორგისა ნიკოლაოზ,  
ძმის-წული მრავალ-გზის აქა თქმულისა მის დიმიტრისა  
სიყრმესა შინა ჩემსა აღიზარდა ჩემთანა, დროსა ჰსწავლი-  
სა ჩემისასა და მისის ტკბილ-ხმოვანს გალობისა და  
მჭევრ-მეფსალმუნეობისა და მწიგნობრობისა მიმართ და-  
ამებით მიდრეკილ იყო გონებად ჩვენი, და მგალობ-  
ლობისა და მწიგნობრობისა ჳელოვნებითა გვმსახურებდი  
ჩვენ ეკლესიასა შინა პალატისა ჩვენისასა.

ამათ ზემო თქმულთა მიზეზთათვის გულითადნი ესე  
ერთგულნი და სარწმუნონი მონანი ჩვენნი პატიოსანი  
იგი მღვდელი იოსებ პროტოპოპად და ძენი მისნი და  
ბიძის ძე მისი დიაკონი... ვჰსაჯეთ ჯეროვანად, ვითარ  
იგი ჰშვენისთ კეთილ-მსახურთა მეფეთა სარწმუნოთა მი-  
მართ მონათა მოწყალეზად მიდრეკად, რათა აზნაურები-  
თითა და თავისუფლებითითა პატივითა პატივისცნეს ჩვენ-  
გან და ესრეთ ამიერითგან აზნაურ ვჰყვენით, ყოველსავე  
შინა და სისხლიცა აზნაურთა მიუბოძეთ და თუ რადმე  
შეხვდესმცა ვისგანმე წინააღმდგომი პატივისა, რათა გან-  
ჩინებისაებრ მეფეთასა და საქართველოდსა სამოქალაქოდ-  
სა ჰსჯულისა შინა წერილთაებრ საუპატივოდ დაეურე~ვე-  
ბოდესთ.

ამიერთ ეგოს უცვალებელ ბრძანება ესე ძეთაგან  
ჩვენთა და ძის ძეთა და შემდგომთაგან ყოველთა და ნუ

ეინმე იკადრებს დაჰხსნად ჩვენ მიერ ნიჭებულისა ამის  
წყალობისა, არამედ ყოველთაგან დამტკიცებულ იქმნას,  
რომელი ჩვენ შესაბამ ჩვეულებათა მეფობითითა ბრძანე-

ბით მიგვიბოძებუიეს ერთგულთა მიმართ მონათა ჩვენთა როარტაგ-სიგლითა ამით.

გამოითქვა ბრძანება ესე სიგელი ძმისა ჩვენისა მეფის ძისა ანტონის მიერ ყოვლისა ზემოდსა საქართველოდსა მამათმთავრისა.

აღიწერა სიგელი ესე ჴელითა დიდის ეკკლესიისა სვეტისცხოვლის დეკანოზის გიორგისათა, განხორციელე-ბითგან სიტყვისა ღისა წელსა ჩლოზ, ხოლო ქართულ-სა ქორონიკონსა უდე. **ირაკლი დარეჯან მეფის ძე გიორგი ლეონ იულონ ვახტანგ მირიან ალექსანდრე.**

ეს ყოველ მხრივ მშვენირი გუჯარი საუკეთესოდ აღგვიწერს ქართულის გალობის აყვავებასა ქართლ-კახეთის სამეფო კარზედ მთელი ასი წლის განმავლობაში <sup>70)</sup>. ამავე ხნის განმავლობაში და შემდეგ (1679-1862 წ.) ანჩისხატის ტაძარში მემკვიდრეობით დეკანოზობდნენ სახელოვანნი წარმომადგენელნი ალექსის ძე მესხნი, რომელთა საგვარეულოში აყვავდა და აღფრთოვანდა ქართული მწერალ-მწიგნობრობა და გალობა: საკმაოა დავასახელოთ დავით კანდელაკი, გრიგოლ მხატვარი, ალექსი დეკანოზი, მიხაილ დეკანოზი, გიორგი დეკანოზი, სოლომან დეკანოზი, გაბრიელ დეკანოზი, არონ მღვდელი, დიმიტრი დეკანოზი, დავით რექტორი, იერონიმე და სარდიონ მესხიევი, არხიმანდრიტი ტარასი და სხ. მრავალნი, — რომ მკითხველმა წარმოიდგინოს დიადი ღვაწ-

---

<sup>70)</sup> გუჯარი ეკუთვნის სიღნაღში მცხოვრებელს აზნაურის ქვრივს ბარბარე დიმიტრის ასულს ხელავეისას, რომელსაც ამ გუჯრის დროებით თხოვებისათვის დიდს მადლობას მოვახსენებთ.

ლი ამ სახელოვანი საგვარეულოსი წინაშე საქართველოს ეკკლესიისა და ეროვნებისა. წარსულ საუკუნეშივე ბრწყინვიდა მიქაძეთა, გაბაანთ და მაღალაძიანთ საგვარეულონი. სიონის ტაძარი ანჩისხატთან ერთად შეადგენდა დიდს მეცნიერების კერას ქართველთა მოზარდი თაობისათვის.

ჯვარისმამის დეკანოზი იოანე გარსევანიშვილი († 1782 წ.)<sup>71</sup>), ზაქარია მოძღვარი, ნიკოლოზ დეკანოზი (სიონისა) მაღალაძე, იოანე მხატვარი, დეკანოზი სიონისა ოსე, დეკანოზი სიონისა იოანე ოსეს ძე, ისაკ მცირე სიონის კანდელაკი ერთმანეთს ეცილებიან პირველობასა მწერალ-მწიგნობრობის საქმეში. ამათ ჰმეთაურობს სახელოვანი ანტონი დიდი კათალიკოზი და გზის მაჩვენებელი ვარსკვლავივით მიუძღვის წინ ეროვნული გრძნობის წარმატების საქმესა. თუ 1755 წლამდე რუსეთში მიმავალთა მღვდელთ-მთავართა, მეფეთა და ბატონიშვილებმა თან გაიყოლიეს აუარებელი რიცხვი მწერალ-მწიგნობართა და მგალობელთა და მით შეამცირეს საქართველოში განათლება, სამაგიეროდ 1763 წლიდან, ანტონ კათალიკოზის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ განათლების საქმე წაღმა დატრიალდა: დაარსდნენ ყრმათა სასწავლო სკოლანი ყველა ეკლესიებთან, დაარსდნენ სემინარიები — ტფილისში და თელავში. ანტონ კათალიკოზის აღზრდილნი მოწაფენი ასობით ითვლებიან: მიხაილ ტფილელი, ამბროსი ნეკრესელი, იუსტინე მროველი, დავით რექტორი, დოსითეოს ნეკრესელი, სიონის დეკანოზი იოანე ოსეს ძე, იონა მროველი, გაიოზ რექტორი, იოსტოს ანდრონიკაშვილი, გერონტი არხიმანდრიტი (სოლაღაშვილი), გერვა-

---

<sup>71</sup>) ამისი ძმა იყო მთავარ-ეპისკოპოსი ბესარიონ, 8 თვე განაგებდა სამწყსოსა. იხ. მეფ. გიორგ. ცხ. 43 გვ.

სი სამთავნელი, ტრიფილე არხიმანდრიტი († 1818 წ. ნათლის მც. უდაბ.) და სხ. სათაყვანებელნი პირნი არიან ყოველი ქართველისაგან<sup>72</sup>). ახლა ვნახოთ გალობის საქმე როგორ წაიყვანა ანტონ კათალიკოზმა.

## X

ქართული გალობის გავრცელება წარსულ XVIII საუ-

## კუნეში.

ანტონ კათალიკოზს კარგი მაგალითები ჰქონდა წარსულში სახელმძღვანელოდ. არჩილ მეფისა<sup>72)</sup> და ვახტანგ VI თავდადებული შრომა ქართველი ერის განათლებისათვის, დომენტი კათალიკოზის თავგანწირული ბრძოლა ჯერ ოსმალებთან და მერე სპარსებთან, რუსეთში მყოფ ქართველ მღვდელთმთავართა და სხ. ღვაწლი წიგნების აღბეჭდვით და ზრუნვა საქართველოს ეკკლესიის განდიდებისათვის — ყველა ესე ანტონის თვალწინ განვლილი იყო, ყველა ესე დიდ-დიდი საქმეები კარგად იცოდა. ირაკლი მეფე მომხრედ აგულებოდა, ეს ტრფიალი ქართველთა ერის გაძლიერებისა და უკანასკნელი რაინდი ბაგრატიონთა გვარისა სხვა რა აკლდა? მობრუნდა თუ არა სამშობლოში 1764 წ. 1 ოკტომბერს

---

<sup>72)</sup> 1789 წ. ბატონიშვილი მიბმანდა შიომღვიმეში, ყველიერში, თვით წაიკითხა სამოციქულო და გალობდა; სადიღზედ გუნდი გალობდა სძლისპირთა და კონდაკსა. იხ. იქვე.

<sup>73)</sup> არჩილი თავის წერილში „საქართველოს ზნეთა და ჩვეულებათათვის“ ახსენებს ქართულის გალობის ხასიათსა — „უსულოთ თქმასა“, „ხმა მაღალი კანანარხით თქმასა“, „დასდებლების თქმასა“, „ჭრელსადაგსა“, „სძლისპირთა ჭრელად გარდათქმასა“. 134 გვ. ჩემი ხელნაწერისა. აქედან ცხადია, რომ XVII საუკუნეში გალობა გავრცელებული იყო საქართველოში.

- 70 -

წირვა-პარაკლისის შემდეგ გახსნა კრება საქართველოს მღვდელთ-მთავართა ირაკლი მეფის თანა დასწრებით; კრებამ 18 ოკტომბრამდე გასტანა. ამ კრებამ თვისი დადგენილებანი დაურთო ყველა მღვდელთ-მთავართა და მონასტერთა წინამძღვრებს<sup>74)</sup>, სხვათა შორის დაადგინა კრებამ მგალობელთა გუნდთა შედგენა ყველა სამღვდელთ-მთავრო ტამრებთან ძველებრ. ამისათვის სვეტიცხოველში დაარსდა დიდი საკათალიკოზო სკოლა, სადაც ყრმანი-მოსწავლენი სხვა-და-სხვა საგნებთან სწავლობდნენ ქარ-



თულ გალობასაცა, როგორც ძველათ. ამ სკოლაში მო-  
უყარეს თავი დიდ საგვარეულოთა შვილებს. მალე გაი-  
მართა ორ გუნდად გალობა. ამ სკოლიდან მოეფინა სწა-  
ვლა მეცნიერება ქართლ-კახეთსა. ამ დროიდან მონას-  
ტერნი დავით გარესჯისა, ნათლის მცემლისა, შიომღვი-  
მისა, ქვათახევისა იწყობენ განბრწყინვებულსა, აქ იკრიბე-  
ბიან სწავლა-მეცნიერების მწყურვალნი, რომელთათვის  
ღირსნი ბერ მონაზონნი მაკარი, იოანე, გერმანე, გე-  
რონტი, გამალიელი, მიხაილ და სხ. სწერენ უთვალავ  
სასწავლო წიგნებსა და საგალობლებსა.

ირაკლი მეფე მფარველი ანგელოზივით თავს დას-  
ტრიალებს მწერალ-მწიგნობართა და მეტადრე მგალობ-  
ლებსა. მარტყოფელ სოლომან მგალობელს უწყალობებს  
საწისქვილო და სხ. მამულს და მისს ობლებს ოქმს უახ-  
ლებს 11768 წ. სვეტისცხოვლის ყმას, მგალობელს აზნა-  
ურს ოთარს აძლევს შემდეგ ოქმსა: „ქ. წყალობითა  
ღვთისათა ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან პანკრა-  
ტოვანმან, ცხებულის მეფის თეიმურაზის ძემან, მეფემან  
ყოვლისა საქართველოჲსა, კახეთისა, და სხვათამან ირაკ-

---

<sup>74)</sup> იხ. შუკრებულება ნინოწმიდის ეპარხიის გუჯართა სახელ-  
მწიფო ქონებათა დეპარტამენტში.

ლი მეორემან და სასურველმან ძემან ჩვენმან უწმიდესმან  
საქართველოს კათოლიკოს პატრიარხმან ანტონიმ — ესე  
წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გობოძეთ შენ აზნაურს  
ოთარს, შვილსა შენსა გრიგოლს, არტემს და მომავალ-  
თა სახლისა შენისათა ასე, რომ ლუხუნისშვილი მგალობ-  
ბელი ნიკოლოზ უძეოთ ამოსწყდა და რაც აღაიანში  
ყმა და მამული, ხოდაბუნი, ზვარი, სასახლის ადგილი,  
საყდარი და წისქვილი, მთა და ბარი და ყოველივე რაც  
ლუხუნისშვილი ნაქონები არის უკლებლად გვიბოძებია  
ეს მამული და სამკვიდრებელი. პირველად ელიოზის-  
შვილმა დაიჭირა, მგალობელს ნიკოლაოზს ორი ობოლი

ქალი დარჩა და ნიადაგ იმათ სარჩოს და მზითევს სთხოვდენ ელიოზისშვილის დავითსა და ყური არა უგდორა. მერე იმ ქალების მზითევი ჩვენ უბოძეთ და ის ლუხუმის შვილი ყმა და მამული ელიოზისშვილს სრულებით ჩამოვართვით და შენ დაგიმკვიდრეთ. ამისთვის რომ შენმა ძმამ არხიმანდრიტმა გერასიმემ <sup>75)</sup> და შენ ოთარ მგალობელმა, როდესაც საქართველოში მოხვედით მრავალი კეთილი და ღვაწლი დასდევით და ჩვენნი წმიდანი ეკკლესიანი გალობით განანათლეთ; ღირსნი იყავით რომ სვეტის ცხოვლის ეკკლესიის ყმისა და მამულიდამ თქვენ წყალობა დაგმართებოდათ და რადგანაც თქვენც იმავე ეკკლესიისანი ხართ, ამ ყმისა და მამულის მემკვიდრეობა

---

<sup>75)</sup> გერასიმე არხიმანდრიტი (გურიიდან) მოვიდა 1766 წ.

ტფილისში თავის ძმა ოთარით, იყო სრული მგალობელი და განახებდა ანტონ II კათალიკოსის მგალობელთა გუნდს. † 1805 წ. იხ. მეფ. გიორგის ცხ. 144 გვ. როცა ანტონ II რუსეთს წაბრძანდა, მწუხარე გრიგოლ ანთაძე კათალიკოზის მგალობელი, ოთარისძე, მოვიდა სოფ. ჭალაში პეტრე მგალობელთან და 1812 წ. მოკვდა; პეტრემ ქვა დაადო წმ. გრიგოლის ეკკლესიის მახლობლად, დასავლეთით.

- 72 -

მოგეცით ყოვლის კაცის უცილებელად, ღმერთმან მშვიდობაში მოგახმაროსთ და ეკკლესის სამსახურზედა და რაც ამ საქმეზედ ელიოზისშვილის დავითს ან ჩვენნი, ან ჩვენის ძმის ნეტარხსენებულის კათოლიკოს პატრიარხის ანტონისაგან ბოძებული წყალობის წიგნები ჰქონდეს, ყველა გაგვიბათილებია, რომ ამის შემდგომად აღარ შეიწყნარებოდეს. ამის წყალობის წიგნი თქვენ ამას წინათ მეოთხე წელიწადია რომ გიბოძეთ, მაგრამ ის წიგნი აღამამათ-ხანის მოსვლის ჟამს დაგკარგოდათ. ეს მეორე სიგელი განგიახლეთ და დაგვიმტკიცებია, საუკუნოდ მტკიცედ ბეჭდითა ჩვენითა. აღიწერა ტფილისს. აპრილის 3 წელსა ჩღჟ მეფე ერეკლე.

კათოლიკოსი ანტონი. ქ. ჩვენ მეფე სრულიად ქარ-

თლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი ამ წყალობის წიგნს  
 ვამტკიცებთ, დეკემბერს კთ 1799 წ. **მეფე გიორგი** ქ.  
 ჩვენ სრულიად საქართველოს ქართლისა, კახეთისა და  
 სხვათა დედოფალი ბატონი ციციშვილის ასული მარიამ  
 ვამტკიცებ ამ წყალობის სიგელსა. დეკემბრის კთ 1799 წ.  
**დედოფალი მარიამ** ქ. ჩვენ სრულიად ქართლისა, კახეთისა  
 და სხვათა დედოფალი დადიანის ასული დარეჯან ამ წყა-  
 ლობის სიგელს ვამტკიცებთ ოქტომბერს ლ 1797 წ.  
**დედოფალი დარეჯან** ქ. ჩვენ საქართველოს უფლის წული  
 მეფის ძე გიორგი ამ წყალობის წიგს ვამტკიცებთ, ივნის-  
 სის 12, 1797 წ. **გიორგი** ქ. ჩვენ სრულიად საქართვე-  
 ლოს მეფის ირაკლის ძე მირიან ამ წყალობის წიგნს ვამ-  
 ტკიცებ, ოკტომბრის. ლ. 1798 წ. **მირიან** ქ. ჩვენ მე-  
 ფის ძე იულონ ამ წყალობის წიგნს ვამტკიცებ ივნისის  
 იბ 1797 წ. **იულონ** ქ. ჩვენ მეფის ძე ალექსანდრე ამ  
 წყალობის წიგნს ვამტკიცებთ, თიბათვის, ივ. 1789 წ.  
**ალექსანდრე** ქ. ჩვენ მეფის ძე ვახტანგ ამ წყალობის წიგნს

- 73 -

ვამტკიცებთ, ივნისის, იდ. 1797 წ. **ვახტანგ** ქ. ჩვენ მე-  
 ფის ძე ფარნავაზ ამ წყალობის წიგს ვამტკიცებთ ივნის-  
 სის, ივ, 1798 წ. **ფარნავაზ** ქ. ჩვენ სრულიად საქართვე-  
 ლოს მეფის ძე მემკვიდრე რუსეთის ლენერალ-მაიორი  
 და კავალერი დავით ამას ვამტკიცებთ. დეკემბრის ლა  
 1799 წ. **დავით** ქ. ჩვენ მეფის ძე იოანე ვამტკიცებთ,  
 იანვრის, ზ. 1800 **იოანე**.

თვით ირაკლი მეფე ჩინებული მგალობელი იყო და  
 დიდი მოყვარული ქართული გალობისა. ჯერ ზაქარია  
 მოძღვარი (გაბაშვილი) ირაკლიმ დასაჯა და გააძევა ქარ-  
 თლიდამ ქართული გალობის შემლისათვის. ამაზედ ჰსწერს  
 (1763 წ.) დავით მღვდელი (ურიაყოფილი):

„... მიმოშლა იწყო გალობა, ქართულს ენაზედ თქმულები  
 (ზაქარია მოძღვარშმა)

ხმაც შეშალა და სიტყვაცა, ჩაურთო შიგ სპარსულები.

მე უთხარ გლახას ნათიძეს — შენ იმას უგდე ყურები“... 76)

მოხუცების დროს, 1792 წ. თებერვლის 16 მეფე ირაკლი ჰსწერს ამბროსი წილკნელს: „ქართლ-კახეთში ცისკრის „ალილო“ (აქებდით მონანნი უფალსა?) აღარავის ახსოვსო, ქალაქს ჩამოდი, დაგვასწავლეო და იშოვნი რასმეო“. ამისი პასუხი და ლექსი ამბროსიმ გამოუგზავნა ირაკლის იოანე მღვდლის გალატოზიშვილის ხელით. ირაკლი არ მოეშვა და ლექსის პასუხი მისწერა:

„შენ ეგ „ალილო“ გვასწავლე, მე ვიცი რაც რომ გარგეო, ეგ ენა პირი და გული, აღაღე ჩვენთვის ბაგეო, ოფოფას მალ გამოგაცლი, მისი გული დადაგეო <sup>77)</sup> და ერთი კიდევ სხვა მოგვწერე და მერმე აიბარგეო“.

---

<sup>76)</sup> იხ. ჩემი ხელნაწერი 192 გვ.

<sup>77)</sup> ოფოფას ემახიან, ვგონებ, სვიმონ მუხრანბატონს, რადგან ამბროსიზე გადამტერებული იყო. ნეკრესს გადაყვანას ჰპირდებოდა ირაკლი გაკვრით“.

- 74 -

ჩამოვიდა ამბროსი ტფილისში; იმავ საღამოს დაიბარა ირაკლიმ და ხუთჯერ იგალობა „ალილო“ თვით ირაკლიმ; მერე იქ მყოფმა მფლობელმა — მეთოდიმ მოახსენა — იმერეთში არ იცინანო. აქვე იყო მგალობელი დეკანოზი გიორგი ხელაშვილი. ამათ — მეთოდის და გიორგის უბრძანა ირაკლიმ — მე ვერ მოვიცლი, თქვენ დაისწავლეთო და ათ დღეზე დაისწავლეს. ამბროსი ნეკრესელი იყო მოწაფე ანტონ კათალიკოზისა და საუკეთესო მწერალ-მწიგნობარი, მქადაგებელი და სრული მგალობელი იყო <sup>78)</sup>.

## XI

**გამოჩენილი მგალობელნი და მწერალ-მწიგნობარნი**

1764 წ. <sup>1/18</sup> ოკტომბრის კრების დადგენილებისამებრ, კირილე სამთავნელმა (ასე 1766-1768 წლებში) გამოგზავნა მცხეთის საკათალიკოზო სემინარიაში გოგია

ამილახვარი; გოგიამ თან გამოიყოლა თავისი თან შერ-  
დილი პეტრე (გოგია ხმალადის ობოლი) საკორინთლო-  
დან, რადგან ხნით ტოლნი იყვნენ, ერთმანეთი უყვარ-  
დათ და ორივე სამთავისის სკოლაში სწავლობდნენ.

მცხეთაში სამასამდე ყმაწვილი კაცი სწავლობდა სა-  
ღვთისმეტყველო და საფილოსოფოსო საგნებსა, გეოგ-  
რაფიასა, არითმეტიკასა და მათ შორის გალობასაც. ყო-  
ველი მოსწავლე სწერდა იამბიკოებს მეფის, კათალიკო-  
ზის და სხ. წარჩინებულ პირთა პატივსაცემლად. თავი-

---

<sup>78)</sup> ამბროსი წინათ იკორთის წინამძღვრად იყო გამალიელის  
შემდეგ; წილკნელობა ებოდა 1778 წ. აპრილის 9; მანგლელობა  
ებოდა 1792 წ. მარტის 1-ს და ნეკრესელობა ებოდა 1794 წ. დე-  
კემბრის 2-ს. ნეკრესში დარჩა 1812 წ. 14 აპრილამდე და ამ დღეს  
წამოვიდა ტფილისში.

- 75 -

სუფალ დროს რომელიმე კარგი მკითხველი კანანარხოზ-  
და და ოცი ოც-და-ათი სწერდა სასწავლო წიგნებსა: კა-  
თეხიზმოსა, ისტორიასა, არითმეტიკასა, ლოლიკასა და სხ.  
ყოველი დღესასწაული სრულის წესით გადაიხდებოდა  
ხოლმე კითხვა-გალობით. ყველა მოსწავლეს მაგალითს  
აძლეოდა კათალიკოზი ანტონი: ჰსთხავდა და ჰსთარგმ-  
ნიდა საჭირო წიგნებსა, იამბიკოებს, პატივად წმიდათა და  
ურიგებდა მოწაფეებს სახელმძღვანელოდ. აი აქ და სხვა  
ამგვარ სემინარიებში (ტფილისში, თელავში) აყვავდა  
ძველებური გალობა და გავრცელდა საქართველოს ყო-  
ველ კუთხეში.

ძველ დროთაგან საქართველოში ცნობილნი არიან  
შემდეგნი მგალობელნი:

- 1, იოანე საბანის ძე მღვდელი 762-795 წ.
- 2, არსენ კათალიკოზი 920-991 წ.
- 3, იოანე მტბევარი.
- 4, სტეფანე მტბევარი.
- 5, მინჩხი.
- 6, იოანე ქონქოზისძე.

7, იორდანე, აღმწერი ალავერდის სძლისპირისა X საუკ.

8, მიქელ მოდრეკილი 960-980 წ.

9, მნათე 1020-1085 წ.

10, არსენი კათალიკოზი ბულმაისს ძე 1220-1261 წ.

11, გიორგი მღვდელი, ჟურული, 1435-1470 წ. მგალობელი და მწერალ-მწიგნობარი სამთავისის ტაძრისა.

12, მათე 1541-1560 წ. გოგიტიძე, შემოქმედის წინამძღვარი.

- 76 -

13, იოანე 1560-1590 წ. გოგიტიძე, მათეს ძმის-წული.

14, პაკუა 1597-1632 წ. ყანჩაველი, უგალობელი და მწერალ-მწიგნობარი სამთავისის ტაძრისა.

15, არსენი დაყუდებული 1634-1672 წ. აღწერა ახალი შიოს საგალობელნი.

16, თამაზა მგალობელი 1650-1671 წ. გელათში.

17, იაკობ დუმბაძე 1679-1721 წ. შემოქმედში, მგალობელი.

18, საბა მგალობელი 1652-1686 წ. მცხეთაში კათალიკოზის კარზედ.

19, ისაკ მგალობელი 1662-1697 წ. მგალობელი სიონის ტაძრისა, ტფილისში.

20, იორამ მგალობელი 1674-1698 წ. კათალიკოზის იოანე დიასამიძისა.

21, იოანე ჩხატარაშვილი 1661-1680 წ. სრული მგალობელი.

22, იოზ ფიტარეთის წინამძღვარი 1675-1733 წ. სრული მგალობელი.

23, იესე დეკანოზი 1690-1713 წ. ტლაშაძე, სრული მგალობელი.

24, დავით კანდელაკი 1680-1721 წ. მესხი, მგალობელი ანჩისხატის ტაძრისა.

25, გიორგი მხატვარი 1694-1732 წ. მესხი, მგალობელი.

26, ალექსი დეკანოზი ანჩხატისა 1731-1765 წ.

27, იოთამ მგალობელი 1720-1753 წ.

28, მელქისედექ კავკასიძე 1725-1765 წ. სრული მგალობელი, მდივანი ჯერ ვახტანგ VI და მერე ანტონ I კათალიკოზისა.

- 77 -

29, ნიკოლოზ 1730-1744 წ. ურბნელი მგალობელი.

30, იოანე დეკანოზი ჯვარისმამისა, 1740-1782 წ. გარსევანაშვილი.

31, მახარობელ მღვდელი 1730-751 წ. მგალობელი ვეჯინის ღვთაების ტაძრისა.

32, გერმანე მღ. მონაზონი 1720-1748 წ. სრული მგალობელი.

33, გაბრიელ მღ. მონაზონი 1772-1835 წ. მგალობელი იყალთოს ღვთაების ტაძრისა.

34, ნიკოლოზ მაღალაძე 1750-1783 წ. სიონის დეკანოზი, სრული მგალობელი.

35, იოსებ დეკანოზი, ხელაშვილი. (იხ. ზევით გუჯარი) 1746-1782 წ.

36, გიორგი დეკანოზი 1770-1804 წ. ხელაშვილი.

37, იოანე სიონის დეკანოზი ოსესძე 1774-1814 წ.

38, სოლომონ დეკანოზი ანჩისხატისა ალექსისძე 1788-1815 წ.

39, გერონტი არხიმანდრიტი სოლოღაშვილი.

40, ამბროსი მიქაძე, ნეკრესელი 1774-1815 წ. სრული მწერალ-მწიგნობარი და მგალობელი.

41, ბიქტორ პარკაძე, მღვდელ-მონაზონი შიომღვიმის მონასტრისა 1790-1828 წ.

42, დიმიტრი ბერი, გარსევანაშვილი 1780-1816 წ. ქვათახევში.

43, სიმონ მგალობელი 11785-1836 წ. იყო პაპა

ჩვენი ბელეტრისტის სოფრონ მგალობლიშვილისა.

44, დიმიტრი ბერი 1789-1814 წ. შიომღვიმეში, მეგობარი პეტრე მგალობლისა.

- 78 -

45, ტრიფილე არხიმანდრიტი ჯორაშვილი, 1769-1818 წ.

46, გამალიელ არხიმანდრიტი, გამრეკელი 1760-1816 წ. შიომღვიმეში.

47, თეოფანე არხიმანდრიტი 1800-1852 წ. მაჩაბელი.

48, გრიგოლ ანთაძე კათალიკოზის მგალობელი † 1812 წ.

49, პეტრე კარბელა 1754-1848 წ.

50, კიკოლა თაზიშვილი, გომელი 1790-1849 წ.

51, ექვთიმე ჭილაშვილი, მარტყოფელი 1795-1856 წ.

52, სოფრონ არხიმანდრიტი, არაგვის ერისთავი 1780-1851 წ.

53, თეოფანე არხიმანდრიტი, მაჩაბელი 1787-1854 წ.

54, ეპიფანე არხიმანდრიტი, იოანეს ძე ბუჭყიაშვილი 1785-1852 წ. 10 თებერვალს. ხირსის მონასტერში.

55, გაბრიელ მღვდელმონაზონი 1778-1835 წ. მყაშვილი იყალთოში, დისწული სოფრონ არხიმანდრიტისა.

56, საბა მგალობელი, აფანოვი 1790-1833 წმ. ნინოს მონასტერში.

57, გიორგი დეკანოზი ფოცხვერაშვილი 1770-1830 წ. წმ. ნინოს მონასტერში.

58, გრიგოლ დეკანოზი, იშხნელი, მოძღვარი მარიამ დედოფლისა, სოლომან II მეუღლისა.

59, იოანე პროტოდიაკონი 1800-1838 წ. ფოცხვერაშვილი, ძმა გიორგი დეკანოზისა.



60, ტარასი არხიმანდრიტი 1805-1874 წ. ძე სოლომონ დეკანოზისა, ალექსისძე მესხი.

61, გერონტი მღვდელ-მონაზონი 1807-1852 წ.

62, ნიკიფორე ჯორჯაძე 1807-1850 წ.

63, გიორგი მღვდელი დუმბაძე გურიაში 1875 წ.

64, ეფრემ მღვდელი, ალექსისძე, 1815-1858 წ.

65, სიმონ მგალობელი (კუტი) 1820-1860 წ.

ხონში, გვარათ ფირცხალავა.

66, იოანე დიაკონი 1810-1859 წ. ინაშვილი წმ. ნინოს მონასტერში.

67, დიმიტრი კანდელაკი 1820-1860 წ. გელათში.

68, იოსებ მღვდელი, ფხალაძე 1813-1857 წ. აღზრდილი იოანე ბოდბელისაგან.

69, გრიგოლ მღვდელი კარბელოვი 1812-1880 წ. პეტრე მგალობლის ძე და სხ.

აი ამათ შეინარჩუნეს ქართული გალობა, მაგრამ ყველა მათგანს თან ჩაჰყვა საფლავში მშვენიერი კილოები იქ, სადაც ბედმა არგუნა სიკვდილი. ჯერ კათალიკოზის ინტონ II რუსეთში წაყვანის გამო და მერე სტეფანე რუსთველის (1840 წ.) და იოანე ბეოდელის (1837 წ.) სიკვდილის შემდეგ მგალობელთა გუნდები დაიქსაქსნენ და მისწყდა გალობის ხმა 1862 წლამდე. ამ დროს ზემო ჩამოთვლილ მგალობელთაგან იცით რამდენი იყო ცოცხალი? მხოლოდ ტარასი არხიმანდრიტი († 4 მაუსს 1874 წ.) და მღვდელი გრიგოლ პეტრეს ძე კარბელოვი († 29 აპრილს 1880 წ.). ამისთვის მოვიყვანთ საინტერესო ცნობებს რამდენსამე მგალოელაზედ, რომელთაც ამაგი გასწიეს გალობის გავრცელებისა და საბოლოოდ შენახვისათვის.

1. არხიმანდრიტი გერონტი სოლაღაშვილი, დაიბადა 15 მახტს 1757 წ, აღიზარდა გერასიმე არხიმანდრიტისაგან ნათლისმცემლის უდაბნოში; 1786 წ. იყო იეროდოკონად და აღწერა მშვენიერი ხუცურის ხელით სრული „სძლისპირი“, შემდეგ სადღესასწაულო. აღყვანილ იქმნა მეფე ირაკლის კარის არხიმანდრიტად 1794 წ. გადიყვანეს 1798 წ. ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვრად; აქედან გადიყვანას 1802 წ. შუამთის მონასტრის წინამძღვრად; აქედან შიომღვიმეში გადავიდა წინამძღვრადვე; შემდეგ ანტონ კათალიკოზის ანტონის რუსეთში გადასვლისა (1811 წ.) დაბინავდა დავით გარესჯის უდაბნოში, გამართა მშვენიერი სკოლა, სადაც ასწავლიდა მწერალ-მწიგნობრობასა და გალობასა. ამან აღზარდა სხვათა შორის სახელოვანი მგალობელი და მწერალ-მწიგნობარი გერონტი ვაჩნაძე. გარდაიცვალა აქვე, დავით გარესჯის უდაბნოში 1813 წ. იანვრის 12, კვირა დილით შობიდან 56 წლისა.

2. სოფრონ არხიმანდრიტი † 1850 წ. არაგვის ერისთავი, ძე ბეჟანისა. პატარაობითვე აღიზარდა ნათლისმცემლის უდაბნოში, აქვე შეისწავლა საღვთისმეტყველო საგნები და გალობა.

1838-1850 წლებში არხიმანდრიტად აღყვანილი განაგებდა ამავე უდაბნოს და განუწყეტლივ ასწავლიდა მსურველთ მწერალ-მწიგნობრობასა და გალობასა. მის მოწაფეთაგანნი იყვნენ მღვდ. დიმიტრი ქიტიაშვილი, ხაშმელი დიაკონი ნახუცრიშვილი, ხოლო მღვდელი იოსებ ჩიკვაძე დღესაც ცოცხალია ს. კისისხევში, თელავის მახლობლად. მისი გალობა დღევანდელი ქართლ-კახური გალობავეა, მხოლოდ სოფრონს სხვა ხმათა შორის მოსწონებია მეორე ხმა და მრავალნი საგალობელნი ამ მეო-

რე ხმაზედ მოუმართავს; მაგ. მეორე ხმის ანტიფონის „ზეცად მიმართ თვალთა“-ს კილოზედ მოუწყვია წირვაზედ საგალობელი „მოვედით თაყვანისცვით“. სოფრონი

გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული 14 ივნისს 1850 წ. დასაფლავებულია ნათლისმცემლის უდაბნოში.

3. იეროდიაკონი გერონტი ვაჩნაძე (ერის კაცობაში გრიგოლ). დაიბადა 1783 წ., იყო უკანონო შვილი გმირის სვიმონ ბებურიშვილის-ვაჩნაძისა, რომელიც ღრმად მოხუცებული მოკლეს რუსებმა 1812 წ. თებერვალში ყარაღაჯის ციხეში. პატარა გრიგოლი სვიმონმა გაუგზავნა იოანე ბოდბელს წმ. ნინოში, 1792 წ. გასაზრდელად. ამ დროებში წმ. ნინოში ლოტბარობდა ჩინებული მგალობელი მღვდელი საბა აფანოვი († 1833 წ.) და სხვათა შურის თავის ძმისწულებს (ლაზარეს და სხ.) ასწავლიდა გალობას. პატარა გრიგოლმა გარედგან ყურის გდებით მშვენივრად შეისწავლა გალობა; ლაზარე-ზედ და სხ. უკეთესად.

იმ ხანებში რაღაც მონდობილებით გერონტი არხიმანდრიტი (სოლოლაშვილი) მივიდა იოანე ბოდბელთან და საყდრის სამხროში ყური მოჰკრა — პატარა გრიგოლი როგორ მშვენივრად ღიღინებდა თვითხმოვანს „ცისკარს მსთვად მოვიდა“. შინ შემოსრულმა არხიმანდრიტმა ნახა, რომ საბა მგალობელი თავის მოწაფეებს აგალობებდა სწორედ იმ საგალობელს (ცისკარს მსთვად მოვიდა) და ძილიან უჭირდებოდათ დასწავლა. სადილად დასხდნენ. არხიმანდრიტმა გერონტიმ იკითხა პატარა გრიგოლის ვინაობა და სთხოვა იოანე ბოდბელს მოეყვანათ იგი. მოეყვანებ უნებურად. გერონტიმ უბრძანა — აბა, წედან რომ გალობდი საყდართან, აქაც იგალობე, შვილო! პატარა გრიგოლმა თამამად დაიწყო და იგალობა შეუშლელად

სრული „ცისკარს მსთვად“. თვით გერონტიმ ბანი მიაცოლა, საბამ მოძახილი. გაკვირდნენ იოანე ბოდბელი და საბა — გარედგან ყურის გდებით ასე მალე როგორ დაისწავლაო. ბოდბელმა ერთი აბაზი აჩუქა და თავზე ხელი გადაუსვა წაქეზების ნიშნად. სწავლის დროს გერონტიმ ჰსთხოვა ბოდბელს — ეს ბავშვი მე მომეცით, წავიყვან და

ჩემის სულის გულისთვის გავზრდიო. დათანხმდა ბოდბე-ლი. გერონტიმ წამოიყვანა თან პატარა გრიგოლი და ხუთ-ექვს წელიწადში შეასწავლა მწერალ-მწიგნობრობა და გალობა. უკანასკნელი თავისთან დააბინავა დავით გარეჯის უდაბნოში და ბოლოს ჟამს უკურთხა საბერო ჩოხა და თავისი სახელი (გერონტი) უწოდა, თუმცა ბერობაზედ გული არ მისწევდა. მთელი ოცი წელიწადი უარს ამბობდა. ხან მკლავს აიტკიებდა, ხან ფეხს. ბოლოს, 1832 წ. ივნისის 6-ს აღიკვეცა ბერად თეოფანე მღვდელ-მონაზონის (მაჩაბელი) ხელით და სახელად გერასიმე უწოდეს. ძალიან უყვარდა ღვინის სმა და 1840 წ. ხმა წაუვიდა. 1842 წ. 5 აპრილს ეპისკოპოსად აკურთხეს ნიკიფორე (ჯორჯაძე) და როგორც გალობის ტრფი-ალმა გერონტი ჩააყვანა ტფილისში საწამლებლად, დააბინავა დარიის მონასტერში და საუკეთესო ექიმები მიუჩინა ხმა როგორმე მოჰბრუნებოდა. უწამლეს, როგორც იყო ხმა მოჰგვარეს ექიმებმა, მაგრამ ღვინის სმა სასტიკად აღუკრძალეს. პატარა ხანს გააჩაღა კიდევ გალობა ტფილისში, მაგრამ ბოლოს, 1849 წ. აღარ დადგა, ისევ დავით გარეჯაში წავიდა და თავისთვის დაბინავდა და ღვინის სმისაგან ისევ წაუვიდა ხმა. ესე მყოფი მოხუცი შესანიშნავი მგალობელი, მწერალ-მწიგნობარი, ხუროთ-მოდღვარი, მეჩუქურთმე — გერონტი 1851 წ. ლექთა თარეშმა აკუწეს ხანჯლით დანარჩენ მონასტრის კრებულ-

- 83 -

თან ერთად. გერონტის აღზრდილთაგან ჩვენ გაგვიგონია მარტყოფელი ექვთიმე ჭილაშვილი, მღვდელი აბრამ დემურიშვილი, ბერი გრიგოლ ონანაშვილი-ვაჩნაძე და სხ. დავით გარეჯაში გერონტის მოსაგონებელია დღეს დიდის ხელოვნებით კლდეში გამოკვეთილი სენაკი, რომლის ჭერის არშია და ბუხრის თავი ისრეთის ხელოვნებით არიან ალებასტრისაგან შაბაქად გაკეთებულნი, რომ ყოველი მნახველი განცვიფრებაშია<sup>79</sup>); არის მეორე სენაკიც საგარეჯოს მხრივ მისავალში, მარჯვნივ,

მეტად მოხერხებული (ხელოვნურად) საბოსტნე ადგილით, ზედ მაღლა მშვენიერი სასხდომი ბანით. შიგ სენაკში ყურადღების ღირსია კუთხეში კლდისაგან გამოყვანილი პატარა, ერთი კაცის საწოლი ტახტი სასთუნალით ისე, როგორც მაღლის წყალთან დავით გარესჯელისა.

4. პეტრე გრიგოლის ძე კარბელა (ხმალამე) დაიბადა 1754 წ. პაისიოს სამთავნელმა გააყოლა გოგია ამილახვარს მსახურად მეფე ირაკლის კარზედ. გოგიამ ვერა ისწავლარა, მაგრამ მის სამაგიეროდ გარედან ყურის გდებით პეტრემ მშვენიერად შეისწავლა სრული გალობა. ს. ჭალაში მიზრუნებული, სამთავისში დაიარებოდა გალობის მასწავლებლად. 1816 წლამდე მთელ რეხის ხეობაში გალობას ავრცელებდა — და სამთავისის ტაძარში ლოტბარობდა მგალობელთა გუნდსა. რაკი გერვასი სამთავნელს ჩამოართვა თეოფილაქტემ ეპარხია, პეტრე მგალობელი სტეფანე რუსთველმა მიიწვია ლოტბარად — მარტყოფში.

---

<sup>79)</sup> ამ სენაკში ორი წარწერაა გერონტის ხელით, მომყავს დაუკარგველობისათვის: 1) «უფალო, აქა დაგვწვენ ცეცხლითა შურისძიებითა შენისათა და მუნ საუკუნოსა შურისძიებისა შენისაგან განვერინე». 2) „შ მე, რამეთუ წარწყმდა განკრძალული ქვეყანი და კაცთა შორის წარმართებული არა არს“.

- 84 -

პეტრეს ოჯახობამ — ქალმა და კაცმა — გალობა იცოდნენ; მაგრამ ოთხი ვაჟი შვილიდან მხოლოდ უმცროსს გრიგოლს შეასწავლა სრული გალობა. რაკი ერიგოლი წამოეზარდა, თან დაჰყვანდა მარტყოფში მგალობლად, ასე 1830-1841 წლამდე, როცა სტეფანე რუსთველი გარდაიცვალა. ამ დროდან მოხუცი პეტრე დაბინავდა შინ, ს. ჭალაში და ათასში ერთხელ თუ წაიყვანდნენ ურმით გორისაკენ ან ზემო-ქართლში საგალობლად, როცა ებისკოპოსს ნიკიფორეს მოიწვევდნენ სადმე მწირველად. პეტრე ღრმად მოხუცი მიიცვალა ს. ჭალაში 1848 წ. მაისის<sup>11/14</sup> და დასაფლავდა წმ. გრიგოლის ეკლესიასთან დასავლეთით, მგალობლის გრიგოლ ანთაძის მახლობლად. პეტრეს დროს

სტეფანე რუსთველს ეწვია ტფილისიდან ახლად მოსული ეგზარხოსი მოსე; სთხოვა რუსთველს — ქართული გალობა გამაგონეო. უგალობეს რამდენიმე საგალობელი. მოეწონა ეგზარხოსს გალობა და სწერდა ნოტებზედ. ვისა აქვს მისი ნაწერი ნოტები დღეს, არ ვიცი. თუ რა სასურველად იყო გალობის ცოდნა გავრცელებული ჩვენში ამ სამოციოდე წლის წინად, მოვიყვან ერთს საინტერესო ეპიზოდს მგალობლის პეტრე კარბელას შვილების ცხოვრებიდან. 1829 წ. ენკენისთვეში ქართლიდან იმერეთში თურმე გადარეკეს პეტრეს ორმა შვილმა ღორის ფარა და აჯამეთის ტყეში დადგნენ. გიორგობისთვის დამდეგს უფროსმა ძმამ ისაკმა თავისი ძმა გამოგზავნა ცხენით ჯერისათვის ს. ჭალაში, მაგრამ ხუთი-ექვსი დღე არსად მოვიდა. 10 ნოემბერს, გიორგობა დღეს ისაკამ წამოიგდო მხარზე ცარიელი გუდა და გასწია მახლობელ სოფელში, სადაც ხალხი თავს იყრიდა წმ. გიორგის დღეობას საყდარში. ამ დროს შემოსილი მღვდელი დგას თურმე და აქეთ-იქით აიყურება. ისაკამ ჰკითხა — მამაო

- 85 -

ვის ელით, რატომ წირვას არ დაიწყებთო? — შვილო, დიაკვანი წავიდა შინ და აღარ მოვიდა. უპასუა მღვდელმა. მამაო, ბრძანეთ „კურთხელ არსი“ მე მოგეხმარებითო, მოახსენა ისაკამ. მღვდელმა დაიწყო. ისაკამ მოიხსნა გუდა მხრიდამ და მშვენივრად ჩაუარა ჟამნობა, აგრეთვე გალობით-კითხვით ჩინებულად აწირვინა მღვდელს. წირვის გამოსვლისას მღვდელი დიდი მადლობელი დაურჩა და ჰკითხა ვინაობა, ისაკამაც მოახსენა თავის გაჭირვება და ვინც იყო. მაშინ კეთილმა მღვდელმა გუდაც და ერთი ხურჯინიც აუვსო პურით, ხორცით და ღვინით და გაატანა — კვირაობით ამოხვიდოდე, მამაშვილობას, და მიგალობებდეთ, დააბარა მღვდელმა.

5. მღვდელი გრიგოლ კარბელოვი ძე პეტრე მგალობლისა, დაიბადა 1812 წ. 23 აპრილს. რვა წლისა ზურგით ჩაიყვანა თურმე მამამ შემოდგომაზედ შიომღვი-

მის უდაბნოში. თუ რა მშვენიერად ივო დაყენებული სწავლების საქმე იმ დროს ჩვენს მონასტრებში, ამას გვიხატავს რვა წლის გრიგოლისაგან 1821 წ. აღდგომის დღეს სამოციქულოს წაკითხვა და გალობა; 15 წლის გრიგოლს უკვე დიაკვნად ვხედავთ გამწესებულს და 1827 წ. ეკკლესიის საბუთებზედ ხელს აწერს მღვდელს ეპიფანე პარკაძესთან ერთდ. შემდეგ მამას დაჰყვანდა თან, საითაც წავიდოდა საგალობლად — მარტყოფში, ქვათახევში, ტფილისში, ალავერდში და სხ. მამის სი კვდილის შემდეგ (1848 წ.) გრიგოლ მღვდელი (1844 წლი-დამ) გამოუღეველად ინახავს სამს-ოთხს სამღვდელოთ გან-მზადებულთ და ასწავლის წერა-კითხვას და გალობასა. თვით მე მახსოვს, როგორ ასწავლიდა გალობას — პეპო პარკაძეს, ვასილ ქებაძეს, ალექსა გურულს და სხ.

- 86 -

## XII

### მღ. გრიგოლ კარბელოვი და ქართული გალობა

1862 წ. წმ. ნინოს მონასტრის წინამძღვარმა, არ-ხიმანდრიტმა მაკარიმ მოხდინა სიღნაღის სამღვდელოთა კრება, რომელმაც გადასწყვიტა გალობის აღდგენისათვის მოწვევა გამოცდილის მგალობლისა წმ. ნინოს მონასტერში, სადაც მაზრის დიაკვნებს უნდა შეესწავლათ საჭირო საგალობელნი. არხიმ. მაკარიმ მოახსენა ეგზარხოსს ევსევის, რომელმაც ნება დართო და ხელიც მოუმართა დიდათ. გალობის მასწავლებლად მიიწვიეს მღ. გრიგოლ კარბელოვი და ს. ჭალის მრევლიც ისევ მასზედ ირიცხებოდა. 7 დეკემბერს 1862 წ. წმ. ნინოს მონასტერში უკვე დაიწყეს გალობის სწავლება. თუ რა კეთილად წავიდა გალობის საქმე იმ ორიოდ-სამ თვეში, ამოვწეროთ განსვენებულის არხიმანდრიტის მაკარის წერილებიდან, სადაც სიხარულისაგან აღტაცებული მოუთხრობს გალო-

ბის წარმართვის საქმესა: „საყვარელო დიმიტრი იოსების ძე! <sup>80)</sup> ლოცვით მოკითხვას მოგიძღვნი და თქვენს მშვიდობითსა ცხოვრებასა უფლისა მიერ ვითხოვ. ვიცი გიამება ქართული გალობის აღდგინება და ამისთვის ვისწრაფი მოგწერო რაოდენიმე სიტყვა აღდგინებისათვის ქართულისა ძველისა გალობისა, რომელიცა არს დაცემულ სრულიად. დიდი ხანი არის ენთებოდა გულსა შინა ჩემსა, ვითარცა შვილისა მართლ-მადიდებელისა ეკკლესიისა და მოყვარულისა მამულისა, სურვილი აღდგინებისათვის დაცემულისა ქართულისა ძველისა გალობისა; გარნა მიძნელდებოდა, პირველად მით რომელ არა სჩანდა მცო-

---

<sup>80)</sup> სწერს ჩვენ მოლექსეს დიმიტრი ბერიევს.

დნე გალობისა, და მეორედ რომ კიდევ გამოჩენილიყო, რომლის ღონისძიებით უნდა დამეჭირნა ჯელში მგალობელი და ვიყავ დიდს მწუხარებაში, ვხედავდი რა გალობასა ჩვენსა კეთილ-განწყობილსა გარყვნილად და მიდულდა მისთვის გული, მერწმუნე არა ვფარისევლობ. უკანასკნელი მეოხებითა ქართველ განმანათლებელისა ღირსისა დედისა ნინო მოციქულთა სწორისათა, აღმოჩნდა მცოდნე ქართულისა გალობისა, აღზრდილი ყდ სამღვდელო განსვენებულის სტეფანე რუსთველისა სვიტასა შინა და მასთანა ყოფილი მგალობლად მღვდელი გორის უეზდისა სოფლის ჭალისა გრიგოლ კარბელოვი; შემდგომ მოლაპარაკებისა მისთანა, დათანხმებისა მისისა, მე მოვილაპარაკე აქაურთ ბლალოჩინებთან და სამღვდელო და საეკკლესიო მსახურთათანა, დიდის სიამოვნებით მიიღეს და გარდავწყვიტეთ, რომელ მოუწოდოთ მას კარბელოვს წმ. ნინას სობოროში, სადაცა გაიხსნას სასწავლებელი გალობისა, ისწავლონ მას შინა გალობა როგორც პრიჩეტნიკთა და შვილთა სამღვდელო და საეკკლესიო მსახურთა, ისე ყოველთა მსურველთა; მით რომელ ჩვენ მივცეთ მას ოც-და-ათი თუმანი თეთრი ფული წელიწადში,



ე. ი. იძლევა თითოეული ეკკლესიის კრებული ხუთს მანათსა, ზღალოჩინნი ოთხნივე თითო თუმანსა, სიღნაღის მღვდელი გრიგორ ღამბაროვი იძლევა ერთს თუმანსა წელიწადში, მე ვაძლევ ჩემის კრებულთ სამს თუმანს, სადილ-ვახშამი, ჩაი, სანთელი, სახლი და შუა აქეს ჩემი. ჩვენ მოუწოდეთ მას ორის წლით. შემდგომ ამა დათანხმებისგა მოვახსენე საქართველოს ეგზარხოსს ევსევი არხიეპისკოპოსს, რომელმანცა კეთილ ისათნოვა, აკურთხა საქმე ესე, გარდმოიყვანა წმიდის ნინას სობოროში ხსენებული მღვდელი კარბელოვი და ზ

- 88 -

დეკემბერს განვლილის ჩყებ წელსა გახსნილ არს სასწავლებელი გალობისა, სადაცა სწავლობენ დღეს ოც-და-თხუთმეტნი პირნი და დღითი დღე ემატება მოსწავლენი, რომელთა შორის სწავლობს თქვენი ძმისწულიცა სოსიკო, ძალიან კარგათ სწავლობს, აქვს განსხვავებული ნიჭი, ხმა კარგი, თქმაც შეუძლიან, ძალიან ბანი და დაბალი ბანიცა, მაგრამ გთხოვ უბძანოთ რომ ძალიან იბეჯითოს. თუ მოვიპოვე საითმე ღონის ძიება და საზოგადოებამაც მომცა შემწეობა და ეს მგალობელი დაშთება აქ ოთხი წელიწადი მაინც, მაშინ სრულებით განიღვიძებს ქართული გალობა და არა ვინაც არ უნდა დაზოგოს რა ამ საქმისათვის, უმეტესად მათ, რომელთაც უყვარსთ მართლ-მადიდებელი ეკკლესია და თვისი მამული და ენა. დიმიტრი! წმიდის ნინას სობოროში ამბობენ სამ ხოროთ გალობასა; ამ მოკლეს დროში დაისწავლეს წირვის გალობა და რაოდენიმე სხვა სათქმელები. თუ მოხვალ და მოისმენ აქ ლოცვასა, ანუ წირვასა, მოგაგონდება ის დრო და სიამოვნება, რომელიცა გინახავს, როდესაც შენ სწავლობდი სვიტასა შინა განსვენებულის იოანე მიტროპოლიტის ბოდბელისა, და აღივსები ყოვლითა სიამოვნებითა და სიხარულითა. არ იქნება ურიგო, რომ მიიღო შრომა, ამ საგანსა ზედა დასწერო რამე და დააბეჭდვინო „ცისკარში“, მით რომელ წამკითხველნი

ნუ დაზოგვენ მცირედსა შემოსაწირავსა ამა საგნისათვის და მაქვს იმედი რომ თქვენც ეცდებით აღდგინებისათვის ამა საგნისა. თუ დაგჭირდეთ ამ საგნის შედგენისათვის, ეგსარხოსის კანცელიარიაში მიბრძანდით, მოითხოვეთ საქმე გალობისა და წაიკითხეთ და იქიდგან დაწვრილებით სცნობთ, როგორ დავიწყე საქმე ესე და როგორ გავათავე... თქვენის მაღალ კეთილშობილების მარად მლოცვე-

- 89 -

ლი და გულითადი კეთილის მსურველი არხიმანდრიტი მაკარი. თ მარტსა, ჩყდგ წელსა ბოდბე. მეორე წერილში 1863 წ. 31 მარტიდგან სწერს მასვე: „... მოდი ნახე როგორი ღრეობა არის წმიდის ნინას სობოროს გარეშემო, გალობის სწავლა, და ეკკლესიაში ვითარი განწყობილი გალობა არის; ამ ჯვარცმის კვირის დღეებში უფრო მეტი გალობით ითქვა „შეხვეტილიანი“... არხიმანდრიტი მაკარი.

მართლა მეტად კარგათ წავიდა გალობის საქმე წმ. ნინას მონასტერში. რომ სამ-ოთხ თვეში გალობა ფეხზე წამოდგა, მოვიყვან დიმიტრი ყიფიანის წერილს, რომელიც 1863 წ. მაისის 4 ყოფილა წმ. ნინას მონასტერში: „ყოვლად ღირსო მამაო არქიმანდრიტო მაკარიოს! წმიდა ნინა ქართველთ განმანათლებელის საფლავის თაყვანისცემა ამ თხუთმეტს საუკუნეში მარად სანატრელ არის ყოველის ქართველისათვის. თორმეტის წლის წინეთ, პირველად რომ ველირსე მუხლის მოდრეკასა სანატრელის საფლავის წინაშე, გულიცა ჩემი მოდრეკილ-იქმნა მჭუხარებისაგან, რომ სიძველე მეტად ეტყობოდათ ტაძარსაცა და სხვა შენობათაცა. ამ მაისის დ მეორედ შემხვდა მუნ ყოფნა და გული ჩემი დასტკბა, რა ვიხილე განახლება ყოვლისა ძვირად დასაფასებელითა ღვაწლითა თქვენითა; სული ჩემი დასტკბა, რა ვისმინე გალობა ჩვენი ძველებური, თქვენის ზრუნვითა და მეცადინეობით განახლებული და სამოდ შეთანხმებული. მსურს სიტყვიერად თუ ნივთიერად გამოთქმა გულითადის მაღლობისა ჩემისა თქვენ წინაშე;

მაგრამ მაღლობა ქვეყნიერი რა საჭიროა თქვენთვის. სულ-გრძელებით მიიღეთ, მამაო. ეკლესიისათვის მცირედი ესე შესაწევარი და ამასთანავე მორთმეული ხუთი თუმა-

- 90 -

ნი მოახმარეთ მართლ-მადიდებელთათვის დასამადლებელ-თა საქმეთა თქვენთა. მომინდვია თავი ჩემი წმიდა ლოც-ვა-კურთხევისა თქვენისათვის და ვჰგე თქვენი მაღალ-ღირსების უმორჩილესი მოსამსახურე დიმიტრი ყიფიანი. 23 მაისი, 1863 წ. ტფილისი. ამავე წელს სექტემბერში წმ. ნინას მონასტერში იყო მონასტერთა ბლალოჩინი, არხიმანდრიტი ტარასი, რომელმაც ეგევე ქება-მადლობა გამოაცხადა გალობის აღდგენისათვის, როგორც დიმიტ-რი ყიფიანმა. ვგონებ ამ მემოდგომაზედვე გამოგზავნეს ტფილისში ახლად გალობა შესწავლილნი წმ. ნინოში — ივანე დარჩიაშვილი, ტიტკო ინაშვილი და ყარამან მენ-თეშაშვილი, რომელთაც რამდენჯერმე იგალობეს სიონის ტაძარში და სემენარიის ეკლესიაში, გალობა მოისმინეს ეგზარხოსმა ევსევიმ და სემენარიის რექტორმა ვიქტო-რინმა, მოეწონათ დიდათ და დაადგინეს გრიგოლ მღვდლის გადმოყვანა ტფილისში<sup>81</sup>). 1864 წ. 1 სექტემბრიდამ გა-დმოიყვანეს კიდევ ტფილისის სასულიერო სემენარიაში და სასულიერო სასწავლებელში გალობის და საეკლე-სიო წიგნთა კითხვის მასწავლებლად<sup>82</sup>). მალე გაიმართა

---

<sup>81</sup>) აქ საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ აზრი ქართ. გალობის ტრფიალისა, წარწერილი ერთს „სძლისპირის“ წიგნაკზედ 1859 წ. „ვითარ არ იმწუხარო სულს ჩემო, ოდესცა იხილო დავარდნა ყუ-რთათვის სასიამოვნოჲსა გასაგონისა ქართულის გალობისა! და ნე-ტარ ხართ კაცნო, რომელნი თუმცა არა გასძეხით სმენითა მისითა, არამედ ისმინეთ მაინცა წყობა და სისრულე მვირად დასაკარგავი-სა ქართულის გალობისა! მიეცეს მაგიერი არა მსურველსა შენსა, ტკბილო საზღოვ სულისაო, გალობავ! ფ. კ.“

<sup>82</sup>) 1864 წ. შემოდგომაზედ, მახსოვს ვიღაც მიხაილოვი და-იარებოდა გრიგოლთან გალობის ნოტებზედ დასაწერად; ბევრს ეცა-და, მაგრამ ამაოდ: მისი შრომის მოსაგონებლად გრიგოლ მღვდელ-თან დარჩა უშველებელი ასპიდის დაფა, დახაზული ხუთ ხაზზედ.

მგალობელთა გუნდები, რომელნიც ტფილისის ტაძრებში ყოველ დღესასწაულს გალობდნენ. მხოლოდ ანჩისხატის ტაძარში ყოველ კვირა-უქმე დღეს მგალობელთა გუნდი მუდამ გალობდა — მწუხრზედ, ცისკარზედ და წირვაზედ. ყოველ ოთხაბათს სემენარიის ეკკლესიაში ქართული წირვა-ლოცვა იყო, რომლის დროსაც ყველა მოწაფენი ვარჯიშობდნენ კითხვა-გალობაში. ასრე იყო 1872 წლამდე, როდესაც სექტემბრიდამ სამოსწავლო ცვლილებათა გამო გრიგოლ მღვდელი შტატ-გარეშე დატოვეს და ისევ თავის მრევლის ინაზარა დარჩა და ქართული კითხვა-გალობა მოისპო სემენარიაში. გაიარა დრომ 1877 წლამდე; ამ წელს დეკემბერში მადლიანმა მამულისშვილმა ყოვლად სამღვდელიო ალექსანდრე ეპისკოპოსმა წარადგინა სემენარიის სამმართველოში 500 მანათი ჯილდოდ, ვინც ქართულ გალობას ნოტებზედ დაუწყებდა წერასა. აქშალათ ფულის საღერღელი, ვისაც კი რამ ნოტებზედ ჰქონდა ნაწერი: ქუთაისიდან წარმოსდგა ბ. მრევლოვისაგან ნოტებზედ დაწერილი წირვის გალობა, აგრეთვე ბ ჭრელაშვილის ნაწერი, მაგრამ ორივე შრომა დაიწუნეს. ამავე წლებში ბევრი ქალაქი გააფუჭა სემინარიაში რუსული გალობის მასწავლებელმა მ. მაჭავარიანმა: ავიდოდა ს. ჭალაში, აგალობებდა მოხუცსა და მითომ ნოტებზედ ჰსწერდა ნაგალობევსა. რო ვერა ნახარა რიგიანად დაწერილი ბოლოს მობეზრებულმა გრიგოლმა უთხრა მეცნიერს მემუსიკეს: „თუ მე არ გებრალეები სატანჯველად, შენი თავი მაინც არ გენანებაო“. 1878 წ. იანვრიდან ქართული გალობის საქმემ კვლავ გაიღვიძა<sup>83)</sup>. სემინარიის სამმართველომ კომიტეტის შე-

---

<sup>83)</sup> იხ. «ივერიაში» № 8, № 17 და № 38, 39 1878 წ. საინტერესო წერილები.

დგენა განიზრახა და ამიტომ ზემოთ აღნიშნული ნოტები გაუგზავნა 1878 წ. იანვრის 19, № 22 არხიმანდრიტს მაკარის და მღვდლებს: გრიგოლ მღებრიევს, ალექსანდრე მოლოდინოვს და ეგზარხოსის მგალობელთა ლოტბარს მთავარ-დიაკონს ვასილ აუშევს და დაავალა — „შეადგინეთ კომიტეტი და ეს ნოტები განხილეთო — სწორეთ გამოსთქვამენ ქართულს საგალობლებს, თუ არაო“. კომიტეტმა განიხილა და დაუბრუნა 1878 წ. 9 ივნისიდან № 32: „ეს ნოტები არ გამოდგებაო“ და დაუმატა: ემჯობინება გურიიდან მოვიწვიოთ მგალობლები და მისი დახმარებით დაიწეროს ნოტებზედ ქართ. გალობაო.

### XIII

#### **არხიმანდრ. მაკარი და გალობის აღმდგენი კომიტეტი (1878-1883)**

სემინარიის სამმართველომ 1878 წ. 3 ივლისიდან № 243 მოწერილობით დაიწუნა ეგე აზრი კომიტეტისა და თავისს მსრივ არჩია — გურიის ეპისკოპოსს გაბრიელს მივსწეროთ — საუკეთესო მგალობლები დაგვისახელოსო, მოვიწვიოთ იგი ტფილისში და ხელი მივყოთ ქართული გალობის ნოტებზედ წერისაო. ასეც მოახდინეს: მოიწვიეს გურიიდან მგალობელი მღვდელი მაქსიმე ჩხატარაშვილი და სამი სხვა გალობის მცოდნენი მელქისედევ ნაკაშიძე, ივანე ხავთასი და ნესტორ კონტრიძე. 14 სექტემბერს 1878 წ. სიონის ტაძარში ორპირად იგალობეს — მარცხნივ ვგალობდით ძმები კარბელაშვილები, მარჯვნივ გურული მგალობლები. ამ ორპირ გალობაზე დაწვრილებით გამოსთქვა საზოგადო აზრი ერთმა ჩვენმა მოღვაწეთაგანმა ივერიის“ № 39. კომიტეტმა საჭიროთ

სცნო დაბარება მოხუცის მღ. გ. კარბელოვისა, ჩამოვი-  
და კიდეც 24 იმავე სექტემბერს. იმავე საღამოს ანჩისხატის  
ეზოში, არხიმანდრიტის მაკარის სადგომში კომიტეტმა  
კრება მოახდინა, დაესწრო ყოვლად უსამღვდელოესი  
ეპისკოპოსი ალექსანდრე, მღ. გ. კარბელოვი შვილებით.  
გურული მგალობლები და სხ. რადგანაც მგალობლებად  
აირჩიეს — ნაკაშიძე, ხაფთასი დ კონტრიძე, ჩვენ — ძმები კარ-  
ბელაშვილები ჩამოვეცალეთ გალობის საქმეს 1882 წ. 1  
იანვრამდე კომიტეტმა დაუნიშნა მგალობლებს თვეში —  
ნაკაშიძეს 20 მან. და დანარჩენებს თითო თუმანი და სახლი.  
დაიწყეს გალობის სწავლება და ნოტებზედ წერა. კომიტეტ-  
მა დაადგინა ჟურნალი 9 აპრილს 1879 წ. (და ეგზარ-  
ხოსმაც დაამტკიცა), რომლითაც მგალობლებს თვეში  
ხუთ-ხუთი მანათი მოუმატეს, ხოლო სემენარიაში რუსუ-  
ლი გალობის მასწავლებელს მაჭავარიანს გალობის ნო-  
ტებზედ წერისათვის დაუნიშნეს 30 მან.

1881 წ. დამლევს ჩამოველ ტფილისში, რომ გა-  
ლობის საქმე როგორმე გამეღვიძებინა. 1882 წლის 1  
იანვრიდან ვიწყე გალობის სწავლება სასულიერო სასწა-  
ვლებელში, შემდეგ სასულ. სემენარიაში, და საეპარქიო  
დედათა სასწავლებელში. სამ თვეზედ მოწაფენი უკვე გა-  
ლობდნენ მწუხრსა და წირვასა. გალობის საქმის საკეთილ-  
დღეოდ იმ გაზაფხულზედ უწმ. სინოდმა გამოგზავნა სა-  
ეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებლების სარევიზიოდ  
გალობის ტრფიალი, რუსეთის ღირსეული შვილი ს. მი-  
როპოლსკი, რომელმაც 1882 წ. იმ 19 მაისს ოთხშაბათს  
მოისმინა ჩემ მოწაფეთა გალობა და სიმღერა, რისთვისაც  
მადლობა მითხრა როგორც მე, ისე ზედამხედველს სასუ-  
ლიერო ხასწავლებლისას ბ. ჟორდანიასა; დაგვპირდა —  
ქართული გალობის საქმეს, რაც მემიძლიან, დავეხმარე-

ბიო. დაპირება აღგვისრულა კიდეც. იმავე წლის აგვის-  
ტოს გასულს ქაღალდი მომივიდა სემენარიის სამმართვე-  
ლოდან — მგალობელთა გუნდები შეადგინე — სასულე-

რო სემინარიაში და სასულ. სასწავლებელშიო. სიხარულით შევასრულე ეს მონდობილება. ამ გვარად ათის წლის შემდეგ კვლავ აიდგა ფეხი ქართულმა გალობამ სასულიერო სემინარიაში. თუ რა კეთილად წავიდა გალობის საქმე იმ ხანად, დაამოწმებენ მაშინდელნი მოსწავლენი და მასწავლებლენი.

1883 წ. 14 იანვარს სიონის ტაძარში იგალობა სასულიერო სასწავლებლის მაგალობელთა გუნდმა (შესდგებოდა 20 მოსწავლისაგან). რამდენჯერმე იგალობა ამავე გუნდმა განსვენებულის თ. გრიგოლ ორბელიანის საყდარში. ამის გამო დაწერილმა შენიშვნამ გაზეთ „დროებაში“ (1883 წ. № 15) უფრო გაგვამხნევა. სწორეთ ამავე 1883 წ. დამლევს არხიმანდრიტების მაკარის და გრიგოლის<sup>83)</sup> მეთაურობით, გურული გალობა გადაადებინეს მუსიკის მცოდნეს ფილიმონ ქორიძეს, სანიმუშოდ აგალობეს კიდევ მის მიერ ნოტებზედ გადადებული წირვის საგალობელნი ეგზარხოსის ეკლესიაში 10 დეკემბერს. რადგან მე დავალეული ვიყავი კომიტეტისაგან, ამიტომ მე ვსთხოვე ტფილისის თეატრის დერიჟორს ბ. ტრეფვის და დავაწერინეთ ნოტებზედ: „წმიდაო ღმერთო“, „ჯვარსა შენსა თაყვანის ვსცემთ“, „შენ გიგალობთ“ და „სულო ჩემო, სულო ჩემო“. თუმცა ეს საგალობელნი კრებამ მოიწონა, მაგრამ კომიტეტმა არ იკმარა ეს საგალო-

---

<sup>83)</sup> ივ ჟამად იხსნებოდა ახალი ეპარქია გურია-სამეგრელო-სა. ეპოსკოპოსი გურიისა გაბრიელი (ტუსკია) † 11 დეკემბ. 1881 წ. და ამ ეპარქიის მართვა-გამგეობა მიანდეს ~ სამღ. ეპისკ. ალექსანდრეს.

ბელნი და დამინიშნა ნოტებზედ დასაწერად — „მოვედით თაყვანის ვსცემთ“, „რომელი ქერაბიმთა“ და ნათლისღების დასდებელი „განმანათლებელი ჩვენი“, როგორც ძნელი საგალობელნი. ეს საგალობელნიც დავაწერინე ბ. ტრუფვის, რომელმაც შემდეგ კრებაზედ 27 თებერვალს

მოიყვანა თეატრის ექვსი იტალიელი ხორისტი და აგალოზა იგი საგალობელნი. კრება კვლავ კმაყოფილი დარჩა<sup>84</sup>); ტრუფფიმ 500 საგალობლის ნოტებზედ დასაწერი 4500 მან. ითხოვა. ხოლო ფ. ქორიძემ 30,000 მანათი.

## XIV

### ალექსანდრე ეპისკოპოსი და ქართული გალობის საქმე.

ამავე დროს ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, გურიაში მყოფმა, მოსწერა ეგზარხოსს ამავე 1884 წ. 3 მაისიდან № 15-თ „ქართლ-კახეთის გალობის ნოტებზე დაწერას ჩემის ხარჯით ვაპირებო“. თანხმობის პასუხი ეგზარხოსმა აცნობა იმავე წლის 16 ივნისიდან № 2742. სექტემბერს ვნახეთ ტფილისის მუსიკალური სკოლის დირექტორი გ. იპპოლიტოვ-ივანოვი, რომელმაც 2000 მანათად იკისრა 400 საგალობლის ნოტებზედ დაწერა. ამაზედ პირობის წერილი დამტკიცდა ეგზარხოსის ხელის მოწერითაც 1 ოკტომბერს 1884 წ. ბ. იპპოლიტოვ-ივანოვთან უნდა გვევლო საგალობლად — მღ. მღ.: მე, ვასილ კარბელოვს, ა. მოლოდინოვს და გ. მღებრიევს. 1885 წ.

---

<sup>84</sup>) ამავე კრებამ დაადგინა ოქმი — დაწერილიყო ნოტებზედ ჩემ მიერ სიით ნაჩვენებნი საგალობელნი; კომიტეტმა ეს ოქმი საილღაც მიაფარა.

გაზაფხულზედ, მაისში მღ. ვ. კარბელოვი გადაიყვანეს ნუხში. განვაგრძეთ საქმე დანარჩენებმა.

ამავე 1885 წ. დეკემბერს მეც გადამიყვანეს სოფლად და შედგა საქმე. ამის შემდეგ წელიწადში ორჯელსამჯერ ჩამოვდიოდი ტფილისში და ვაწერინებდი გალობას. ბოლოს ბ. იპპოლიტოვ-ივანოვიც გადაიყვანეს მოსკოვში. დავაწერინეთ ნოტებზედ საგალობელნი — ოქრო-



პირის წირვისა, ვასილი დიდისა, და პირველ შეწირულისა; მწუხრისა, ცისკრისა, მიცვალებულის წესისა, ქორწინებისა, წმიდაოღმართოს მაგიერნი, და ღირსსარსის წილსათქმელნი მთელი წლის დღესაწაულთა მეცხრე სძლისპირნი. ამ საგალობელთა დასაწერი იპ.-ივანოვს ჩააბარა 500 მან. ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ. დანარჩენნი საგალობელნი დღესაც ელიან ნოტებზედ დაწერასა. იმედია, რომ ყოვლად-უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ალექსანდრე დაამთავრებს ამ საქვეყნო საქმესა, ნოტებზედ დაწერილს დააბეჭდვინებს და დასაწერს დააწერინებს და არ დაუკარგავს ქართველობასა ძველს მამაპაპურ გალობასა, როგორც მზრუნველი და ჭირისუფალი ჩვენის ძველი სულიერი დიდების დაცვისა და აღდგენისა.

დასასრულს არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ დიდი ღვაწლი და ამაგი, გაწეული იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისაგან ქართული გალობის აღდგენისათვის. 1884 წლიდან სამღვდელოებამ თავის საკუთარ მცირე საშუალებათაგან არ დაიშურა და მოახერხა მოჭრიგებოდა ჩვენს მოღვაწეს ფილიმონ ქორიძეს ნოტებზედ გალობის დაწერაზედ. ამისთვის მიუჩინეს ოთხი მგალობელნი: ქორიძე, ჭალაკანიძე, ხუნდაძე და წერეთელი; დასწერეს კიდეც 400 საგალობელი. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომელთამე „სას-

- 97 -

ყიდლით დადგინებულთა“ მზრუნველთა პეიტრობით სარგებლობის ნაცვლად გალობის საქმე წახდა: იმერეთგურიამი ძველი გალობა დღემდე შენახულია (უფრო კი ლეჩხუმში) და ამ გალობას უწოდებენ „სადა გალობას“; ამ უკანასკნელი ოთხმოციოდე წლის განმავლობაში დაიბადა ესრედ წოდებული „გავარჯიშებული, ანუ გამშვენიერებული“ გალობა, რომელიც განსხვავებულია „სადა“ გალობისაგან მომეტებული ხმის მანჭვითა და გრეხითა, მომეტებული ხმის კლავნვითა და აწევ-დაწევითა. რაღაც წინდაუხედაობით ნოტებზედ გადიღეს „გავარჯიშებულ-

გამშვენიერებული“ გალობა, ხოლო ძველი „სადა“ გალობა-კი, საუკუნოების განმავლობაში შემუშავებული და განწმენდილი — უგულობელ ჰყვეს და მხარი აუქციეს. ჭეშმარიტად, დიდი შეცოდება მოხდა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ სახელოვანს, განსვენებულს გაბრიელ ეპისკოპოსს არ უყვარდა ეგ გალობა და არ ესიამოვნებოდა მაგ გალობით წირვის შესრულება. ჯერი იყო ძველი „სადა“ გალობა დაეწერნათ ნოტებზედ და შთამომავლობისათვის შეენახათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სიცოცხლით აღსავსე იმერეთის სამღვდელოება ოდესმე იგრძნობს ამ დიდს შეცდომასა და კელავ ეცდება თავისებურის მზრუნველობით უპატრონოს იმ წმიდა მამა-პაპურ კილოებს, რომელნიც ერთად იწოდებიან „სადა“ გალობად! ეჭვი არა მაქვს, რომ ეგ გალობა დღესაც წმინდათ დაცულია ლეჩხუმში, გელათში და გურიაში. შთამომავლობა არავის აპატივებს მაგ ძველი გალობის შეცვლა-დამახინჯებასა და ყოველ დამნაშავეს წყევა-კრულვით საქოლავს აუგებს.

მღ. პ. კარბელაშვილი.

ჩყუჭ წ. იანვრის თ.

ს. გირჯანი.

Handwritten musical score for a three-part setting of the hymn "Es ist das Heil erlöset uns". The score is written on three staves, each with a vocal line and a basso continuo line. The music is in a historical style, likely from the 17th or 18th century. The lyrics are written below the vocal lines.

Es ist das Heil erlöset uns  
 von aller Sünde, die wir tun  
 Und hat uns alle heiligt  
 Durch seinen heiligen Geist  
 Und hat uns alle heiligt  
 Durch seinen heiligen Geist  
 Und hat uns alle heiligt  
 Durch seinen heiligen Geist

Es ist das Heil erlöset uns  
 von aller Sünde, die wir tun  
 Und hat uns alle heiligt  
 Durch seinen heiligen Geist  
 Und hat uns alle heiligt  
 Durch seinen heiligen Geist  
 Und hat uns alle heiligt  
 Durch seinen heiligen Geist